


Publikationen

zur rechtlichen Zusammenarbeit

1/2022

შედარებითი სამართლის
ქართულ - გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische Zeitschrift
für Rechtsvergleichung



Gefördert durch:



aufgrund eines Beschlusses
des Deutschen Bundestages



1/2022

შვედარეგონთი სამართლის

ქართულ-გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische
ZEITSCHRIFT FÜR
RECHTSVERGLEICHUNG



სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის გამოცემა

წინამდებარე პუბლიკაცია გამოიცემა გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერით.

გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი (IRZ) შეიქმნა 1992 წელს და ამ დროიდან გერმანიის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს დაკვეთით დახმარებას უწევს პარტნიორ სახელმწიფოებს სამართლებრივი რეფორმების გატარებაში. ასეთი პროცესების მხარდაჭერა წარმოადგენს IRZ-ის ამოცანას, რომლის ფარგლებშიც ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესებს.

საქართველოსთან IRZ-ის თანამშრომლობა ეფუძნება საქართველოს და გერმანიის იუსტიციის სამინისტროთა 2005 წლის შეთანხმებას, რომლის განხორციელებაც 2006 წლიდან მიმდინარეობს. თანამშრომლობის მთავარი სფეროებია: საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობასა და სამართალში, საკონსულტაციო საქმიანობა სისხლის სამართალში და სასჯელაღსრულების სფეროში და პრაქტიკოსი იურისტების განვითარებით იურიდიული განათლება.

Die vorliegende Publikation wird durch finanzielle Unterstützung der Deutschen Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V (IRZ) herausgegeben.

Seit ihrer Gründung im Jahr 1992 berät die Deutsche Stiftung für internationale Rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ) ihre Partnerstaaten im Auftrag des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz bei der Reformierung ihrer Rechtssysteme und der Justizwesen. Rechtsstaatlichkeit und Demokratisierung sind Voraussetzung, um grundrechtliche Freiheiten zu wahren, stabile staatliche und gesellschaftliche Strukturen zu stärken sowie wirtschaftliches Wachstum anzuregen. Diesen Entwicklungsprozess zu unterstützen ist Aufgabe der IRZ, wobei die Bedürfnisse des jeweiligen Partnerstaats immer im Mittelpunkt stehen.

Die Zusammenarbeit mit Georgien basiert auf einer gemeinsamen Erklärung zwischen dem georgischen Justizministerium und dem Bundesministerium der Justiz von 2005 und wurde im Jahr 2006 aufgenommen. Die Schwerpunkte der Tätigkeit liegen in der Umsetzung internationaler Abkommen in georgisches Recht, in der Beratung im Straf- und Strafvollzugsrecht sowie der Aus- und Fortbildung von Rechtsanwenderinnen und Rechtsanwendern.

DEUTSCHE STIFTUNG FÜR
INTERNATIONALE RECHTLICHE
ZUSAMMENARBEIT E.V.



Gefördert durch:



Bundesministerium
der Justiz



თინათინ წეტელის სახელობის
სახალხო იურია და
საპარტოლო ინსტიტუტი

aufgrund eines Beschlusses
des Deutschen Bundestages



ჟურნალი დაფუძნებულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ. 2020 წლის მე-3 ნომრიდან მის დაფინანსებას აგრძელებს საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ).

მთავარი რედაქტორები

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე

გამომცემლები

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ტიცინანა ქიუზი
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი
ნოტარიუსი რიხარდ ბოკი
მოსამართლე ვოლფრამ ებერჰარდი
პროფ. დოქ. არკადიუშ ვუდარსკი
მოსამართლე დოქ. ტიმო უტერმარკი
ადვოკატი დოქ. მაქს გუთბროდი
პროფ. დოქ. გიორგი ხუბუა
პროფ. დოქ. ლაშა ბრეგვაძე
პროფ. დოქ. ირაკლი ბურდული
პროფ. დოქ. ნუნუ კვანტალიანი
პროფ. დოქ. ზვიად გაბისონია
ფრანკ ჰუბფელდი
ხათუნა დიასამიძე

ასოც. პროფ. დოქ. სულხან გამყრელიძე

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი

ასოც. პროფ. დოქ. შალვა პაპუაშვილი

ასოც. პროფ. ლადო სირდაძე

დავით მაისურაძე

ადვოკატი გიორგი ჟორჟოლიანი

ადვოკატი თემურ ბიგვავა

ადვოკატი ზვიად ბატიაშვილი

ხატია პაპიძე

ადვოკატი გოჩა ოყრეშიძე

დემეტრე ეგნატაშვილი

ადვოკატი ქეთევან ბუაძე

ადვოკატი ნიკოლოზ შეყილაძე

თორნიკე დარჯანია

ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი

სულხან გველესიანი

ნატალი გოგიაშვილი

გიორგი კვანტალიანი

ტექნიკური რედაქტორი

დავით მაისურაძე

სამუშაო ჯგუფი

ნინო ქავშბაია

თათია ჯორბენაძე

ანა ბაიაძე

ტილმან სუტორი

ISSN 2587-5191 (ბეჭდვითი)

ISSN 2667-9817 (ელექტრონული)

© თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2021

© საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ) 2021

© ავტორები, 2021

გ. ქიქოძის ქ. 3, თბილისი, +995 322983245, administration@isl.ge, www.lawjournal.ge, www.isl.ge

სარჩევი

სტატიები

ექიმის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგადი სისტემატიკა და ექიმის ბრალის მნიშვნელობა <i>ნუნუ კვანტალიანი / გიორგი რუსიაშვილი</i>	7
რწმუნებულების ფარგლებში ციფრულ აქტივებზე წვდომის წესების ჩამოყალიბება ამერიკის შეერთებულ შტატებში <i>არკადიუმ ვუდარსკი</i>	15
მტკიცებულების ცნება და სახეები <i>ბექა ხუფენია</i>	32

სასამართლო პრაქტიკა

იჯარის ქირის უსაფუძვლოდ გადახდილად მიჩნევა იჯარის საგნის ნაკლის გამო <i>(ბერულავა)</i>	47
ვინდიკაციური სარჩელი არასრულწლოვნის წინააღმდეგ <i>(ბერულავა)</i>	47
ნარკოტიკული საშუალების ფლობა, როგორც თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი <i>(ქავშბაია)</i>	48

ექიმის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგადი სისტემატიკა და ექიმის ბრალის მნიშვნელობა

პროფ. დოქ. ნუნუ კვანტალიანი

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი

I. შესავალი – სამედიცინო სამართალი, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგი

საქართველოში სამედიცინო სამართალს, რომელიც ყველა განვითარებულ მართლმწიფობაში სამართლის დამოუკიდებელ დარგს წარმოადგენს, ჯერ კიდევ არ შეუძენია დასრულებული კონტურები და მხოლოდ ჩამოყალიბების პროცესშია. ეს პროცესი, რეალურად, ძალიან ნელა მიმდინარეობს.¹ სამართლის ჩამოყალიბებელ დოგმატიკას ახასიათებს დაუმუშავებელი უკიდურესობები და მერყევი პერსპექტივა. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ის ფაქტი, რომ ქართულ სასამართლო პრაქტიკაში დღემდე არაცალსახაა, ტრიალდება თუ არა ექიმის პასუხის-

სგებისას ბრალის მტკიცების ტვირთი ექიმის საწინააღმდეგოდ. კერძოდ, ის, რომ ექიმი ბრალეულად მოქმედებდა, უნდა ამტკიცოს პაციენტი, თუ ეს ბრალი ივარაუდება და ექიმმა უნდა იმართლოს თავი, ანუ უნდა დაამტკიცოს, რომ პაციენტის დაზიანება მისი ბრალის გარეშე მოხდა. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში მოიპოვება გადანყვეტილებები, რომლებიც ამ საკითხს როგორც ერთი, ისე მეორე მიმართულებით წყვეტს (მიუხედავად 1007 2 მუხლისა).

ის, რომ სამედიცინო პრაქტიკას ყველა პრობლემური შემთხვევის შესაბამის სამედიცინო კატეგორიებში მოქცევა შეუძლია, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ სამართალიც ამ კატეგორიებს გაიზიარებს, რადგან სამედიცინო კატეგორიები ჯერ უნდა „ითარგმნოს“ სამართლის ენაზე და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია მათი გამოყენება სამართალშემფარდებელს. მაგალითად, სამედიცინო მანუალების მიხედვით უშეცდომოდ გაკეთებულმა ოპერაციამაც შეიძლება გამოიწვიოს ექიმის/კლინიკის პასუხისმგებლობა, თუ სასამართლო ჩათვლის, რომ ექიმი ან კლინიკა მოცემულ შემთხვევაში ბრალის გარეშე აგებს პასუხს; იმის დადგენის გარეშე, წარმოადგენს თუ არა ტრანსპლანტი სამოქალაქო სამართლის გაგებით ნივთს ან სისხლის ბანკში შენახული სისხლი - პროდუქტს სამოქალაქო კოდექსის 1009-ე მუხლი მიხედვით, შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რა მასშტაბით დგინდება მისი ნაკლოვანება და ა. შ.

სამედიცინო კატეგორიების ამგვარი „თარგმნა“ სამართლის ენაზე საქართველოში ჯერ არ

¹ ამ თემატიკისადმი მიძღვნილი ნაშრომებიდან განსაკუთრებით გამოსაყოფია: კვანტალიანი/კავაჭაძე/მანჯავიძე/მირზიკაშვილი/გვენეტაძე/ზაურაშვილი, წიგნი პაციენტებისთვის: ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა (გზამკვლევი), თბილისი 2011; კვანტალიანი, მიზეზობრივი კავშირის დადგენის პრობლემები სამედიცინო მუშაკის მართლმწიფობის მიხედვით და პაციენტისათვის მიყენებულ ზიანს შორის, მართლმსაჯულება და კანონი № 2(33)/2012, მე-5 და მომდევნო გვერდები; კვანტალიანი, პაციენტის უფლებები და ექიმის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, თბილისი 2014; გელაშვილი, სამედიცინო სამართლის პრინციპები, მართლმსაჯულება და კანონი, № 2(70)/2021, 38-ე და მომდევნო გვერდები; პეპანაშვილი, სამედიცინო დანესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება (https://press.tsu.ge/data/image_db_innova/samartal/nino_pepanashvili.pdf).

მომხდარა. ეს გაურკვეველობა კი აზიანებს მოცემული ურთიერთობის მონაწილე ყველა მხარეს და კრავს მანკიერ წრეს: ერთი მხრივ, კლინიკები და ექიმები თავდაცვის მიზნით სხვადასხვა გზით (მათ შორის სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების პირობებით) მაქსიმალურად ცდილობენ გამორიცხონ პასუხისმგებლობა, რასაც შემდეგში სასამართლო აბათილებს, როგორც დაუშვებელ სტანდარტულ პირობას, და რაც, ამგვარად, ამაო ცდას წარმოადგენს; მეორე მხრივ, პაციენტებმა, რეალურად, არ იციან, როდის შეუძლიათ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ექიმისაგან თუ კლინიკისაგან, რაც წარმოშობს დაუსაბუთებელი სარჩელების დაუსრულებელ რიცხვს და აკარგვინებს ორივე მხარეს დროით და ფინანსურ რესურსს.

ცალკე საკითხია ის, რომ ქართულ სამართალში ასევე დღემდე არ არის ბოლომდე გარკვეული, თუ სამედიცინო მომსახურების რა ხარვეზი შეერაცხება კლინიკას გადაცდომად და რა ფაქტობრივი წინაპირობები წარმოშობს პასუხისმგებლობას.

ზემოთ ხსენებული ეს ორი პრობლემა მხოლოდ სამაგალითო ხასიათს ატარებს და უმცირესი ნაწილია პრობლემათა იმ გროვიდან, რომელსაც ქართული სამედიცინო სამართალი ეწოდება, და რაც, რეალურად, ხელს უშლის მის დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბებას, საკუთარი გამოკვეთილი დოგმატიკით.

II. სამედიცინო სამართლის სავარაუდო თემატიკა და ექიმის პასუხისმგებლობის სამართალი

სამედიცინო სამართლის დარგის სავარაუდო თემატიკა, რომელიც ქართულ სამართალში უმეტესწილად დაუმუშავებელია, შემდეგია: საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა და პირველადი ჯანმრთელობის დაცვა; ეპიდემიოლოგიური კონტროლი; ექიმის პროფესიის განხორციელება და კლინიკის გაძღოლა; სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა და ფუნქციონირების ხარვეზების თანამდევი სამართლებრივი შედეგები; სამართლებრივი ურთი-

ერთობის წარმოშობა ექიმსა და პაციენტს შორის სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულებით და ხელშეკრულების გარეშე; კლინიკაში მიღების სხვა წინაპირობები (პაციენტის პირადი მონაცემები: დოკუმენტაცია, მონაცემთა დაცვა, დოკუმენტაციაზე წვდომა და გაცემა, გაუთქმელობის ვალდებულება და ჩვენების მიცემაზე უარის თქმა); საავადმყოფოს მფლობელ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება და სადაზღვევო კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება; ჯანმრთელობის დაზღვევა; პასუხისმგებლობა ექიმის შეცდომისათვის; პაციენტის თანხმობა და ინფორმაციის მიწოდება; პაციენტის მოვალეობა; სამედიცინო მომსახურების გამწვევის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები; მონყვლადი ჯგუფების (მცირეწლოვნები და არასრულწლოვნები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონენი, მოხუცებული პაციენტები, უგონო პირები, უცხოელეები, სექტის მიმდევრები, ფსიქიკურად დაავადებულინი) სამედიცინო მომსახურების სტანდარტები; პასუხისმგებლობის ფარგლები, თანაბრალეულობა და ხანდაზმულობა; პროცესუალურ სამართლებრივი საკითხები - სამართალწარმოების სუბიექტები, მტკიცების ტვირთი და მტკიცებულებები; ექიმის ადმინისტრაციულ სამართლებრივი და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები; ექსტრემალური სიტუაციები: გადაუდებელი დახმარების აუცილებლობა, ინტენსიური მედიცინა, ევთანაზია, გარდაცვალების მომენტი; წარმოშობის დადგენა, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა; სხეულის ბუნებრივი და ხელოვნური ნაწილები, ორგანოების ტრანსპლანტაცია; ბიოსამედიცინო გამოკვლევა: ადამიანებზე და ცხოველებზე ჩატარებული ცდები; სამედიცინო ეთიკა; გენური ინჟინერიის, გენომის ანალიზისა და გენთერაპიის სამართლებრივი საკითხები; მედიკამენტოზური საშუალებებისა და ფარმაცევტული სამართალი და ა. შ.

მოცემული სტატიის თემა იქნება მხოლოდ ექიმის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის კონტურების მოხაზვა. ექიმის პასუხისმგებლობის სამართალი ეს არის სფერო, რომელიც ეხება ექიმის სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას ვალდებულების

დარღვევისათვის და ზოგადად პაციენტისათვის მიყენებული ზიანისათვის. სამოქალაქო სამართალი პაციენტს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სახით სტანდარტულად სთავაზობს სახელშეკრულებო (სკ-ის 394 I მუხლი) და დელიქტურ (სკ-ის 992-ე მუხლი) მოთხოვნებს. სტატიაში ეს მოთხოვნები ექიმის პასუხისმგებლობის კონტექსტში დეტალურად იქნება განხილული, რათა გამოიკვეთოს ამ სფეროსათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ პრობლემათა წრე და მათი დამუშავების მეთოდოლოგია კონკრეტული შემთხვევების გადანყვეტიას.

III. სახელშეკრულებო მოთხოვნები ექიმის წინააღმდეგ – სკ-ის 394 I მუხლი

1. ვალდებულებითი ურთიერთობა

სამოქალაქო კოდექსის 394 I მუხლის, როგორც მოთხოვნის საფუძვლის, გამოყენების წინაპირობაა მხარეთა შორის ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა.

სტანდარტულ შემთხვევაში, სრულწლოვანი პაციენტი სამედიცინო დაწესებულებასთან დებს ხელშეკრულებას, რომელიც ტიპოლოგიურად განეკუთვნება „მომსახურების მსგავს“ ხელშეკრულებებს. ეს გადანყვეტა სრულებით არასაკამათო და ერთხმად აღიარებულია გერმანულ სამართალში – სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება ყოველთვის განეკუთვნებოდა მომსახურების ხელშეკრულებათა ტიპს და არა ნარდობას, რადგან მის ფარგლებში ექიმი პაციენტს არ აძლევს გამოჯანმრთელების გარანტიას და ამგვარად არ ჰპირდება მას მკურნალობის შედეგს.² არ იღებს ვალდებულებას, რომ მკურნალობა აუცილებლად გამოიწვევს შედეგს, არამედ ჰპირდება, რომ ჯეროვნად, საექიმო ოსტატობის წესების დაცვით ჩაუტარებს ამ მკურნალობას: ექიმს შეუძლია შეეცადოს, ზეგავლენა მოახდინოს პაციენტის ფიზიკურ

თუ ფსიქიკურ კონსტიტუციაზე, თუმცა ის ვერ მისცემს სასურველი ცვლილების გარანტიას.³

აღნიშნულისაგან განსხვავებით, ქართული სასამართლო პრაქტიკა სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულებას განიხილავს, როგორც სამოქალაქო კოდექსის 629-ე და შემდეგი მუხლით გათვალისწინებულ ნარდობის ხელშეკრულებას.⁴ სასამართლოს ამგვარი განმარტება წინააღმდეგობაშია ასევე დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკასთან: უშედეგო მკურნალობა ან მკურნალობის უარყოფითი შედეგი თავისთავად (უდავოდ) არ იწვევს სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობას. ზიანი გამონვეული უნდა იყოს მკურნალობისას დაშვებული შეცდომებით, ანუ, თუ მკურნალობა სწორადაა წარმართული, თუნდაც მას უარყოფითი შედეგი მოჰყვეს, არ იწვევს ექიმის პასუხისმგებლობას.⁵

სამედიცინო მომსახურება, როგორც წესი, მკურნალობას და მასთან დაკავშირებულ პროცედურებს უკავშირდება (რომელთაც შეიძლება მატერიალიზებული სახეც ჰქონდეს, მაგრამ მჭიდრო კავშირშია და ერთიანობაშია მკურნალობასთან, მაგ., კარდიოლოგიურ პროცედურაში სტენტის იმპლანტაცია). მაშინ, როდესაც ნარდობის ხელშეკრულებისთვის განმსაზღვრელია შეთანხმება შედეგზე, მომსახურების გამწვევის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება მომსახურების დადგენილი სტანდარტებით განხორციელებაშია და არა შედეგში. შესაბამისად, პაციენტთან დადებული ხელშეკრულება მკურნალობის სწორ წარმართვაზე შეთანხმებაა, რაც განასხვავებს მას ნარდობის ხელშეკრულებისაგან, რომელიც შედეგზეა ორიენტირებული. სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია არსებით გავლენას ახდენს მოთხოვნის ფორმირებაზეც, ვინაიდან სამედიცინო მომსახურება

² კვანტალიანი, მართლმსაჯულება და კანონი № 2(33)/2012, 8.

³ კვანტალიანი, მართლმსაჯულება და კანონი № 2(33)/2012, 8, 9; Wagner in Münchener Kommentar zum BGB, 8. Aufl. 2020, § 630 a Rn. 3 ff.

⁴ მრავალთა შორის იხ. სუსგ № ას-539-512-2015, 28.07.2015.

⁵ სუსგ № ას-38-2021, 18 მაისი, 2021; № ას-1800-2019, 20.02.2020; სუსგ № ას-1046-966-2017, 20.07.2018; სუსგ № 260-244-11, 27.06.2011.

რების გამწევის პასუხისმგებლობას მკურნალობის არასწორი წარმართვა წარმოშობს და არა უარყოფითი, არასასურველი შედეგი.

პრობლემურია შემთხვევა, როდესაც პაციენტისათვის სამედიცინო მომსახურების განწევა ხდება საავადმყოფოში სტაციონარულად. ის საკითხი, თუ ვისთან იდება ამ კონკრეტულ შემთხვევაში მედმომსახურების ხელშეკრულება - ექიმთან თუ სამედიცინო დაწესებულებასთან, კონკრეტულ სიტუაციაზეა დამოკიდებული. გერმანული სამართლით, ამ დროს, ჩვეულებრივ, სახეზეა ე. წ. „საავადმყოფოში ტოტალური სამედიცინო მომსახურების განწევის“ ხელშეკრულება პაციენტსა და სამედიცინო დაწესებულებას შორის. სამედიცინო დაწესებულება იღებს ვალდებულებას, გაუწიოს პაციენტს დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისი სრული სამედიცინო მომსახურება, მათ შორის, დიაგნოსტიკა და მკურნალობა. სამართლებრივად, ექიმები ამ შემთხვევაში გამოდიან, როგორც შესრულებაზე ვალდებული პირის (კლინიკის) დამხმარეები, თუ ისინი ამავდროულად არ არიან სამედიცინო დაწესებულების ორგანოები - ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები.

ასეთივე მიდგომაა ქართულ რეალობაშიც. ხელშეკრულების მხარე, როგორც წესი, კლინიკაა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ექიმი დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას ეწევა „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამედიცინო დაწესებულება ნებისმიერ შემთხვევაში პასუხს აგებს სკ-ის 37 I, 396 მუხლების მიხედვით. გარდა ამისა, განსახილველია ასევე პასუხისმგებლობა სკ-ის 997-ე მუხლის მიხედვით.

პაციენტს ასევე აქვს შესაძლებლობა, განსაზღვრული შესრულება მიიღოს კონკრეტული ექიმისაგან და კონკრეტულად მასთან დადოს ხელშეკრულება. გერმანული სამართალი ამ შემთხვევას „საავადმყოფოში ტოტალური მედმომსახურების განწევის ხელშეკრულების“ დანამატ „საექიმო (მომსახურების) ხელშეკრულებად“ განიხილავს. გარდა ამისა, ცალკე შეიძლება დაიდოს ასევე სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება სხვადასხვა დარგის მთავარ

თუ წამყვან ექიმებთან (ე. წ. არჩეულ ექიმთა ჯგუფი).⁶ ამის მიღმა ყველა ექიმი რჩება სამედიცინო დაწესებულების წესდების თანახმად უფლებამოსილ წარმომადგენლად ან შესრულების დამხმარედ.⁷ გამოცალკევებულად, მხოლოდ ე. წ. „საავადმყოფოში მოთავსების“ ხელშეკრულების დადების დროს იღებს სამედიცინო დაწესებულება ვალდებულებას, გაუწიოს პაციენტს მხოლოდ არასაექიმო მომსახურება – საავადმყოფოში მოთავსება და მოვლა. საექიმო მომსახურებას ამ შემთხვევაში წევს შესაბამისი მკურნალი ექიმი იმ ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც ის თავად დებს უშუალოდ პაციენტთან.⁸

ცალკეა განსახილველი არასრულწლოვნის/მცირეწლოვნის მკურნალობა, განსაკუთრებით ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ის მშობლის გარეშე სტუმრობს ექიმს (ჩვეულებრივ ეს მაშინ ხდება, როდესაც მას ექიმთან ვიზიტის მშობლებისაგან დამალვა სურს).⁹ შვიდ წლამდე არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი) არის ქმედუუნარო და, შესაბამისად, თავიდანვე არ შეუძლია ხელშეკრულებების დადება (სკ-ის 12 I, VI მუხლი). არასრულწლოვნები, პირები, რომლებსაც უკვე შეუსრულდათ შვიდი წელი, სამოქალაქო სამართლებრივად ითვლებიან შეზღუდულ ქმედუუნარიანებად, რაც ნიშნავს იმას, რომ შეუძლიათ დადონ მათთვის მხოლოდ (სამართლებრივად) სასარგებლო გარიგებები (სკ-ის 14 I, 15, 63 I), გარდა საგამონაკლისო დანაწესებით გათვალისწინებული შემთხვევებისა (სკ-ის 65 I, II).

გერმანულ სამართალში აღიარებულია, რომ კერძო დაზღვევის მქონე არასრულწლოვანი არ

⁶ *Deutsch/Spickhoff, Medizinrecht, 7. Aufl. 2014, Rn. 115.*

⁷ *Deutsch/Spickhoff, Medizinrecht, 7. Aufl. 2014, Rn. 120.*

⁸ *Deutsch/Spickhoff, Medizinrecht, 7. Aufl. 2014, Rn. 119 f.*

⁹ ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის მე-11 მუხლი ეხება მხოლოდ მცირეწლოვანი პაციენტის შემთხვევაში სამედიცინო ჩარევასთან დაკავშირებულ საკითხს და არა ზოგადად მედმომსახურების ხელშეკრულების დადებას. მედმომსახურების ხელშეკრულების დადებას მცირეწლოვნის შემთხვევაში ეხება ამავე კანონის 60 I მუხლი. პაციენტთა უფლებების შესახებ კანონის 44-ე მუხლი ეხება ისევ და ისევ მხოლოდ თანხმობას და არა ხელშეკრულების დადებას.

არის უფლებამოსილი, დადოს მედმომსახურების ხელშეკრულება გამომდინარე იქიდან, რომ ის არის მხოლოდ შეზღუდულად ქმედუნარიანი და ეკისრება გადახდის ვალდებულება.¹⁰ განსხვავებულად არის საქმე იმ არასრულწლოვნის შემთხვევაში, რომელიც სარგებლობს საყოველთაო დაზღვევით და ამგვარად მას გადახდის ვალდებულება არ ეხება, არამედ სახელმწიფო ხაზინაა ამ შემთხვევაში გადამხდელი. იმ შემთხვევაში, როდესაც მედმომსახურების ხელშეკრულება არანამდვილია, ანაზღაურების მოთხოვნა წარმოდგება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან (სკ-ის 969, 973-ე მუხლები). თუ არასრულწლოვანი მისივე მშობლებმა გამოგზავნეს, ის მოქმედებს, როგორც შიკრიკი ან წარმომადგენელი. თუ არასრულწლოვანს თან ახლავს მშობლები, ხელშეკრულება უშუალოდ მათთან იდება, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, ეს არის არასრულწლოვნის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება (სკ-ის 349-ე მუხლი).¹¹

2. ვალდებულების დარღვევა

ა) ექიმის ვალდებულებათა პროგრამის შინაარსი

სამედიცინო მომსახურების გამწვევ ექიმს აკისრია პირადად შესასრულებელი ვალდებულებები ან სამედიცინო დანესებულებას აკისრია ვალდებულება, განახორციელოს შესრულება კვალიფიციური თანამშრომლის მეშვეობით.¹²

თვითონ შესრულების შინაარსთან დაკავშირებით ერთმანეთისაგან არის გასამიჯნი სამედიცინო მომსახურების სხვადასხვა პლასტები: მედმომსახურების სტანდარტულ შინაარს წარმოადგენს ექიმის მიერ „სიტუაციიდან გამომდინარე ყველა შეპირებული სამედიცინო ქმედების განხორციელება“. გერმანიის სამოქალა-

ქო კოდექსში მედმომსახურების ხელშეკრულების თავის ჩამატების შემდეგ (გსკ-ის 630a და მომდევნო პარაგრაფები) შესაბამის ნორმაში ექიმის მიერ განსახორციელებელ ვალდებულებათა წრე აღწერილია „შეპირებული მედმომსახურების“ განწესის ვალდებულებად, რაც გულისხმობს ანამნეზს, გამოკვლევასა და დიაგნოზს, ისევე, როგორც თავად თერაპიასა და პოსტთერაპიულ პერიოდში ზედამხედველობას. გარდა ამისა, ექიმს დამატებით ეკისრება პაციენტის ინფორმირების ვალდებულება:¹³ მან უნდა ჩააყენოს პაციენტი საქმის კურსში იმასთან დაკავშირებით, თუ რა ტიპის თანაქმედებაა საჭირო პაციენტის მხრიდან მკურნალობის წარმატებით დასრულებისათვის (ე. წ. „თერაპევტის მხრიდან თავის დამზღვევი ინფორმაციის მიწოდება“) და განუმარტოს მას, რა ხარჯები წარმოიშობა მკურნალობის/გამოკვლევის ჩატარების პროცესში, თუ, რა თქმა უნდა, ამ ხარჯების დაფარვა არ ხდება მესამე პირის (მზღვეველის) მხრიდან (ეკონომიკურ შედეგებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება¹⁴). გარდა ამისა, ექიმმა პაციენტი უნდა გაარკვიოს და გაათვითცნობიეროს დაგეგმილი ჩარევიდან გამომდინარე რისკებსა და სარგებელში და სავარაუდო ალტერნატიულ მკურნალობის მეთოდებში. ყველა ზემოხსენებულის საფუძველზე ექიმმა პაციენტისაგან უნდა მიიღოს გაცნობიერებული/ინფორმირებული თანხმობა (შეად. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის 8 | 1 და პაციენტის უფლებების შესახებ კანონის 18 | მუხლი). გარდა ამისა, ექიმმა უნდა შეადგინოს პაციენტის აქტი/ანკეცა და მოახდინოს ექიმის პოზიციიდან ყველა არსებითი ღონისძიებისა და მათი შედეგის დოკუმენტირება.¹⁵

ყველა ეს ვალდებულება გერმანიაში ამჟამად ერთიანი და სისტემატიზირებული სახით თავად სამოქალაქო კოდექსშია დაფიქსირებული (გსკ-ის 630a და მომდევნო პარაგრაფები).

¹⁰ *Deutsch/Spickhoff*, Medizinrecht, 7. Aufl. 2014, Rn. 126.

¹¹ *Deutsch/Spickhoff*, Medizinrecht, 7. Aufl. 2014, Rn. 1124.

¹² *Wagner* in Münchener Kommentar zum BGB, 8. Aufl. 2020, § 630 a Rn. 77 ff.

¹³ ეს ვალდებულება გსკ-ში 630c მუხლშია დაფიქსირებული.

¹⁴ *Spickhoff* in *Spickhoff* (Hrsg.), Medizinrecht, Kommentar, 3. Auflage, 2018, § 630 a Rn. 33 ff.

¹⁵ *კვანტალიანი*, მართლმსაჯულება და კანონი № 2(33)/2012, 10, 11; *Wagner* in Münchener Kommentar zum BGB, 8. Aufl. 2020, § 630 a Rn. 80 ff.

საქართველოში კი ისინი მხოლოდ სპორადულადაა მოწესრიგებული სხვადასხვა კანონში („ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონი“; „პაციენტის უფლებების შესახებ კანონი“; „საექიმო საქმიანობის შესახებ კანონი“ და ა. შ.). ვალდებულებათა ერთიანი პროგრამის კონსტრუირება მხოლოდ კანონის ნორმებზე დაყრდნობით არც არის შესაძლებელი. მიუხედავად ამისა, ეს ყველაფერი მაინც გამომდინარეობს მედმომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში, სულ მცირე, კონკლუდენტურად მიღწეული შეთანხმებიდან და მისი განმარტებიდან.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საავადმყოფოს მთავარ ექიმს ან სამედიცინო დაწესებულებას ეკისრება, საკუთრივ მომსახურების განევასთან ერთად, ე. წ. ორგანიზაციული ვალდებულებები, რომლებიც არსებობს ასევე სახელშეკრულებო ვალდებულებების სახით (როგორც დამცავი ვალდებულებები სკ-ის 316 II მუხლის გაგებით). მაგალითად, საავადმყოფოში ცალსახად უნდა იყოს დადგენილი და გამიჯნული კომპეტენციები და პასუხისმგებლობა, ოპერატიული გეგმისა და წარმომადგენლობითი წესების მეშვეობით; თანამშრომლები შერჩეული უნდა იყვნენ გულისხმიერად და მათზე უნდა ხორციელდებოდეს შესაბამისი კონტროლი; საავადმყოფო უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის სტანდარტს, როგორც მედ-, ისე დამხმარე პერსონალის მომზადებისა და შესაბამისი აპარატურის კუთხით; პაციენტების უსაფრთხოება, ისევე, როგორც ჰიგიენა და სამედიცინო აპარატურის ფუნქციონირება, უზრუნველყოფილი უნდა იყოს.¹⁶

ყველა ზემოთ აღნიშნულ სიბრტყეში და მიმართულებით ექიმმა შეიძლება დაარღვიოს/არასრულად შეასრულოს თავისი ვალდებულებები და ამგვარად მას შეეცდებოდეს ხელშეკრულების დარღვევა.

სამედიცინო დაწესებულებების სამედიცინო საქმიანობის ხარისხი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონით (მუხლი 63) ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს. ამავდროულად, სამედიცინო მომსახურების ხარისხი

ქართულ სინამდვილეში მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რაც ხშირად დაწესებულებათა არასწორ მენეჯმენტსა და საერთაშორისო სტანდარტების გაუთვალისწინებლობაში ვლინდება. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ პაციენტის უფლების დარღვევა ზოგ შემთხვევაში სწორედ სამედიცინო დაწესებულებათა ფუნქციონირების ხარვეზებითაა გამოწვეული.¹⁷ ასე მაგ., ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ პაციენტი კლინიკაში მკურნალობის პერიოდში C-ჰეპატიტით დაინფიცირდა და, შესაბამისად, არასწორ სამედიცინო მომსახურებასა და პაციენტისთვის მიყენებულ ზიანს შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი არსებობდა.¹⁸ სხვა შემთხვევაში, კლინიკის უმოქმედობამ - ჰოსპიტალიზაციის დაგვიანებამ (დაახლოებით 32-36 საათით) - უკიდურესად მძიმე პაციენტის უარყოფითი დინამიკა საკმაოდ სწრაფად განავითარა და სამედიცინო პერსონალის შემდგომი ქმედებები უშედეგო აღმოჩნდა, რის გამოც პაციენტი გარდაიცვალა.¹⁹

ბ) ვალდებულების დარღვევის აბსტრაქტული დადგენა

მოცემულ სტადიაზე, პირველ რიგში, ქცევაზე მიბმულ ვალდებულებათა ბუნებიდან გამომდინარე, პრობლემურია იმის დადგენა, თუ შინაარსობრივად რა ითვლება ვალდებულების დარღვევად, განსაკუთრებით, მისი ბრალის შერაცხვისაგან გამიჯვნის კონტექსტში, გამომდინარე იქიდან, რომ „გაუფრთხილებელი“ ქმედება, ჩვეულებრივ, უკვე ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს. ამგვარად, ნაწილობრივ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ვალდებულების დარღვევასა და ბრალს შორის საერთოდ არ უნდა გაკეთდეს განსხვავება: ამით ხდება არა-გულისხმიერი ქცევის საკითხის თითქმის სრულად გადატანა ვალდებულების დარღვევის (რომელიც პაციენტის სამტკიცებელია) სიბრტ-

¹⁶ Katzenmeier in BeckOK BGB, 53. Aufl., 2020, § 630 a Rn. 113 f.

¹⁷ სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ.

¹⁸ სუსგ № ას-1779-1757-2011, 09.02.2012.

¹⁹ სუსგ № ას-1057-997-2015, 29.01.2016.

ყეში (მისი ბრალის სიბრტყეში მოთავსების შემთხვევაში მოხდებოდა ექიმის შეცდომის ვარაუდი, რაც ასევე არათანმიმდევრულია), რის გამოც სკ-ის 394 I 2 და 1007 2 მუხლში მონესრიგებული ბრალის პრეზუმფცია ფუჭი ხდება (იქმნება შთაბეჭდილება, რომ კანონმდებელმა შექმნა უსაგნო ნორმები).²⁰ ამიტომაც, ზემოთ თქმულის საპირისპიროდ, სახელშეკრულებო ვალდებულებების ფორმულირების მასშტაბად უნდა იქნეს გამოყენებული „უმალესი ხარისხის გულისხმიერება“, ხოლო ბრალის სიბრტყეში კი, შემცირებული, სიტუაციასა და ურთიერთობაში ჩართულ პირთა წრეს მორგებული მასშტაბი.²¹

გ) სამედიცინო შეცდომის ტიპები

ამ კონტექსტში ყველაზე მნიშვნელოვან შემთხვევას წარმოადგენს, რა თქმა უნდა, არასწორი მედმომსახურება, ანუ ხელშეკრულებით შეპირებული ჯეროვანი მომსახურებიდან გადახვევა. ექიმი იღებს პროფესიული დარგობრივი სტანდარტის მომსახურების განევის ვალდებულებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეებს შორის რაიმე სხვაა შეთანხმებული.²²

მედმომსახურების ხარისხისათვის გადამწყვეტია „საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიერ მოპოვებული ცოდნა და საექიმო გამოცდილება, რომელიც საჭიროა მომსახურების მიზნის მისაღწევად და გამოცდილია დროში“.²³ ეს ფორმულირება ძირითადად შეესატყვისება სასამართლო პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც, ექიმმა უნდა მიიღოს ის ზომები, რომლებიც მოსალოდნელია „კეთილსინდისიერი და ყურადღებიანი ექიმისაგან, რომელიც საკუთარი დარგის პროფესიონალია“.²⁴ სხვა მხრივ, საორიენტაციოდ გამოდგება შესაბამისი პროფესიული

საზოგადოების მიერ შემუშავებული სამედიცინო ღირებულებები.²⁵ თუ მომსახურება არ შეესატყვისება ამგვარად განსაზღვრულ სტანდარტს, ზოგადად, სახეზეა სამედიცინო შეცდომა. თუმცა სამედიცინო შეცდომა ასევე სახეზეა, როდესაც ექიმი აღწერილ სტანდარტზე აღმატებულ ცოდნას ფლობს და მას არ იყენებს.²⁶

ეს „ბმა“ ამ პროფესიულ სტანდარტთან არ გამოირიცხავს ე. წ. ინოვაციური მეთოდების გამოყენებას ან პროტოკოლით გაუთვალისწინებელი მკურნალობის მცდელობებს: ისინი უნდა განხორციელდეს და არ წარმოადგენს სამედიცინო შეცდომას, როდესაც „არსებული, უკვე გამოცდილი მეთოდების დადებითი და უარყოფითი მხარეების ახალ მეთოდებთან შედარებისას ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო სარგებლის მომტანია პაციენტისათვის“.²⁷ ინოვაციური მეთოდების გამოყენების დროს, რომელთა შემთხვევაშიც არ არსებობს პროფესიული სტანდარტი, ექიმს ეკისრება ვალდებულება, გამოიჩინოს წინდახედული მკურნალის გულისხმიერება.²⁸ გარდა ამისა, ექიმსა და პაციენტს შეუძლიათ ინდივიდუალური შეთანხმებით გადაუხვიონ პროფესიულ სტანდარტს, რადგან ექიმის შებოჭვა მხოლოდ აღიარებული პროფესიული სტანდარტით შეზღუდავდა თერაპიის თავისუფლებას, ისევე, როგორც პაციენტთა კერძო ავტონომიას.²⁹ თუ სტანდარტისაგან გადახვევა ხდება ინდივიდუალური შეთანხმებით, მისი დაუცველობის შემთხვევაში არ არის სახეზე სამედიცინო შეცდომა. ამასთან, შეთანხმებული მასშტაბი შეიძლება აღემატებოდეს (მაგ., განსაკუთრებულად გულისხმიერი მკურნალობის შეთანხმება) ან ჩამოუვარდებოდეს (უარი სისხლის გადასხმაზე იჰოვას მონმეების შემთხვევაში³⁰) დადგენილ სტანდარტს.³¹ დასაშვებობის ზღვარი მიღწეულია მხოლოდ მაშინ, როდესაც

²⁰ *Deutsch/Spickhoff*, Medizinrecht, 7. Aufl. 2014, Rn. 313.

²¹ *Spickhoff* in *Spickhoff* (Hrsg.), Medizinrecht, Kommentar, 3. Auflage, 2018, BGB § 280 Rn. 9.

²² *Spickhoff* in *Spickhoff* (Hrsg.), Medizinrecht, Kommentar, 3. Auflage, 2018, BGB § 630 c Rn. 37.

²³ RegE, BT-Drs. 17/10488, 19; შდრ. ჯანმრთელობის შესახებ კანონის 3 მ) მუხლი.

²⁴ BGH, 29.11.1994 - VI ZR 189/93.

²⁵ *Deutsch/Spickhoff*, Medizinrecht, 7. Aufl. 2014, Rn. 324.

²⁶ *Deutsch/Spickhoff*, Medizinrecht, 7. Aufl. 2014, Rn. 328, 332.

²⁷ BGH VersR 2006, 1073.

²⁸ *Deutsch/Spickhoff*, Medizinrecht, 7. Aufl. 2014, Rn. 332.

²⁹ *Katzenmeier* in BeckOK BGB, 53. Aufl., 2020, § 630 a Rn. 189.

³⁰ BGH NJW-RR 2002, 811.

³¹ *Katzenmeier* in BeckOK BGB, 53. Aufl., 2020, § 630 a Rn. 190.

სტანდარტისაგან გადახვევა წინააღმდეგობაში მოდის კანონთან ან მორალთან (სკ-ის 54-ე მუხლი).

სამედიცინო შეცდომათა დანარჩენ ფორმებს შორის გამოსაყოფია შემდეგი: მომსახურების საერთოდ არგანევა, ამის აუცილებლობის მიუხედავად,³² ე. წ. არასაჭირო სამედიცინო მოქმედებები, მაგალითად, არარსებული ჩვენების შემთხვევაში, დიაგნოზისათვის აუცილებელი კვლევების არჩატარება ან კვლევის შედეგების არშენახვა.³³ ე. წ. მცდარი დიაგნოზი, ანუ ჯეროვნად ჩატარებული კვლევების შედეგების არასწორი ინტერპრეტაცია, მხოლოდ აბსოლუტურ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება ჩაითვალოს სამედიცინო შეცდომად: შეცდომა ხშირად ხდება პაციენტის ორგანიზმის თავისებურებიდან გამომდინარე და სიმპტომების მიკუთვნება კონკრეტული დაავადებისადმი ყოველთვის ცალსახა არ არის; მათ შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული განმაპირობებელი ფაქტორები. ამგვარად, შეცდომა სახეზეა მხოლოდ მაშინ, როდესაც დიაგნოსტიკური შეფასება კეთილსინდისიერი ექიმის პოზიციიდან უკვე სრულებით გაუმართლებელი ჩანს.³⁴

ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს ასევე სამედიცინო მომსახურების განევა, მიუხედავად კომპეტენციის ან შესაბამისი უნარის არარსებობისა (მაგ., გადაღლა),³⁵ არასაკმარისი პროფესიონალიზმი, ზედმეტად თავდაჯერებულობა ხანგრძლივი პრაქტიკის, პოპულარობის ან ცოდნის გადაჭარბებული შეფასების გამო, არასაკმარისად კონსტრუქციული აზროვნება და სხვა.³⁶

სხვა ზოგადი არაჯეროვანი შესრულებაც, რომელიც არ წარმოადგენს მედმომსახურების

ნაწილს, ასევე წარმოადგენს სახელშეკრულებო (დამატებითი) ვალდებულების დარღვევას.³⁷

დ) მტკიცების ტვირთთან დაკავშირებული საკითხები

სამედიცინო მომსახურებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას მტკიცების ტვირთის განაწილება ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში სიღრმისეულად შესწავლილი არ არის. ამავდროულად, სასამართლო პრაქტიკით ერთგვაროვანი მიდგომა ჩამოყალიბებული ამ სფეროში მტკიცების სტანდარტთან მიმართებით. ზოგადად, დადგენილი პრაქტიკით, ექიმს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ პაციენტს ჩაუტარდა ხელშეკრულებით შეპირებული და უშეცდომო მკურნალობა, იგი პასუხს აგებს არასწორ მკურნალობაზე და მხოლოდ ასეთი მკურნალობის თანამდევ უარყოფით შედეგზე. ამდენად, ექიმის პასუხისმგებლობის საფუძველი არის არა მკურნალობის უარყოფითი შედეგი, არამედ სამედიცინო მეცნიერების სტანდარტებიდან გადახვევა.³⁸ არაბრალეულობის მტკიცების ტვირთი აწევს სამედიცინო დაწესებულებას. ასეთ დროს პაციენტის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტის არსებობა ქმნის იმის პრეზუმფციას, რომ მის ჯანმრთელობას ზიანი სამედიცინო დაწესებულების ბრალით მიადგა და საწინააღმდეგო სამედიცინო დაწესებულებამ უნდა დაადასტუროს.^{39, 40} თუ ამ პრაქტიკას სიტყვასიტყვით გავიგებთ და განვაზოგადებთ, მისგან გამომდინარე

³² Deutsch/Spickhoff, Medizinrecht, 7. Aufl. 2014, Rn. 337.
³³ Deutsch/Spickhoff, Medizinrecht, 7. Aufl. 2014, Rn. 346 ff.
³⁴ Deutsch/Spickhoff, Medizinrecht, 7. Aufl. 2014, Rn. 344.
³⁵ Katzenmeier in BeckOK BGB, 53. Aufl., 2020, § 630 h Rn. 51.
³⁶ კვანტალიანი, პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, თბილისი 2014, 116.

³⁷ Deutsch/Spickhoff, Medizinrecht, 7. Aufl. 2014, Rn. 350.
³⁸ სუსგ № 1268-1526-09, 25.05.2010.
³⁹ სუსგ № ას-260-244-2014, 28.05.2014; სუსგ № ას-1102-1038-2015, 22.01.2016; სუსგ № ას-111-111-2018, 11.05.2018.
⁴⁰ დელიქტური წესით პასუხისმგებლის, სკ-ის 1007-ე მუხლის განმარტებით, სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სამართალწარმოებაში პაციენტს/დაზარალებულს ეკისრება ზიანის, ზიანის მიმყენებლის არამართლზომიერი მოქმედების/უმოქმედობისა და არამართლზომიერ ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის დამტკიცება (სუსგ № ას-111-111-2018, 11.05.2018). სამედიცინო მომსახურების გამწვევა უნდა ამტკიცოს, რომ იგი მართლზომიერად მოქმედებდა ან/და ზიანი მის მოქმედებას არ მოჰყოლია.

ნარეობს, რომ ვალდებულების დარღვევის არარსებობაც ექიმის სამტკიცებელია.

ამის საპირისპიროდ, გერმანულ სამართალში, ვალდებულების დარღვევა, ზოგადად, უნდა ამტკიცოს პაციენტმა; მტკიცების მასშტაბს წარმოადგენს საპროცესო კოდექსის 286-ე პარაგრაფი (მოსამართლის სრული დარწმუნება). თუმცა გსკ-ის 630h I პარაგრაფის მიხედვით, ივარაუდება მკურნალი ექიმის შეცდომა, როდესაც რეალიზდა მედმომსახურებიდან გამომდინარე ზოგადი რისკი, რომელიც ექიმისათვის სრულად კონტროლირებადი იყო და რამაც გამოიწვია პაციენტის სიცოცხლის, სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანება. მედმომსახურების ზოგადი რისკის რეალიზების ქვეშ არ ექცევა ჩვეულებრივი სამედიცინო შეცდომა, არამედ აქ საქმე ეხება იმ ზიანს, რომელიც პაციენტს ადგება იმ რისკების რეალიზების შედეგად, რომლებიც წარმოდგება ექიმის ან სამედიცინო დაწესებულების ორგანიზაციული სფეროდან და არა პაციენტის სფეროდან და არ ეხება საექიმო მოქმედებათა ბირთვის. აქ საქმე ეხება ვალდებულებებს, რომელთა შესრულებისთვისაც მოვალემ შედეგზე დამოკიდებულად უნდა აგოს პასუხი, რადგან შესაბამისი რისკების განეიტრალება პრაქტიკულად სრულად შეუძლებოდა შესაბამისი ხელმისაწვდომი წინდახედულობის ზომებით.⁴¹

IV. ბრალი

მოვალე, სკ-ის 395 I მუხლის მიხედვით (ცალკეულ შემთხვევებში სკ-ის 396-ე მუხლით შერაცხვის საფუძველზე), პასუხს აგებს განზრახვისა და გაუფრთხილებლობისათვის.

პაციენტისათვის მიყენებული ზიანისას, როგორც წესი, ექიმის განზრახი ბრალი არ არსებობს. ასეთ შემთხვევებში საკმარისია, დადგინდეს ექიმის გაუფრთხილებლობა, რაც გულისხმობს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების აუცილებელი გულისხმიერებისა და ყურადღების გარეშე განხორციელებას. გულისხმიერებასა და ყურადღებიანობაში იგულისხმება ექიმის მიერ საჭირო სამედიცინო მოქმედებების ზედ-

მინევით ხარისხიანად, აღიარებული სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად შესრულება.⁴² სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის საკმარისია დადასტურდეს ექიმის გაუფრთხილებლობა და არა განზრახვა არასასურველი შედეგის დადგომის მიმართ, ამასთანავე, დამდგარი ზიანი უშუალოდ ამ ქმედების შედეგს უნდა წარმოადგენდეს და არა მკურნალობის თანმდევ შედეგს, რომლის თავიდან აცილებაც სამედიცინო დაწესებულებას ობიექტურად არ შეეძლო.⁴³ ამასთან, სწორედ სამედიცინო პერსონალია ვალდებული, გამორიცხოს თავისი ბრალი პაციენტის ჯანმრთელობის გაუარესებასა თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის არასრულ გაუმჯობესებაში. ამ საკითხის გარკვევა მნიშვნელოვანია სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობის საკითხის გადანყვეტიისთვის. ბრალეულობაზე საუბრისას იგულისხმება გაუფრთხილებელი ბრალი და არა განზრახ ქმედება, რომელიც განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს. არსებობს პრეზუმფცია იმისა, რომ სამედიცინო პერსონალი მოქმედებს კეთილსინდისიერად, მაქსიმალური გულისხმიერებით და მის განზრახვას და მიზანს წარმოადგენს პაციენტის გამოჯანმრთელება. სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხი დგება სამედიცინო პერსონალის გაუფრთხილებელი ქმედების შედეგად, რაც უნდა განიმარტოს ისეთ ქცევად, როდესაც მან ვერ გამოიჩინა შესაბამისი გულისხმიერება, წინდახედულობა და არ გამოიყენა თავისი ცოდნა და კვალიფიკაცია, მის ხელთ არსებული საშუალებები მოსალოდნელი და დასაშვები რისკების პრევენციისთვის.⁴⁴

მედმომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში ბრალის განსაზღვრის მასშტაბად გამოიყენება ზოგადი პროფესიული სტანდარტი, თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული: როგორც ზემოთ იქნა აღწერილი, ბრალის სიბრტყეში გამოიყენება სიტუაციასა და სამოქალაქო ბრუნვას მორგებული მასშტაბი.⁴⁵ ინდივიდუალური სი-

⁴² სუსგ № ას-1124-1044-2017, 30.07.2018.

⁴³ სუსგ № ას-593-568-2016, 14.07.2017.

⁴⁴ სუსგ № ას-1102-1038-2015, 22.01.2016.

⁴⁵ Spickhoff in Spickhoff (Hrsg.), Medizinrecht, Kommentar, 3. Auflage, 2018, BGB § 280 Rn. 9.

⁴¹ Deutsch/Spickhoff, Medizinrecht, 7. Aufl. 2014, Rn. 328.

სუსტე არ არის გამამართლებელი გარემოება.⁴⁶ პაციენტმა არ უნდა ამტკიცოს ექიმის/სამედიცინო დაწესებულების ბრალი, ის ივარაუდება და ამ უკანასკნელის გასაქარწყლებელია (სკ-ის 394 2 მუხლი).⁴⁷ ამ გაქარწყლებისათვის ექიმმა უნდა დაამტკიცოს, რომ მას არ მოუვიდა სამართლებრივი შეცდომა ან პროფესიული სტანდარტი კონკრეტულ სიტუაციაში მისთვის არ იყო შეცნობადი.⁴⁸ გამომდინარე იქიდან, რომ ბრალი წარმოადგენს ექიმის პასუხისმგებლობის მთავარ და საკვანძო საკითხს, აქ მისი დეტალური განხილვაა მიზანშეწონილი:

1. განზრახვა

ექიმის მიერ პაციენტის ჯანმრთელობისა და სხეულის განზრახ დაზიანება არ წარმოადგენს სამედიცინო პრაქტიკაში გავრცელებულ შემთხვევას და უპირველესად განსახილველ საგანს. მართალია, ექიმის მხრიდან ხდება პაციენტის სხეულის ინტეგრულობაში ჩარევა და, ამგვარად, შემადგენლობის მხრივ, შესრულებულია სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანება, ნებით და გაცნობიერებულად, თუმცა ჩვეულებრივ სახეზე არ არის გაცნობიერებული არაგულისხმიერი ქმედება. ასევე, პაციენტისათვის ინფორმაციის არმინოდება ან არასრული ინფორმირება, ჩვეულებრივ, არ ხდება ექიმის მხრიდან შესაბამისი განზრახვით.

2. გაუფრთხილებლობა

სკ-ის 395 I მუხლის მიხედვით, გაუფრთხილებლად იქცევა პირი, რომელიც არ იჩენს სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელ გულისხმიერებას. ერთმანეთისაგან მიჯნავენ გარეგან და შინაგან გულისხმიერებას. იმისათვის, რათა სახეზე იყოს გაუფრთხილებელი ქმედება, ექიმმა უნდა დაარღვიოს როგორც გარეგანი, ისე შინაგანი გულისხმიერების მოთხოვნები.

გარეგანი გულისხმიერებით მოქმედებს ექიმი, რომელიც მეცნიერულ სტანდარტს იყენებს პაციენტის მომსახურებისას. ექიმი არ არის ვალდებული, ყოველთვის აირჩიოს ყველაზე უსაფრთხო თერაპევტული გზა, თუმცა მკურნალობის ახალი მეთოდების გამოყენების შემთხვევაში განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა აუცილებელი.⁴⁹ მაღალი რისკი შეიძლება გამართლებული იყოს სიტუაციის გადაუდებლობით ან გამოჯანმრთელების უფრო მაღალი ალბათობით.⁵⁰ დიაგნოზი და თერაპია უნდა განხორციელდეს იმგვარად, როგორც ის ამ დარგის მედმუშკისაგან არის მოსალოდნელი. უნდა ჩატარდეს ელემენტარული ანალიზები; მაგალითად, აპენდიციტის მწვავე სტადიის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ჩატარდეს ოპერაცია. თავიდან უნდა იქნეს არიდებული ორგანიზმის სისხლის მიმოქცევის სისტემის გადატვირთვა შემცველი ნივთიერებებით და ამით გამოწვეული ფილტვების შეშუპება.⁵¹

შინაგანი გულისხმიერება მგომარეობს ინტელექტუალურ-ემოციონალურ დამოკიდებულებაში, რომელიც მოიცავს საფრთხის გაცნობიერებასა და გარეგანი გულისხმიერების დაცვას;⁵² სისხლის სამართლის დოგმატიკა ამ შემთხვევაში საუბრობს აუცილებელ „განჭვრეტადობაზე“.⁵³ მაგალითად, ექიმი ვალდებულია ზუსტად გათვალოს რენტგენული გამოსხივებით მაქსიმალური შესაძლებელი დატვირთვა ორგანიზმისათვის; თუ ახალშობილს ახასიათებს სიყვითლე, ექიმმა უნდა იფიქროს Rh-კონფლიქტზე და ოპერირებული პაციენტის წნევის სწრაფი ვარდნის შემთხვევაში შეამონმოს, ხომ არ არის დაწყებული შინაგანი სისხლდენა.⁵⁴ თუ მცდარი დიაგნოზი ემყარება ჩატარებული კვლევების არასწორ ინტერპრეტაციას, შეიძლება ჯერ კიდევ არ იყოს სახეზე შინაგანი გულისხმიერების დარღვევა.⁵⁵ იმისათვის, რომ

⁴⁶ *Deutsch/Spickhoff*, *Medizinrecht*, 7. Aufl. 2014, Rn. 328.
⁴⁷ სუსგ № ას-1009-946-2010, 7.04.2011; სუსგ № ას-260-244-2014, 28.05.2014; სუსგ № ას-1102-1038-2015, 22.01.2016.
⁴⁸ *Spickhoff* in *Spickhoff* (Hrsg.), *Medizinrecht*, *Kommentar*, 3. Auflage, 2018, BGB § 630 a Rn. 9.

⁴⁹ BGHZ 172, 254.
⁵⁰ BGH BeckRS 9998, 99503.
⁵¹ OLG Düsseldorf, 22.12.1988 - 8 U 211/87.
⁵² OLG München, NJW 1997, 1642.
⁵³ *F.-C. Schroeder*, *Die Fahrlässigkeit als Erkennbarkeit der Tatbestandsverwirklichung*, JZ 1989, 776 ff.
⁵⁴ BGH VersR 1968, 850.
⁵⁵ OLG Köln VersR 1991, 1288.

გამოირიცხოს ექიმის გაუფრთხილებელი ქცევა, ალტერნატიულად საკმარისია შინაგანი გულისხმიერების დაცვა ან გარეგანი გულისხმიერების გამოჩენა: თუ, მიუხედავად არასწორად დასმული დიაგნოზისა, ექიმის მიერ ჩატარებული თერაპია არის სწორი და ქმედითი, ის ამგვარად უკვე ბრალის/გაუფრთხილებლობის გარეშე მოქმედებს; თუ თვალის ექიმს ოპერაციის დროს ხელი უკანკალებს და წინა დღეებში მას ამის ნიშნები არ ეტყობოდა, შინაგანი გულისხმიერება დაცულად უნდა ჩაითვალოს.

მაგალითად, გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ⁵⁶ შინაგანი გულისხმიერება დაცულად ჩათვალა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც: მარცხენა ტერფის დისტორზიისას (სახსრის დაჭიმულობისას) ორთოპედმა კორტიზონით მკურნალობა დანიშნა, რამაც გამოიწვია ძვლის ტუბერკულოზის გაუარესება, რომელიც მანამდე ფარულად მიმდინარეობდა. სასამართლომ ექიმი გაათავისუფლა პასუხისმგებლობისაგან, რადგან, ექსპერტის აზრით, ძვლის ტუბერკულოზი იყო საკმაოდ იშვიათი დაავადება და მისი ვერშემჩნევა არ წარმოადგენდა შინაგანი გულისხმიერების დარღვევას.

სხვა შემთხვევაში ორთოპედმა რენტგენის სურათებზე ვერ შენიშნა გიგანტური უჯრედოვანი სიმსივნე მუხლის სახსარში. მან პაციენტს უმკურნალა რეალურად არსებულ მენისკის დაზიანებაზე. სასამართლოს მიხედვით, ეს იქნებოდა შინაგანი გულისხმიერებისადმი ზედმეტი მოთხოვნების ნაყენება, თუ ორთოპედი ვალდებული იქნებოდა უკიდურესად იშვიათი დაავადებაც კი შეენიშნა.⁵⁷

აუცილებელი გულისხმიერება, როგორც შინაგანი, ისე გარეგანი, არის ნორმატიული, სოციუმსმიბმული და ობიექტურ-ტიპიზირებული. ის ნორმატიულია იმდენად, რამდენადაც გარემოებების შესატყვისი გულისხმიერებაა გამოსაჩენი, ანუ ექიმმა უნდა მიიღოს შესაბამისი და აუცილებელი ზომები დიაგნოზის დასმისა და მკურნალობისას. გავრცელებული უწესრიგობა არ წარმოადგენს გამამართლებელ გარემოებას, მაშინაც კი, როდესაც ის ამ საავადმყოფო-

ში ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგ., არასაკმარისი დეზინფექცია. სოციალური ფაქტორების გათვალისწინება გულისხმობს იმას, რომ ექიმს მოეთხოვება მხოლოდ იმდენი, რაც „სამედიცინო ბრუნვაში“ შეიძლება იყოს მოსალოდნელი, ანუ მან არ უნდა შეასრულოს იმაზე მეტი, ვიდრე მისი სხვა კოლეგისაგან იქნებოდა მოსალოდნელი მსგავს სიტუაციაში. აქ მნიშვნელობას იძენს ასევე ეკონომიკური ფაქტორები (მათ შორის, კერძო თუ საყოველთაო დაზღვევით განპირობებული), რომლებსაც შესწევთ უნარი, ქვევით დანიონ ნორმალური სტანდარტი. გულისხმიერება არის ობიექტურ-ტიპიზირებული სტანდარტი სპეციალიზირებულ პროფესიონალურ წრეებში, ანუ, მაგალითად, სპეციალისტი ექიმისა თუ ოჯახის ექიმის ქცევა მსგავს სიტუაციაში. ინდივიდუალური უცოდინრობა ან სისუსტე არ წარმოადგენს გამამართლებელ გარემოებას; თუ ექიმი ფლობს განსაკუთრებულ ცოდნასა და უნარებს, მან ეს უნარები უნდა გამოიყენოს.⁵⁸ მაგალითად:

კბილის ექიმს ფესვის დამუშავებისას ხელიდან გაუცურდა დაახლოებით 4 სმ სიგრძის ნემსი, რომელიც ჩაუვარდა პაციენტს პირში და გადაეყლაპა. გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ არ გაითვალისწინა კბილის ექიმის არგუმენტი, რომ, ჩვეულებრივ, სხვა გამოცდილი პრაქტიკოსი კბილის ექიმებიც დაუმაგრებელი ნემსით მუშაობენ. გადამწყვეტი იყო არა ზოგადი, არამედ კონკრეტული საფრთხის წინაშე გამოსაჩენი გულისხმიერება.⁵⁹

1948 წელს კილის საუნივერსიტეტო კლინიკაში პაციენტის რენტგენზე გაშუქების შედეგად ექიმმა ვერ შეამჩნია ტუბერკულოზის მცირე კერა. სასამართლომ უკუაგლო პაციენტის სარჩელი, რადგან სამოქალაქო ბრუნვაში გამოსაჩენი გულისხმიერების მასშტაბის განსაზღვრისას გასათვალისწინებელი იყო სიტუაციის ექსტრაორდინალურობა. ორმოციანი წლების ბოლოსაკენ არსებული ვითარება და სისტემის გადაწყობასთან დაკავშირებული სირთულეები ამართლებდნენ გადაცდენებსა და გამორჩენებს.⁶⁰

⁵⁶ OLG Düsseldorf MedR 1986, 197.

⁵⁷ OLG Düsseldorf BeckRS 1988, 4099.

⁵⁸ BGH BeckRS 9998, 99195.

⁵⁹ BGH NJW 1953, 257.

⁶⁰ BGH BeckRS 1960, 30376478.

ბავშვი დაიბადა 5.460 კგ. მას შემდეგ, რაც დედის ორგანიზმიდან გამოვიდა თავი, მას, პირველ ეტაპზე, არ გამოჰყვა მხრები. პირველად თავი გამოქაჩა ბებიაქალმა, შემდეგ სპეციალურად მოხმობილმა გამოცდილმა ასისტენტ-ექიმმა. მხოლოდ ამის შემდეგ დაუძახეს ნამყვან ექიმს, რომელმაც შეძლო მშობიარობის დასრულება. ქაჩვის შედეგად განვითარებული გართულებების გამო ბავშვს წარმოეშვა მკლავის წნულის ცალმხრივი დამბლა, სახისა და ქუთუთოების დამბლასთან ერთად. გერმანულმა მხარის უმაღლესმა სასამართლომ უკუაგდო სარჩელი, რადგან ბებიაქალისაგან და ასისტენტ-ექიმისაგან უფრო მაღალი სტანდარტი არ იყო მოსალოდნელი, მიუხედავად იმისა, რომ მათი ქმედებები მემდომსახურების განწევს დადგენილ წესებთან თანხმობაში არ ყოფილა. გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ საქმე უკან დააბრუნა განსახილველად. საქიმო სტანდარტი – აქ: სამშობიარო განყოფილებაში აღიარებული სტანდარტი – განისაზღვრებოდა ობიექტივიზირებულად, ხოლო მის დაუცველობას უნდა გამოეწვია მემდპერსონალის პასუხისმგებლობა. მშობიარობისას, ნაყოფის მხრის დისტოციის შემთხვევაში რეკომენდირებული არ იყო დედის მუცლის ზედა ნაწილზე ვერტიკალური დანოლა, მიუხედავად იმისა, რომ 1993 წელს ეს ჯერ კიდევ არ ითვლებოდა უხეშ სამედიცინო შეცდომად.⁶¹

სამოქალაქო ბრუნვაში გამოსაყენებელი გულისხმიერება წარმოადგენს პლასტიკურ ინსტრუმენტს: ის არ ადგენს გახევებულ წესებს და არ ოპერირებს მეცნიერებიდან ნასესხები მოუხეშავი სტანდარტებით. ამის საპირისპიროდ, ყოველ ჯერზე უნდა დაისვას კითხვა, თუ როგორ მოიქცეოდა გამოცდილი და გულისხმიერი ზოგადი პროფილის მემდმუშაკი ან სპეციალისტი ექიმი ამ განსაკუთრებულ სიტუაციაში. სიტუაციაზე ორიენტირება წარმოადგენს გულისხმიერების განსაზღვრის ქვაკუთხედს. სტანდარტის გადმოღება მეცნიერებიდან ხდება მისი ნორმატიული გაფილტვრის შემდეგ. ამიტომაც შესაძლებელია, რომ კონკრეტულმა გარემოებებმა, მაგალითად, პაციენტის ალერგიული-

ბამ, განაპირობოს განსაკუთრებული გულისხმიერების გამოყენების აუცილებლობა. ამის საპირისპიროდ, შესაძლებელია ექსტრაორდინარულმა სიტუაციამ და გადაუდებელი დახმარების აუცილებლობამ ქვევით დანიოს გულისხმიერების ნორმალური სტანდარტი. მაგალითად, უბედური შემთხვევისას, როდესაც დაუყოვნებლივი რეაგირებაა საჭირო, გამართლებულია უჩვეულო ზომების გამოყენება (მაგ., საყლაპავი მილის გაჭრა ჯიბის დანით).⁶²

V. სამართლებრივი შედეგები

ზიანის ოდენობის გამოთვლა ხდება სკ-ის 408-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით. პაციენტს შეუძლია მოითხოვოს სამედიცინო შეცდომით განპირობებული დამატებითი მემდომსახურების ხარჯების ანაზღაურება და შესაბამისი მორალური ზიანი სკ-ის 413-ე მუხლის მიხედვით.

მკურნალობის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუკი პირისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეულია უშუალოდ მცდარი სამედიცინო მოქმედებით, ანუ გამოკვეთილია მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ის გარემოება, რომ ზიანი გამოიწვია სამედიცინო პერსონალის ქმედებამ, უტყუარად უნდა დადგინდეს. უშედეგო მკურნალობა ან მკურნალობის უარყოფითი შედეგი თავისთავად (უალტერნატივოდ) არ იწვევს სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობას. ზიანი გამოწვეული უნდა იყოს მკურნალობისას დაშვებული შეცდომებით, ანუ, თუ მკურნალობა სწორადაა ჩატარებული, თუნ-

⁶¹ BGH NJW 2001, 1786.

⁶² OLG Düsseldorf BeckRS 1976, 01108. 83 წლის პაციენტი კატარაქტის ოპერაციის გაკეთების შემდეგ, საავადმყოფოს საწოლიდან წამოდგომის მცდელობისას, ნაიქცა და მოიტეხა თეძო. სასამართლომ უკუაგდო მისი სარჩელი. პაციენტის მიმართ განსაკუთრებული დაცვითი ზომების გამოყენება (მაგ., დაბმა) აუცილებელი იყო მხოლოდ ექსტრაორდინალურ შემთხვევებში.

დაც მას უარყოფითი შედეგი მოჰყვეს, არ იწვევს ექიმის პასუხისმგებლობას.⁶³

მიზეზშედეგობრივი კავშირი (კაუზალიტეტი) ექიმის მხრიდან ვალდებულების დარღვევასა და ამით წარმოშობილ პირველად დაზიანებას შორის, ჩვეულებრივ, პაციენტმა უნდა ამტკიცოს,⁶⁴ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ექიმს შეერაცხება (პაციენტის მიერ სამტკიცებელი) უხეში შეცდომა მკურნალობისას, ანალიზების ჩატარებისას, დიაგნოზირებისას ან შეერაცხება მძიმე ორგანიზაციული გადაცდომა.⁶⁵

ზემოთ აღწერილი პრინციპების თანახმად, უხეში შეცდომა მედმომსახურებისას სახეზეა მედმუშაკის მხრიდან სამედიცინო გადაცდომის შემთხვევაში, რომელიც „ობიექტური საექიმო პოზიციიდან, ექიმისათვის მოქმედი განათლებისა და მეცნიერების მასშტაბის გამოყენებით, გაუგებარი და უპასუხისმგებლოა, რადგან ეს შეცდომა მედმუშაკს ამ პერსპექტივიდან საერთოდ არ უნდა მოსვლოდა.“⁶⁶ მედმომსახურების გამწვევს შეუძლია გააქარწყლოს კაუზალობის ვარაუდი, თუ დაამტკიცებს, რომ მოვლენათა ამგვარი განვითარება ცალკეულ შემთხვევაში სრულებით არასავარაუდო იყო.⁶⁷

გარდა ამისა, კაუზალიტეტი ივარაუდება ასევე მაშინაც, როდესაც მედმუშაკი არ იყო კომპეტენტური, გაენია შესაბამისი მომსახურება.⁶⁸

რაც შეეხება კაუზალობას ჯანმრთელობის თანმდევ ზიანთან⁶⁹ მიმართებით (ზიანი, რომელიც ჯანმრთელობის პირველად ხელყოფას სცდება), გამოიყენება პაციენტის სასარგებლოდ მტკიცების ტვირთის შემსუბუქება: საკმარისია, კაუზალობა სავარაუდო იყოს დიდი ალბათო-

ბით. სხვა მხრივ, უხეში სამედიცინო შეცდომის შემთხვევაში, მტკიცების ტვირთის შეტრიალება მასზე (თანმდევ დაზიანებაზე) არ ვრცელდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯანმრთელობისათვის მიყენებული თანმდევი ზიანი წარმოადგენს თავდაპირველი დაზიანების ტიპურ შედეგს და მედმუშაკის ქცევის წესების უხეში უგულვებელყოფა მოვლენათა სწორედ ამგვარი განვითარების რისკს შეიცავდა.⁷⁰

VI. დელიქტური მოთხოვნები – სკ-ის 992-ე მუხლი

სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების არსებობა არ გამოორიცხავს დელიქტური ვალდებულების წარმოშობას, ვინაიდან ამ სფეროში ზიანის წარმოშობას, როგორც წესი, საფუძვლად უდევს არა სახელშეკრულებო პირობათა დარღვევა, არამედ ჯანმრთელობაზე მართლსაწინააღმდეგო ქმედებით პირის აბსოლუტური უფლების ხელყოფა.

ექიმის სკ-ის 992-ე მუხლით დელიქტური პასუხისმგებლობის წინაპირობაა ზიანის მართლსაწინააღმდეგოდ მიყენება^{71,72} მართლსაწინააღმდეგობა, პირველ რიგში, შეიძლება განპირობებული იყოს აბსოლუტური უფლებების დარღვევით. ეს ექიმის პასუხისმგებლობის შემთხვევაში, ჩვეულებრივ, არის პაციენტის სხეული და ჯანმრთელობა. ამ სიკეთეთა ხელყოფა მოცემულ სიტუაციაში, როგორც წესი, გამონვეულია ექიმის უშუალო აქტიური ქმედებით. თუმცა, ამის გარდა, შესაძლოა სახეზე იყოს ბრუნვის უსაფრთხოების ვალდებულებების⁷³ დარღვევა, კერ-

⁶³ სუსგ № 260-244-11, 27.06.2011; სუსგ № ას-1124-1044-2017, 30.07.2018.

⁶⁴ BGH BeckRS 9998; შდრ. მიზეზშედეგობრივ კავშირთან დაკავშირებით: კვანტალიანი, მართლმსაჯულება და კანონი № 2(33)/2012, 5-ე და მომდევნო გვერდები.

⁶⁵ Greiner in Spickhoff (Hrsg.), Medizinrecht, Kommentar, 3. Auflage, 2018, § 630 a Rn. 33 ff.

⁶⁶ BGHZ 71, 132.

⁶⁷ Prütting/Merrem in Prütting, Medizinrecht, Kommentar, 5. Aufl. 2019, BGB § 630 h Rn. 59.

⁶⁸ შდრ. გსკ-ის 630 h IV პარაგრაფი.

⁶⁹ კვანტალიანი, მართლმსაჯულება და კანონი № 2(33)/2012, 7.

⁷⁰ იხ. კვანტალიანი, მართლმსაჯულება და კანონი № 2(33)/2012, 7; Prütting/Merrem in Prütting, Medizinrecht, Kommentar, 5. Aufl. 2019, BGB § 630 h Rn. 61.

⁷¹ კვანტალიანი, მართლმსაჯულება და კანონი № 2(33)/2012, 5.

⁷² სკ-ის 1007 II მუხლი არ წარმოადგენს მოთხოვნის დამოუკიდებელ საფუძვლებს, არამედ მხოლოდ უთითებს დელიქტური პასუხისმგებლობის მომწესრიგებელ ზოგად ნორმებზე. ამ მუხლის მე-2 წინადადება ატრიბუებს მტკიცების ტვირთს მედმუშაკისა და სამედიცინო დაწესებულების საზიანოდ.

⁷³ იხ. რუსიაშვილი/ვენატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2016, 203.

დოდ, ორგანიზაციული ვალდებულებების დარღვევა. ასევე, მხოლოდ არასწორმა ინფორმაციის მიმწოდებელმა პერსონალმა, რომელიც თავად არ აკეთებს ოპერაციას, შეიძლება პასუხი აგოს უმოქმედობისათვის (როდესაც ეკისრებოდა მოქმედების ვალდებულება) და მოუწიოს ოპერაციით მიყენებული სხეულებრივი ზიანის ანაზღაურება.⁷⁴

მედმუშაკის ზიანის მომტანი ქმედება უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო. ამასთან მართლსაწინააღმდეგობა, შედეგის უმართლობის შესახებ მოძღვრების თანახმად, ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის დაზიანებით. ამიტომაც, უნდა მოხდეს მხოლოდ მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხავი ფაქტორების შემოწმება, განსაკუთრებით კი – პაციენტის თანხმობის.

სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის მსგავსად მედმუშაკის ბრალი ივარაუდება და ის ამ უკანასკნელის გასაქარწყლებელია (სკ-ის 1007 2 მუხლი). გაუფრთხილებლობის სტანდარტთან და ზიანის ფარგლებთან დაკავშირებით იხ. ზემოთ.

მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევა არასათანადო სამედიცინო მომსახურება, რაც გულისხმობს სამედიცინო მომსახურების გამწვევის მიერ სამედიცინო საქმიანობის მარეგულირებელი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების დარღვევას. მედიცინის მუშაკის ქცევა მართლსაწინააღმდეგოა, თუ პაციენტს ზიანი მიადგა არსებული სტანდარტების გვერდის ავლით განხორციელებული სამედიცინო მომსახურებით.⁷⁵

ქცევის მართლსაწინააღმდეგობა შეიძლება გამოიხატოს როგორც მოქმედებაში, ასევე უმოქმედობაში. ასე მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ პაციენტის მიძიმე მდგომარეობის მიუხედავად, მოპასუხემ მისი ჰოსპიტალიზაცია დროულად არ განახორციელა, პაციენტის საერთო მდგომარეობა

32-36 საათით დაგვიანებული ჰოსპიტალიზაციის პირობებში უკიდურესად დამძიმდა, რის გამოც სამედიცინო პერსონალის შემდგომი ქმედებები უშედეგო აღმოჩნდა და პაციენტი გარდაიცვალა.⁷⁶

სამედიცინო მუშაკის ქმედების მართლსაწინააღმდეგობის შეფასებისას სასამართლო უთითებს შემდეგზე: საქმეში შეცდომაში იგულისხმება ექიმის მიერ საზოგადოდ აღიარებული სამედიცინო და ეთიკური სტანდარტებისა და კანონმდებლობით განსაზღვრული წესების დარღვევა, რამაც განაპირობა პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება, რაც, თავის მხრივ, პაციენტისათვის ზიანის მიყენების უშუალო მიზეზი გახდა.⁷⁷

VII. შეჯამება

ექიმის პასუხისმგებლობის სამართალში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სტანდარტული საფუძვლები, როგორებიც არის სკ-ის 394 I და 992-ე მუხლები, გარკვეულ მოდიფიკაციას განიცდიან. ეს, პირველ რიგში, ეხება მტკიცების ტვირთსა და გაუფრთხილებლობის, როგორც ბრალის ფორმის, სპეციალურ მასშტაბს, მაგრამ ასევე ექიმის ვალდებულებათა პროგრამას. ექიმის პასუხისმგებლობის სამართალი წარმოადგენს გარკვეულ რეგულატორულ ნაზავს ზოგადი პასუხისმგებლობის რეჟიმისა იმ სპეციალურ რეჟიმთან, რომელიც განპირობებულია სამედიცინო პროფესიის სპეციფიკით (სამეცნიერო დარგობრივი ცოდნა და ამ პროფესიის პრაქტიკაში განხორციელებასთან დაკავშირებული თავისებურებები), თუმცა ამავდროულად არც თუ უმნიშვნელო როლს თამაშობს მთელი რიგი სოციალური ფაქტორები.

⁷⁴ BGH VersR 2015, 240.

⁷⁵ კვანტალიანი, პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, თბილისი, 2014, გვ.167.

⁷⁶ სუსგ № ას-1057-997-2015, 29.01.2016.

⁷⁷ სუსგ № 1268-1526-09, 25.05.2010.

რწმუნებულების ფარგლებში ციფრულ აქტივებზე წვდომის წესების ჩამოყალიბება ამერიკის შეერთებულ შტატებში*

არკადიუმ ვუდარსკი

ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტისა და ზიელონა გორას უნივერსიტეტის პროფესორი

I. კვლევის სფერო და მიზანი

დიგიტალიზაცია შეეხება ჩვენი ცხოვრების მრავალ სფეროს. მას გავლენა აქვს არა მხოლოდ ინდივიდის ქცევაზე, არამედ განსაზღვრავს მთელი საზოგადოების ფუნქციონირებას გლობალიზაციის მასშტაბით.

ამერიკის შეერთებული შტატები არის ტექნოლოგიური ცვლილებების წინამორბედი და ინტერნეტ სერვისების ლიდერი, რომელიც გადატრიალებას ახდენს ჩვენს რეალობაში¹. 2019 წელს აშშ-ის მოქალაქეების თითქმის 79%-ს² ჰქონდა სოციალური ქსელის ანგარიში. ამავე ქვეყანაში თავისი შტაბ-ბინა გააჩნია უდიდეს სოციალურ ქსელს - Facebook-ს³. მხოლოდ აღ-

ნიშნული პორტალის⁴ განვითარების ისტორიაა საკმარისი ჩვენი ცხოვრების დიგიტალიზაციის დინამიკის ჩვენებისთვის. Facebook-მა პირველ მილიონ მომხმარებელს 2004 წელს მიაღწია, საქმიანობის დაწყებიდან რამდენიმე თვეში. 2007 წელს მომხმარებელთა რაოდენობა უკვე 58 მლნ ადამიანს შეადგენდა, 2017 წელს კი ამ რიცხვმა 2 მილიარდს გადააჭარბა⁵. დღიურად Facebook-ის პლატფორმას მილიარდამდე ადამიანი იყენებს⁶.

დიგიტალიზაცია გავლენას ახდენს არა მხოლოდ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე, არამედ იგი ქმნის დამოუკიდებელ სივრცეს, რომელიც ჩვენი გარდაცვალების შემდეგაც რჩება.

* სტატია გამოქვეყნებულია: Arkadiusz Wudarski, Kształowanie się zasad dostępu do zasobów cyfrowych w ramach zarządu powierniczego w Stanach Zjednoczonych, Forum Prawnicze, Nr 1(57) (2020). პოლონური ენიდან თარგმნა ელენე ჩხიტიძემ.

¹ ამერიკულ ინტერნეტ სერვისებს 2018 წელს 312 მლნ მომხმარებელი ჰყავდა და ყველაზე დიდ ბაზარს წარმოადგენდა მსოფლიოში. J. Clement, Internet usage in the United States – Statistics & Facts, <https://www.statista.com/topics/2237/internet-usage-in-the-united-states/> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

² დაახლოებით 247 მლნ ადამიანი, Percentage of U.S. population with a social media profile from 2008 to 2019, <https://www.statista.com/statistics/273476/percentage-of-us-population-with-a-social-network-profile/> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

³ ზრდასრული ამერიკელების რაოდენობა, რომლებიც Facebook-ს იყენებდა, დაყოფილია ასაკობრივ ჯგუფებად: 18-29 წელი (82%), 30-44 წელი (89%), 45-54 წელი (88%), 55-64 წელი (84%), 65 წელი და მეტი (77%),

<https://www.statista.com/statistics/200548/users-with-social-site-accounts-by-age-group/> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

⁴ Facebook-ის მომხმარებელთა რიცხვი: 1 მლნ (1 დეკემბერი 2004 წ.), 6 მლნ (1 დეკემბერი 2005 წ.), 12 მლნ (1 დეკემბერი 2006 წ.), 58 მლნ (1 დეკემბერი 2007 წ.), 360 მლნ (1 დეკემბერი 2009 წ.), 500 მლნ (21 ივლისი 2010 წ.), 1 მლრდ (4 ოქტომბერი 2012 წ.), 2 მლრდ (27 ივნისი 2017 წ.) –Facebook-ის მონაცემები, Our History, <https://newsroom.fb.com/Company-Info/> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

⁵ Zob. dane podane przez Facebook 27 czerwca 2017 r.: M. Nowak, G. Spiller Two Billion People Coming Together on Facebook, <https://newsroom.fb.com/news/2017/06/two-billion-people-coming-together-on-facebook/> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

⁶ Mark Zuckerberg-ის მიერ Facebook-ზე გამოქვეყნებული მონაცემები, <https://www.facebook.com/zuck/posts/10102329188394581> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

მასთან დაკავშირებულია არაერთი ძირითადი იურიდიული საკითხი, რომელიც ზოგადად შეიძლება გამოიხატოს კითხვაში: რა ემართება ჩვენს ვირტუალურ სამყაროს, განსაკუთრებით კი დაგროვებულ ციფრულ აქტივებს, ჩვენი სიკვდილის შემდეგ?

ზემოაღნიშნულ კითხვაზე პასუხის ძიებაში პირველი, რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებული შტატებია, რომელმაც დაარეგულირა ციფრულ პროდუქტზე წვდომის საკითხი მისი მესაკუთრის გარდაცვალების ან ქმედუუნაროების შემთხვევაში. ძნელია მოცემული სამართლებრივი კონსტელაციის შეფასება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. ინტერნეტ სერვისების გლობალური ბუნება, როგორც ნესი, არ შემოიფარგლება ერთი ქვეყნით. ამ სფეროში ამერიკული კომპანიების დომინანტური მდგომარეობის გათვალისწინებით ჩანს, რომ ამერიკული კანონმდებლობის გავლენა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. სტატია წარმოადგენს საკითხის კვლევის პირველ ნაწილს, რომლის მიზანია ამერიკის შეერთებულ შტატებში ნდობის ფარგლებში ციფრულ რესურსებზე წვდომის წესების გაერთიანების პროცესის ანალიზი და ასევე სამართლებრივი გადაწყვეტილებების შეფასება ევროპული პერსპექტივიდან.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის სახელმწიფო დონეზე ჩამოყალიბების პროცესის დასაწყისი. იგი განიხილავს იმ პრობლემებს, რომელთა წინაშეც ამერიკელი იურისტები შესაბამისი გადაწყვეტილებების ძიებისას აღმოჩნდნენ, განმარტავს მიღებულ რეგულაციებსა და ახდენს შემოთავაზებული სამართლებრივი მოდელური აქტების შეფასებას. სტატია მიმოიხილავს იმ პროცესის ეტაპებს, რომელმაც 2015 წელს გამოიწვია სამართლის მოდელური კანონის შექმნა, ე. წ. **Revised Uniform Fiduciary Access to Digital Assets Act (RUFADAA)**.

კვლევა ემყარება ამერიკულ დოქტრინას, ქვეყნის სამართლებრივ აქტებს, საკანონმდებლო დოკუმენტებს, ასევე ექსპერტთა ჯგუფების მუშაობის შედეგებს.

II. ელ-ფოსტის ანგარიშზე წვდომა (2005)

სამართლებრივი საფუძვლის შექმნა, რომელიც მომხმარებლის გარდაცვალების შემდეგ ციფრულ აქტივებზე წვდომის წესებს განსაზღვრავს, შეერთებულ შტატებში გრძელ პროცესს წარმოადგენდა, რომელიც შეიძლება სამ ეტაპად დაიყოს⁷.

პირველი შტატი⁸, რომელმაც 2005 წელს ნაწილობრივ დაარეგულირა ეს საკითხი, იყო კონექტიკუტი⁹. აღნიშნულის წინაპირობა გახდა მეუღლისთვის გარდაცვლილი ქმრის ელექტრონულ ფოსტაზე წვდომის შეზღუდვა, რომელიც შეიცავდა მათი ერთობლივი საქმიანობის

⁷ მსგავსი დაყოფა შემოაქვს A.B. Lopez, *Posthumous Privacy, Decedent Intent, and Post-Mortem Access to Digital Assets*, „George Mason Law Review” 2016, vol. 24, nr 1, s. 192–215; por. G.W. Beyer, N. Cahn, *Digital Planning: the Future of Elder Law*, „National Academy of Elder Law Attorneys Journal” 2013, vol. 9, nr 1, s. 142–145; შტატების გადაწყვეტილებების სამ დონიანს კლასიფიკაციას, რომელიც უფლებების სხვადასხვა მასშტაბს მოიცავს: (1) **E-mail Based** – ელექტრონულ ფოსტაზე წვდომა, (2) **Actionable** – ანგარიშის დახურვის შესაძლებლობა, ასევე, ზოგჯერ მისი შემდგომი მართვა და (3) **Possessory** – ციფრული აქტივების სხვა პიროვნებისთვის გადაცემა, გვთავაზობს M.D. Glennon, *A Call to Action: Why the Connecticut Legislature Should Solve the Digital Asset Dilemma*, „Quinnipiac Probate Law Journal” 2014, vol. 28, nr 1, s. 61–66.

⁸ ძნელია კალიფორნიის შტატის პირველობის აღიარება, რომლის 2002 წელს მიღებული რეგულაცია უშუალოდ არ შეეხებოდა გარდაცვლილის ანგარიშზე წვდომას. ის მხოლოდ ინტერნეტ სერვისების მიმწოდებელს ავალდებულებდა, რომ სულ მცირე 30 დღით ადრე გაეფრთხილებინა კლიენტი ანგარიშის დახურვის შესახებ. ინფორმაცია ელექტრონული ფოსტის გზით იყო გადაგზავნილი. შესაბამისად მსგავსი გამოსავალი გამოუსადეგარი იყო სამკვიდროს მმართველისთვის, რომელმაც გარდაცვლილის იმეილი და მისი მონაცემები არ იცოდა. por.: § 17538.35 (a) California Code. Business and Professions Code (2011); G.W. Beyer, N. Cahn, *Digital Planning...*, s. 143.

⁹ 2005 წლის 24 ივნისის კანონი – *An Act Concerning Access to Decedents' Electronic Mail Accounts*, რომელიც ძალაში შევიდა 01.10.2005, <https://www.cga.ct.gov/2005/act/Pa/2005PA-00136-R00SB-00262-PA.htm> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

შესახებ ინფორმაციას¹⁰. ამასთან, ახალი რეგულაციის მოქმედების სფერო¹¹ ძალიან ვიწრო იყო: ის ეხებოდა მხოლოდ გარდაცვლილის ელ. ფოსტის ანგარიშზე წვდომას¹² და არა სხვა ციფრულ რესურსებს, როგორც ეს 2015 წლის კანონით გაიწერა¹³. აღნიშნულზე ზეგავლენა შესაძლოა ჰქონოდა სოციალური ცხოვრების დიგიტალიზაციის შედარებით დაბალ დონეს. იმ დროს ამერიკელთა მხოლოდ 7% იყენებდა სოციალურ მედიას¹⁴. საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ელ. ფოსტის მომსახურების მიმწოდებელს¹⁵ უნდა უზრუნველყო ანდერძის აღმასრულებლის ან სამკვიდროს მმართველის გარდაცვლილის ანგარიშზე¹⁶ წვდომა. ამისთვის საჭირო იყო წერილობითი განცხადების ნა-

რდგენა¹⁷, რომელსაც თანდართული უნდა ჰქონოდა გარდაცვალების მოწმობის ასლები და ანდერძის აღმასრულებლის ან სამკვიდროს მმართველის დანიშვნის სერტიფიკატი¹⁸. რეგულაცია ეხებოდა მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც გარდაცვალების დროს კონექტიკუტში ცხოვრობდნენ¹⁹.

ინდიანაში პირველად დარეგულირდა ონლაინ აქტივები, როგორც საკუთრება. ციფრული აქტივების მემკვიდრეობის რეგულირების აუცილებლობა ძნელად აღქმადი იყო დანარჩენი შტატების კანონმდებლებისთვის. სხვადასხვა შტატში განსახილველი საკითხისადმი მომწესრიგებელი კანონებისთვის საჭირო იყო 2 წლიანი ლოდინიც კი. კონექტიკუტის ნაბიჯებს 2007 წელს გაჰყვა მხოლოდ 2 შტატი: ინდიანა²⁰ და როდ აილენდი²¹; ორივე კანონი ერთხმად იქნა მიღებული²². როდ აილენდის რეგულაციები²³

¹⁰ იხ. პროექტზე სენატის განმარტება (Senate Bill – SB), nr 262 z 5.04.2005 მომზადებული იუსტიციის კომისიის მიერ: Judiciary Committee, Report on Bills Favorably Reported By Committee, <https://www.cga.ct.gov/2005/jfr/s/2005SB-00262-R00JUD-JFR.htm> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

¹¹ § 45a-334a Connecticut General Statutes (dalej: CT Gen Stat) (2012), <https://law.justia.com/codes/connecticut/2012/title-45a/chapter-802b/section-45a-334a> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

¹² § 45a-334a 1 ოქტომბერს 2016 წელს იქნა შეცვლილი § 45a-334b – § 45a-334s CT Gen Stat. ახალი წესები წარმოადგენს RUFADAA-ს სამოდელო კანონპროექტის ნორმებს; Connecticut-ის შტატის მიმდინარე სამართალი იხ. <https://www.cga.ct.gov/current/pub/titles.htm> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

¹³ A.B. Lopez, Posthumous Privacy..., s. 193–194; M.D. Glennon, A Call to Action..., s. 50–51; M.W. Costello, The “PEAC” of Digital Estate Legislation in the United States: Should States “Like” That?, „Suffolk University Law Review” 2016, vol. 49, s. 436–437.

¹⁴ Pew Research Center-ის მიერ ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობილი მონაცემები: A. Perrin, Social Media Usage: 2005–2015, <https://www.pewresearch.org/internet/2015/10/08/social-networking-usage-2005-2015/> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020); A.B. Lopez, Posthumous Privacy..., s. 203.

¹⁵ ცნება „ელ-ფოსტის მომსახურების მიმწოდებელი“ (Electronic mail service provider) განმარტებულ იქნა § 45a-334a (a) (1) CT Gen Stat.

¹⁶ ცნება „ელ-ფოსტის ანგარიში“ (electronic mail account) განმარტებულ იქნა § 45a-334a (a) (2) CT Gen Stat.

¹⁷ რა თქმა უნდა, ელ-ფოსტის ანგარიშზე წვდომის საფუძველი შეიძლება შესაბამისი მემკვიდრეობითი სასამართლოს გადაწყვეტილება ყოფილიყო § 45a-334a (b) (2) CT Gen Stat.

¹⁸ § 45a-334a (b) (1) CT Gen Stat.

¹⁹ § 45a-334a (b) CT Gen Stat.

²⁰ იხ. სენატის პროექტი SB nr 212 (2007) წარდგენილი 2007 წლის 8 იანვარს სენატორ ფორდის მიერ და მიღებულია 115 სესიაზე; <http://iga.in.gov/legislative/archive/bills/2007/SB/0212> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

²¹ იხ. An Act Relating to Probate Practice and Procedure, LC01978, 2007 – S 0732. კანონპროექტი წარდგენილ იქნა 2007 წლის 15 თებერვალს სენატორების Jabour, Connors და McBurney-ს მიერ <http://webserver.rilin.state.ri.us/BillText/BillText07/SenateText07/S0732.pdf> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

²² A.B. Lopez, Posthumous Privacy..., s. 194, 0112.PDF.pdf (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

²³ Zob. § 33-27-3 State of Rhode Island General Laws (R.I. Gen Laws); ამ წესის შინაარსი ჩანაცვლებულ იქნა ახალი ნორმებით, რომელიც მოცემული იყო An Act Relating to Probate Practice and Procedure – Revised Uniform Fiduciary Access to Digital Assets Act. ეს პროექტი წარდგენილ იქნა სენატორების შეკრებაზე 2019 წლის 14 მარტს სენატორების Lombardi, McCaffrey, Lynch Prata, Conley და Archambault-ის მიერ (LC002098/SUB A, 2019 – S 0592 SUBSTITUTE A). ახალი ნორმები (§ 33-27.1-1 – § 33-27.1-19 R.I. Gen Laws) გამომდინარეობს RUFADAA-დან, <https://trackbill.com/bill/rhode-island-senate-bill-592-an-act-relating-to-probate-practice-and-procedure-revised->

კონექტიკუტის მოდელის საფუძველზე მხოლოდ გარდაცვლილის ელ. ფოსტაზე წვდომას უზრუნველყოფდა²⁴.

ამასთან, ეს საკითხი სხვაგვარად²⁵ და ოდნავ უფრო ფართოდ მოწესრიგდა ინდიანას შტატის კანონმდებლობაში²⁶, სადაც მოხსენიებულია ნებისმიერი დოკუმენტისა და ინფორმაციის გადაცემა, რომელიც გარდაცვლილმა ელექტრონული ფორმით დატოვა²⁷.

ადმინისტრატორს, ანუ პირს, რომელიც ელექტრონულად ინახავს სხვა პირის დოკუმენტებს ან ინფორმაციას²⁸, დამატებით ევალებოდა მათი განადგურებისაგან და მათი განკარგვისაგან თავის შეკავება სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებიდან ან მათი გადაცემის მოთხოვნიდან ორი წლის განმავლობაში²⁹.

ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ საკანონმდებლო პროცესში კანონპროექტის შინაარსის მიხედვით, ინდიანას კანონმდებელი ელექტრონულ დოკუმენტაციას, როგორც მემკვიდრეობით უფლებების ობიექტს სამკვიდროს ნაწილად განიხილავს (estate property)³⁰. ეს არის

აშშ-ს ერთ-ერთი პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელშიც ელექტრონული აქტივები მოხსენიებულ იქნა როგორც ქონება (property)³¹, თუმცა ამ ტერმინის განმარტება კანონშემოქმედების პროცესში შექმნილ დოკუმენტაციაში არ არსებობს.

2005–2007 წლებში ყურადღება გამახვილდა მხოლოდ გარდაცვლილის ელ. ფოსტის ანგარიშის მემკვიდრეობის ფორმალური მოთხოვნების ზოგად განსაზღვრაზე. ამასთან, ამ ფუნდამენტური საკითხის მოგვარებას წინ არ უძღოდა სიღრმისეული სისტემური ან დოქტრინალური კვლევა, არამედ თანამედროვე სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილების აუცილებლობა. იმ შტატების რიცხვი, რომლებმაც იმ დროს ამ საკითხების ნორმატიული რეგულირება გადაწყვიტეს, მცირე იყო.

III. ინტერნეტ სერვისებზე წვდომა (2010-2014)

2010-2014 წლები წარმოადგენს საკანონმდებლო საქმიანობის მეორე ეტაპს. ამ დროს სამართლებრივი აქტები შეიქმნა ოკლაჰომასა და აიდაჰოში. ამ შტატებში მიღებული გადაწყვეტილებები ეწინააღმდეგებოდა უფრო ფართო და დეტალური რეგულირების საჭიროებას გარდაცვლილის ციფრულ აქტივებზე წვდომის შესახებ. ეს იყო საზოგადოების პროგრესული დიგიტალიზაციის, მათ შორის, ინტერნეტ სერვისების ახალი ფორმების გამოჩენის შედეგი, რომელთათვისაც ფეხის აწყობას ცდილობდნენ კანონმდებლები.

გარდაცვლილის ციფრული აქტივების ფართო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისას ყურადღება გამახვილდა საავტორო უფლებების დაცვის, ფედერალურ სამართალთან თანხვედრისა თუ სერვისის მიმწოდებლის პასუხისგებლობის საკითხებზე. დოქტრინაში ყურადღება მიიპყრო საკანონმდებლო ცვლილებების³² ფართომასშტაბიანმა მხარდაჭერამ, რომე-

uniform-fiduciary-access-to-digital-assets-act-regulates-fiduciary-and-designated-recipient-access-to-digital-assets-relating-to-probate-practice-and-procedure-by-creating-the-revised-uniform-fiduciary-access-to-digital-assets-act-to-promote-uniformity-of-the-law-among-states-that-enact-it/1726459/ (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

²⁴ კატეგორია E-mail Based შემოთავაზებულია M.D. Glennon-ის მიერ, A Call to Action..., s. 61–63.

²⁵ ინდიანას კანონმდებელი იყენებს ცნებებს: custodian, personal representative, letters testamentary.

²⁶ § 29-1-13-1.1 (Electronically stored documents of deceased) Indiana Code (IC) ძალაში შევიდა 2007 წლის 1 ივლისს ; RUFADAA იმპლემენტირებულ იქნა 2016 წლის 1 ივლისს; სენატის პროექტი SB nr 253 (2016) ზოგად შეკრებაზე წარდგენილ იქნა 2016 წლის 7 იანვარს სენატორების B. Waltz და R. Bray-ს მიერ და მიღებულ იქნა ზოგადი შეკრების მეორე სესიაზე 119; საკანონმდებლო პროცესის სრული დოკუმენტაცია: <http://iga.in.gov/legislative/2016/bills/senate/253#> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

²⁷ § 29-1-13-1.1 (b) IC (2007). M.D. Glennon, A Call to Action, s. 65–66, ინდიანას და ვირჯინიის რეგულაციები შედის Possesory კატეგორიაში.

²⁸ § 29-1-13-1.1 (a) IC (2007).

²⁹ § 29-1-13-1.1 (c) IC (2007).

³⁰ Digest of SB 2012 (13.03.2007), Electronic documents as estate property,

<http://iga.in.gov/legislative/archive/bills/2007/SB/0212> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

³¹ A.B. Lopez, Posthumous Privacy..., s. 194.

³² A.B. Lopez, Posthumous Privacy..., s. 196.

ლიც თითქმის ყოველთვის ერთხმად³³ მიიღებოდა. ასეთი ფართო კონცეფცია შესაძლებელი იყო, რადგანაც ციფრული ქონების მემკვიდრეობის რეგულაცია სახელმწიფო ბიუჯეტს არ ტვირთავდა³⁴.

2010 წელს ოკლაჰომის კანონმდებელმა³⁵ ანდერძის აღმასრულებელსა და სამკვიდროს მმართველს მიანიჭა გარდაცვლილის ელექტრონული ფოსტის, ასევე სოციალურ ქსელში არსებული სხვა ანგარიშების, მიკრობლოგის და ინტერნეტ საიტების კონტროლის უფლებამოსილება, რომლებიც მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნის საშუალებას იძლევა³⁶. კონტროლის მიღება იძლეოდა ანგარიშით სარგებლობის, განკარგვისა და ასევე დახურვის შესაძლებლობას. იმავეწაირად, ერთი წლის შემდეგ (2011 წელს) ეს საკითხი მონესრიგდა აიდაჰოს შტატში³⁷. აღნიშნული განსხვავებულ იქნა რეგულაციაში³⁸, რომელიც სამკვიდროს მმართველის უფლებამოსილების ფარგლებში³⁹ ენობრი-

ვად მსგავსი იყო⁴⁰ ოკლაჰომის რეგულაციისა⁴¹. მოცემულ დოკუმენტში ცალსახად აღინიშნა, რომ სამკვიდროს მმართველს მხოლოდ გარდაცვლილის ინტერესებიდან გამომდინარე შეუძლია ამ უფლებამოსილებებით სარგებლობა⁴².

2014 წელს შტატებს, რომლებმაც ციფრული აქტივების მემკვიდრეობით გადაცემა კანონით დაარეგულირეს, შეუერთდა ლუიზიანა. ამ შტატის რეგულაცია უფრო დეტალურია და მოიცავს რამდენიმე ახალ მნიშვნელოვან ასპექტს. როგორც სხვა შტატებში, სამკვიდროს მმართველს⁴³ გარდაცვლილის ციფრულ ანგარიშებზე აქაც მიენიჭა კონტროლის უფლებამოსილება⁴⁴. მიღებული რეგულაცია⁴⁵ გარდაცვლილის ციფრული ანგარიშების განმკარგველ პირს⁴⁶ ავალდებულებდა⁴⁷ ხელმისაწვდომი გაეხადა⁴⁸ ისინი მმართველის დანიშვნის შესახებ ოფიციალური დამადასტურებელი დოკუმენტის⁴⁹ მიღებიდან 30 დღის ვადაში. ანგარიშის ცნება ფართოდ იქნა განმარტებული და მან მოიცვა ციფრული საქმიანობის ყველა ფორმა.

გარდა უკვე ნახსენები მაგალითებისა, ოკლაჰომას კანონმდებლობაში ასევე განსაზღვრულია ინტერნეტ-ფინანსური და სხვა მსგავსი ციფრული მომსახურება უსაფრთხოების ყველა

³³ Tamže, s. 197.

³⁴ Tamže, s. 197–198.

³⁵ 2010 წლის 29 აპრილის კანონი ძალაში შევიდა 2010 წლის 1 ნოემბერს; Oklahoma ALS (Advance Legislative Service) 2010 r., rozdz. 181, projekt Izby Reprezentantów (House Bill – HB) nr 2800; საკანონმდებლო პროცესის ისტორია, <http://www.oklegislature.gov/BillInfo.aspx?Bill=HB2800&Session=1000>

(უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

³⁶ § 58-269 Oklahoma Statutes (2016); <http://www.oklegislature.gov/osstatuestitle.html> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

³⁷ 2011 წლის 16 მარტის კანონი ძალაში 2011 წლის 1 ივლისს ALS 2011 r., rozdz. 69, projekt Senatu SB nr 1044; საკანონმდებლო პროცესის ისტორია, <https://legislature.idaho.gov/sessioninfo/2011/legislation/S1044/> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

³⁸ § 15-3-715 (28) Idaho Statutes (IS), <https://legislature.idaho.gov/statutesrules/idstat/title15/t15ch3/sect15-3-715/> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020.); <https://legislature.idaho.gov/statutesrules/idstat/> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

³⁹ სამკვიდროს ადმინისტრატორი შტატის კანონმდებლობაში განმარტებულია როგორც მაგ. ოკლაჰომაში - Oklahomie - personal representative, ლუიზიანაში - succession representative, კონექტიკუტში - administrator. განსხვავებები დასახელებებს შორის არ ახდენს ამ ინსტიტუტის ბუნებაზე ზეგავლენას.

⁴⁰ A.B. Lopez, Posthumous Privacy..., s. 195.

⁴¹ ოკლაჰომას, აიდაჰოსა და ნევადას რეგულაციები შევიდა კატეგორიაში Actionable, M.D. Glennon, A Call to Action..., s. 63–65.

⁴² უფლებების შეზღუდვა შესაძლო იყო კანონით, ანდერძით ან/და უფლებამოსილი სასამართლოს გადაწყვეტილებით (§ 15-3-902 IS).

⁴³ Art. 3191 (A) Louisiana Code of Civil Procedure (La. Code Civ. Proc.) (2015).

⁴⁴ art. 3191 (C) La. Code Civ. Proc. (2015).

⁴⁵ Art. 3191 (D) (1) La. Code Civ. Proc. (2015).

⁴⁶ Any person that electronically stores, maintains, manages, controls, operates, or administers the digital accounts of a decedent.

⁴⁷ კანონისმიერი გამონაკლისების გათვალისწინებით (მე-2 მუხლი) ასევე ფედერალური სამართლის ფარგლებში.

⁴⁸ Transfer, deliver, or provide a succession representative access or possession of any digital account of a decedent.

⁴⁹ შეეხება letters testamentary, letters of administration და letters of independent administration.

ფორმასთან ერთად⁵⁰, რომლებიც მოიცავდა ციფრული რესურსებს, მათ შორის, ტექსტებს, სურათებს, მულტიმედია ინფორმაციასა და საკუთრების სხვა ობიექტებს, რომლებიც შენახულია ანგარიშებზე ან ამ ანგარიშების საშუალებითაა ხელმისაწვდომი⁵¹. ამასთან, ყურადღება გამახვილდა ლიცენზიის შეზღუდვებზე. მომხმარებლის წარმომადგენელი, სამკვიდროს მმართველი ან რწმუნებული პირადად იყო პასუხისმგებელი საავტორო უფლებების დარღვევაზე, რომელიც მოხდებოდა ციფრული ანგარიშის ან მისი შინაარსის გადაცემის ან განაწილების დროს⁵².

ლუიზიანის კანონმდებელმა, ამავდროულად, სავალდებულოდ აღიარა ციფრული სერვისის მიმწოდებლის გათავისუფლება სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან მის მიერ (კანონიერი) საქმიანობის განხორციელებისას, რომელიც ემსახურება ციფრული ანგარიშის შინაარსზე წვდომის უზრუნველყოფას⁵³. ხაზი გაესვა ამ რეგულაციის განსაკუთრებულ ხასიათსაც და გადაწყდა, რომ იგი უპირატესია სხვა იურიდიულ ნორმებთან და, მათ შორის, სახელშეკრულებო დებულებებთან⁵⁴. ამასთან, საკანონმდებლო ცვლილებების მიმართულება არ იყო ერთიანი. მითითებულ პერიოდში შეიქმნა კიდევ ორი რეგულაცია - ვირჯინიასა⁵⁵ და ნევადაში⁵⁶ - რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა დანარჩენისაგან. მათი ფარგლები შეზღუდული იყო და ციფრული აქტივებისადმი ფართო წვდომას არ ითვალისწინებდა.

ვირჯინია ორიენტირებული იყო მხოლოდ გარდაცვლილი არასრულწლოვნის ელექტრონულ ანგარიშზე წვდომის რეგულირებაზე⁵⁷. შესაბამისად, ღიად დარჩა სრულწლოვანი პირის

გარდაცვალების შემდეგ მის ანგარიშზე წვდომის საკითხი⁵⁸. ლუიზიანას მსგავსად, აქაც იქნა გამორიცხული სერვისის მიმწოდებლის პასუხისმგებლობა⁵⁹. თუმცა მათ დაეკისრათ ვალდებულება 60 დღის განმავლობაში ინტერნეტ ანგარიშების გადაცემასთან დაკავშირებით⁶⁰. დავისა და სასამართლო წარმოების დაწყების შემთხვევაში მომსახურების მიმწოდებელს საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე შეეძლო თავი შეეკავებინა ამ ვალდებულების შესრულებისგან⁶¹. რა თქმა უნდა, ანგარიშზე წვდომა არ შეიძლება ყოფილიყო წინააღმდეგობაში (შტატის და ფედერალური)⁶² სამართლის ნორმებთან, სასამართლო გადაწყვეტილებებთან, ან დერძის შინაარსთან, მეურვეობასთან, მინიჭებული მინდობილობის ფარგლებთან და აგრეთვე სახელშეკრულებო დებულებებთან⁶³, მათ შორის სალიცენზიო შეზღუდვებთან⁶⁴.

საკითხისადმი კიდევ უფრო განსხვავებული გადაწყვეტა მოიძებნა ნევადაში. ამ შტატში კანონმდებელმა მხოლოდ და მხოლოდ გარდაცვლილის⁶⁵ საჯაროდ ხელმისაწვდომი ინტერნეტ ანგარიშებისა⁶⁶ და სხვა ციფრული რესურსების⁶⁷ დახურვის ზომებზე დართო ნებართვა. თუმცა მათ კონტენტზე წვდომა არ უზრუნველყო. ამავდროულად, აუცილებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებათა, კერძოდ კი, მომსახურების პირობების დაცვა სერვისის მიმწოდებლის ან ანგარიშის ადმინისტრატორის

⁵⁰ შესაძლოა იყოს სიტყვის, ნიშნების, კოდების ან სახელშეკრულებო პირობების ფორმით.
⁵¹ Art. 3191 (H) La. Code Civ. Proc. (2015).
⁵² Art. 3191 (F) La. Code Civ. Proc. (2015).
⁵³ Art. 3191 (G) La. Code Civ. Proc. (2015); por. § 64.2-110 (D) Code of Virginia (VA Code) (2014).
⁵⁴ Art. 3191 (E) La. Code Civ. Proc. (2015).
⁵⁵ 2013 წლის 13 მარტის კანონი, Virginia ALS 2013 r., თავი. 280, projekt Izby Reprezentantów HB nr 1752.
⁵⁶ 2013 წლის 1 ივნისის კანონი, Nevada ALS 2013, თავი. 325, projekt Senatu SB nr 131.
⁵⁷ § 64.2-110 (A) VA Code (2014).

⁵⁸ ციფრული ანგარიში განმარტებულ იქნა § 64.2-109 VA Code (2014). ცნება არ მოიცავს ხსენებულ ანგარიშებს § 64.2-604 VA Code (2014).
⁵⁹ § 64.2-110 (D) VA Code (2014).
⁶⁰ ვადის ათვლა გარდაცვალების მოწმობისა და განცხადების შეტანის დღიდან იწყება, § 64.2-110 (B) VA Code (2014).
⁶¹ § 64.2-110 (B) VA Code (2014).
⁶² § 64.2-110 (C) VA Code (2014).
⁶³ ცნება Terms of service agreement განიმარტა § 64.2-109 VA Code (2014).
⁶⁴ § 64.2-110 (A) VA Code (2014).
⁶⁵ არ შეეხებოდა ეს ფინანსურ, განსაკუთრებით კი საბანკო და საინვესტიციო ანგარიშებს, § 143.188.2 Nev. Rev. Stat. (2015).
⁶⁶ § 143.188.1 (a) 1–5 Nevada Revised Statutes (Nev. Rev. Stat.) (2015), იხ. ვრცლად § 143.188.1 (b) Nev. Rev. Stat. (2015).
⁶⁷ § 143.188.1 Nev. Rev. Stat. (2015).

მიმართ⁶⁸. ნევადაში გამოჩნდა კანონი, რომელმაც სხვა შტატებთან შედარებით, განსხვავებული მიმართულება მიიღო და მნიშვნელოვნად შეამცირა ციფრული აქტივების განკარგვის შესაძლებლობა. წარმოდგენილი საშტატო კანონმდებლობის ევოლუცია ბევრ ნაკლოვანებას ამჟღავნებს, განსაკუთრებით კი ეს სისტემური და ყოვლისმომცველი მიდგომის არარსებობაა.

იმ დროისთვის არსებული საშტატო რეგულაციები ყურადღებას ამახვილებდა მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებული იყო გარდაცვლილის მხოლოდ სპეციფიკურ ციფრულ აქტივებთან. არ არსებობდა სხვა მრავალი სამართლებრივი შესაბამისობა, მაგალითად, მომხმარებლის ქმედუუნაროდ გამოცხადების საკითხებთან დაკავშირებით⁶⁹. შესაბამისად, რთული იყო საშტატო რეგულაციების გარდამტეხად ცნობა. მათ მხოლოდ დროებითი ხასიათი შეეძლოთ ჰქონოდათ⁷⁰.

IV. UFADAA (2014)

1. ერთიანი სამართლის კომისიის მუშაობა

ფრაგმენტირებული, არასრული, შეუთავსებელი კანონმდებლობა და უმეტეს შტატებში⁷¹ საკითხის მოწესრიგების არარსებობა უფრო შესამჩნევი პრობლემა გახდა.

ცხადია, სამართალი⁷² ვერ ეწეოდა სოციალური ცხოვრების დიგიტალიზაციის უზარმა-

ზარ დინამიკას⁷³. ასეთმა მდგომარეობამ ფართო დისკუსიისთვის გახსნა გზა და ხელი შეუწყო ახალი სისტემური, სხვადასხვა სამართლებრივი გადაწყვეტის მოძებნას, რომელიც შეეჭიდებოდა დიგიტალიზაციის გამოწვევებს და ყველა შტატში იქნებოდა შესაძლებელი მისი მიღება⁷⁴. საკითხის პრობლემატიკა მარტივად აღქმადი იყო ერთიანი სამართლის კომისიისთვის (The Uniform Law Commission – ULC)⁷⁵,

⁷³ 2011 წელს ამერიკელი მომხმარებლის ციფრული აქტივების (მოიცავდა პროდუქტის ფართო წრეს, განსაკუთრებით კი ელ. ფოსტის ანგარიშებს, სურათებს, მუსიკასა და ონლაინ თამაშებს) ღირებულება შეფასებულ იქნა საშუალოდ 55 000 USD-ით. კვლევა ჩატარებულ იქნა McAfee ფირმის Intel-ის ტექნოლოგიების უსაფრთხოების დანაყოფის მიერ, ; K. Greene, *Passing Down Digital Assets*, „Wall Street Journal” (31.08.2012), <http://goo.gl/7KAaOm> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020); zob. National Conference of Commissioners on Uniform State Laws, *Uniform Fiduciary Access to Digital Assets Act with Prefatory Note and Comments*, Seattle 2014 (dalej: NCCUSL, *Uniform Fiduciary Access...*), prefatory note, s. 1, <https://perma.cc/Z7XU-NSKQ> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020); ინტერნეტ მომხმარებლების რაოდენობა აშშ-ში გაიზარდა განსაკუთრებით 2000–2018 წლებში 7,07 მილიონიდან 110,51 მილიონამდე, <https://www.statista.com/statistics/183614/us-households-with-broadband-internet-access-since-2009/> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020); ზრდასრული ამერიკელი მომხმარებლების რაოდენობა გაიზარდა 2000–2018 ყველა ასაკობრივ ჯგუფში: 18–29 lat (z 72% do 98%), 30–49 lat (z 61% do 97%), 50–64 lat (z 46% do 87%), 65 lat i więcej (z 14% do 66%), <https://www.statista.com/statistics/184389/adult-internet-users-in-the-us-by-age-since-2000/> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020); <https://www.statista.com/topics/2237/internet-usage-in-the-united-states/> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

⁷⁴ G.W. Beyer, N. Cahn, *Digital Planning...*, s. 149 i n.

⁷⁵ ერთიანი სამართლის კომისია შექმნილ იქნა 1892 წელს. ის იყო არაკომერციული საზოგადოება, რომელიც არაა იურიდიული პირი. შედგება საშტატო კომისიებისგან, მათ შორის კომისიებისგან, რომლებიც წარმოადგენს კოლუმბიას, პუერტო რიკოსა და ვირჯინის კუნძულებს. თითოეული იურისდიქცია თავად განსაზღვრავს კომისრების მიღების წესსა და რაოდენობას.

ULC-ს 300-ზე მეტ წევრთა ჯგუფს უმეტესწილად შეადგენენ პრაქტიკოსი იურისტები, მოსამართლეები და სამართლის პროფესორები, თუმცა მათ შორის არიან ასევე შტატის კანონმდებლები. კომისრები თავიანთი სამსახურისთვის არ იღებენ ანაზღაურებას;

⁶⁸ § 143.188.3 Nev. Rev. Stat. (2015).

⁶⁹ M.D. Glennon, *A Call to Action...*, nr 1, 66.

⁷⁰ 2011 წლის სამართლებრივი მდგომარეობის მოკლე აღწერა, N. Cahn, *Life On-line*, „Probate & Property” 2011, vol. 25, nr 4, s. 36–39.

⁷¹ საკანონმდებლო წინადადებები სხვა შტატებში G.W. Beyer, N. Cahn, *Digital Planning...*, s. 145–146.

⁷² ციფრული აქტივების მართვის ტრადიციული საშუალებების აღწერასა და ანალიზს ახდენენ J.P. Hopkins, I.A. Lipin, *Viable Solutions to the Digital Estate Planning Dilemma*, „Iowa Law Review Bulletin” 2014, vol. 99, s. 64–71; იხ. ასევე R. Pinch, *Protecting Digital Assets after Death: Issues to Consider in Planning for Your Digital Estate*, „Wayne Law Review” 2014, vol. 60, s. 559 i n.

რომელმაც მოიწვია ექსპერტთა ჯგუფი⁷⁶ და დაავალა მას კანონპროექტის მომზადება⁷⁷.

2011 წლის 31 მაისს წარდგენილ იქნა წინადადება ინტერნეტ ანგარიშებსა და ციფრული საკუთრების უფლებებზე, მომხმარებლის ქმედუნარიანობის ან სიკვდილის შემთხვევაში⁷⁸ წვდომის დარეგულირების შესახებ.

შემდეგ წინადადება გაფართოვდა ორი საკითხით⁷⁹, რომლებიც 2011 წლის 5 ივლისს მინესოტას კომისარმა ჯენ ჰენინგმა დანართის სახით წარუდგინა ULC პროგრამის კომიტეტის (Committee on Scope and Program) თავმჯდომარეს - ჰარიეტ ლანსინგს⁸⁰.

ისინი ადგილობრივ ადვოკატთა ასოციაციას (Bar Association) უნდა ეკუთვნოდნენ, რაც ეროვნული საადვოკატო გამოცდის ჩაბარებით ხდება. ULC მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევა სამართლის უნიფიკაციისთვის. მისი შემადგენლობის, მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით იგი მოხსენიებულია, როგორც კომისართა კონფერენცია შტატების სამართლის უნიფიცირებისთვის. (National Conference of Commissioners on Uniform State Laws), www.uniformlaws.org/aboutulc/overview

(უკანასკნელად ნანახია 31.01.2020); zob. ULC, Observers' Manual 2019,

<https://www.uniformlaws.org/HigherLogic/System/DownloadDocumentFile.ashx?DocumentFileKey=9d6da222-e3e8-4530-993f-fb078ab41a1c&forceDialog=0>

(უკანასკნელად ნანახია 31.01.2020); o historii ULC: R.A. Stein, Forming A More Perfect Union, A History of the Uniform Law Commission, LexisNexis 2013, passim.

⁷⁶ ჯგუფში შედიოდნენ შემდეგი პირები: S. Brown Walsh, T.P. Berry, D.D. Biklen, S.Y. Chow, V.C. Deliberato, M.S. Feinstein, G.H. Hennig, S.C. Kent, S.K. Nichols, D. Robbins, L. Shetterly, N. Cahn. Ponadto do grupy z urzędu weszli: H. Lansing, G. Hagerty და L. Karsai.

⁷⁷ იხ. ULC, Drafting Rules, 2012, <https://www.uniformlaws.org/HigherLogic/System/DownloadDocumentFile.ashx?DocumentFileKey=5aef78f0-b413-8740-230aa21b8bc24d16&forceDialog=0> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

⁷⁸ Project Proposal: Fiduciary, Powers and Authority to Access Online Accounts and Digital Property During Incapacity and After Death.

⁷⁹ ეხებოდა შემდეგ საკითხებს: (1) ULC-ს რომელი აქტია დაკავშირებული შეთავაზებულ პროექტთან და (2) რომელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს წინადადების წარდგენით დაინტერესებული.

⁸⁰ კანონპროექტების დანართი [https://www.uniformlaws.org/HigherLogic/System/DownloadDocumentFile.ashx?DocumentFileKey=4ae67ea5-](https://www.uniformlaws.org/HigherLogic/System/DownloadDocumentFile.ashx?DocumentFileKey=4ae67ea5-6e34-f1bb-4b9ed143b18f78b9&forceDialog=0)

2012 წლის ნოემბერში ULC-ს სარედაქციო კომიტეტმა (Drafting Committee) საკონსულტაციოდ გადასცა პირველი კანონპროექტი⁸¹, ამავდროულად ყურადღება გაამახვილა რიგ საკითხებზე, რომლებიც განხილვასა და დეტალურ ანალიზს მოითხოვდა.

ლუიზიანას კანონმდებელმა აშკარად გამორიცხა ციფრული სერვისების მიმწოდებლის პასუხისმგებლობა, ციფრულ ანგარიშზე წვდომის უზრუნველსაყოფად კანონიერი მოქმედებისათვის. ღიად დარჩა, მათ შორის, შემდეგი საკითხები: რა სახის წარმომადგენლობა უნდა იქნეს გათვალისწინებული რეგულაციაში? როგორი უნდა იყოს მისი უფლებამოსილებების ფარგლები? უნდა მოიცავდეს იგი ციფრულ აქტივებზე წვდომას, თუ აუცილებელია დამატებით დეტალური რწმუნებულების მოპოვება? საბოლოოდ, როგორი უნდა იყო რწმუნებულის უფლებამოსილების ფარგლები? უნდა მიეცეს ციფრულ ქონებაზე უფლებების ფლობის, მართვისა და გავრცელების შესაძლებლობა თუ მხოლოდ ციფრული აქტივების ასლის მიღებით უნდა შემოიფარგლოს? გაუთვალისწინებელი დარჩა ასევე ციფრულ აქტივებზე საკუთრების უფლებისა და მათზე წვდომის განსხვავების საკითხი. ამავდროულად, აუცილებელი იყო ზუსტი დეფინიციის შემუშავება ისეთ მნიშვნელოვან ტერმინზე, როგორებიცაა ციფრული აქტივი⁸², ანგარიში და საკუთრების უფლება მათზე.

გარდა ამისა, განსაზღვრული უნდა ყოფილიყო აქტის დებულებებსა და სერვისის მიწოდების შესახებ სახელშეკრულებო პირობებს

6e34-f1bb-4b9ed143b18f78b9&forceDialog=0 (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

⁸¹ იხ. პროექტის სამუშაო ვერსია, რომელიც წარედგინა კომიტეტს განსახილველად 30.11–1.12.2012 წელს, <https://www.uniformlaws.org/HigherLogic/System/DownloadDocumentFile.ashx?DocumentFileKey=cdb562a1-f253-fde5-4b7b-c7f9f38c44e1&forceDialog=1> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

⁸² M.D. Glennon, A Call to Action..., s. 53–54; rodzaje zasobów cyfrowych zob. N. Cahn, Postmortem Life..., s. 36–37; G.W. Beyer, N. Cahn, Digital Planning..., s. 137–138; por. J.P. Hopkins, I.A. Lipin, Viable Solutions..., s. 63–64; R. Pinch, Protecting Digital..., s. 547–550; L. McCarthy, Digital Assets and Intestacy, „Boston University Journal of Science and Technology Law” 2015, vol. 21, s. 385–386.

შორის ურთიერთმიმართება. ასევე, განსაზღვრული უნდა ყოფილიყო ურთიერთმიმართება რწმუნებულის უფლებებსა და იმ რეგულაციებს შორის, რომლებიც იცავდა საიდუმლოებას და პასუხისმგებლობას განსაზღვრავდა კომპიუტერში განთავსებული მონაცემების უნებართვო წვდომაზე⁸³. შედეგად კანონპროექტი მოდიფიცირებულ იქნა⁸⁴, რამაც იგი დებატის საგანი გახადა⁸⁵, რომელშიც სხვადასხვა სოციალური ჯგუფის⁸⁶ წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა.

ULC-ს კომისიის⁸⁷ შემდგომი მუშაობის პროცესში შეიქმნა რამდენიმე სამუშაო ვერსია, რომლებზეც დამატებით წარადგენდნენ კომენტარებს, მოსაზრებებს და დამატებით მოთხოვნებს⁸⁸. სამ წლიანი მუშაობის შემდეგ შტატების

სამართლის გამაერთიანებელი კომისიების რიგით 123-ე ეროვნულ კონფერენციაზე, რომელიც 2014 წელის 11-17 ივლისს სიეტლში ჩატარდა, მიიღეს მოდელური კანონპროექტი ციფრულ აქტივებზე ფიდუციური წვდომის შესახებ (Uniform Fiduciary Access to Digital Assets Act – UFADAA)⁸⁹. მისი დანერგვა რეკომენდირებული იყო ყველა შტატში.

2. ძირითადი მოსაზრებები

UFADAA-ს მიზანი იყო უსაფრთხოების უზრუნველყოფა რწმუნებულებისთვის ციფრულ რესურსებზე წვდომის⁹⁰ ბარიერების მოხსნით მომხმარებლის გარდაცვალების ან მისთვის წარმომადგენლის დანიშვნის შემთხვევაში, რაც პრაქტიკაში მომხმარებლის ქმედუნარობას ნიშნავს (დაცული პირი)⁹¹. ამასთან UFADAA-ს არ უნდა დაერღვია სხვა სამართლებრივი რეგულირებები. აღნიშნული რეგულაციის მოქმედების ფარგლები, რომელიც მოცემულია მე-15 მუხლში, ობიექტის მხრივ შეზღუდულია ციფრული აქტივით, სუბიექტის მხრივ კი - რწმუნებული პირით.

UFADAA იყენებს სპეციალიზებულ ტერმინოლოგიას, რომლის მნიშვნელობაც განმარტე-

⁸³ S. Brown Walsh, N. Cahn, Uniform Fiduciary Access to Digital Assets Act, First Working Draft, 11.11.2012 r., <https://www.uniformlaws.org/HigherLogic/System/DownloadDocumentFile.ashx?DocumentFileKey=efd9daf8-3562-170e-3db6-462a7fb6f882&forceDialog=0> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

⁸⁴ იხ. პროექტის სამუშაო ვერსია, რომელიც წარედგინა კომიტეტს განსახილველად 15-16.02.2013 წელს, <https://www.uniformlaws.org/HigherLogic/System/DownloadDocumentFile.ashx?DocumentFileKey=8207ff62-cc7d-2762-a617-462f79fd8c4d&forceDialog=1> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

⁸⁵ A.B. Lopez, Posthumous Privacy..., s. 189 i n., 203 i n.; J. Lee, Death and Live Feeds: Privacy Protection in Fiduciary Access to Digital Assets, „Columbia Business Law Review” 2015, nr 2, s. 689 i n.

⁸⁶ თავისი პოზიცია გამოხატა: S. DelBianco-მ, C.M. Szabo-მ და J.J. Halpert-მა, რომელიც ფირმა NetChoice-ს წარმოადგენდა (8.07.2013); R.O. Rash, D.H. Rash-მა (5.07.2013) და A.S. Bohm-მა (3.07.2013), რომელიც American Civil Liberties Union (ACLU) სახელით მოქმედებდა, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციაა და ითვლის ნახევარ მილიონზე მეტ წევრს და გააჩნია 53 ფილიალი.

⁸⁷ zob. <https://www.uniformlaws.org/viewdocument/committee-archive-13?CommunityKey=f7237fc4-74c2-4728-81c6-b39a91ecdf22&tab=librarydocuments> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

⁸⁸ E. Carroll, Comments on the March 2014 draft (18.03.2014); Ch. Kunz, FADA Draft for March 21-22, 2014, Meeting (17.03.2014); J. Gregory, ULC FADA additional comments (17.03.2014); J. Gregory, March draft of the Fiduciary Access to Digital Asset Act (FADA) (16.03.2014); S. Kent, Fiduciary Access to Digital Assets Act, March 21-22, 2014, Meeting Draft (10.03.2014); D.

Molzan, Personal Representative Access to Digital Assets (7.03.2014); S. Brown Walsh, Fiduciary Access to Digital Assets Drafting Committee March 2014 Meeting; Summary of Changes and Issues (28.02.2014); J. Gregory, Ch. Kunz, Comments (23.02.2014), <https://www.uniformlaws.org/viewdocument/committee-archive-13?CommunityKey=f7237fc4-74c2-4728-81c6-b39a91ecdf22&tab=librarydocuments> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

⁸⁹ იხ. <https://www.uniformlaws.org/HigherLogic/System/DownloadDocumentFile.ashx?DocumentFileKey=6745a319-c0e5-6240-bdb5-336214d245c5&forceDialog=1> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

⁹⁰ NCCUSL, Uniform Fiduciary Access..., prefatory note, s. 1.

⁹¹ დაცული პირი (protected person) არის ფიზიკური პირი, რომელსაც წარმომადგენელი დაენიშნა. ეს ცნება მოიცავს ასევე იმ პირს, რომლისთვისაც წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ საქმე წარმოებამა. Art. 2 nr 19 UFADAA; por. art. 2 nr 21 RUFADAA.

ბას მოითხოვს. ამიტომ ძირითადი ცნებები კატალოგში შევიდა და განიმარტა⁹². ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა, რომლის წინაშეც კომისია იდგა, იყო ციფრული აქტივის (digital asset) კონცეფციის დეფინირება.

საშტატო რეგულაციების ვინრო სფეროში ტექნოლოგიური ცვლილებების დინამიკას ვერ გაუძლო და სწრაფად გახდა არაეფექტიანი. ციფრულმა რეგულაციამ აიძულა კანონმდებელი ფართო განმარტება შეექმნა, რომელიც ღია იყო ახალი ტექნოლოგიებისთვის და არ მოითხოვდა ხშირ საკანონმდებლო ცვლილებებს⁹³. ამ მიზეზით, გადანყდა ციფრული აქტივის ფართოდ განმარტება, რომელიც ჩანანერის სახით ელექტრონული ფორმით განისაზღვრა⁹⁴. ამავდროულად დადგინდა, რომ ეს მახასიათებელი გააჩნია ტექნოლოგიის ჩანანერს, მათ შორის, ელექტრო, ციფრულ, მაგნიტურ, უკაბელო, ოპტიკურ, ელექტრომაგნიტურ და ა. შ.⁹⁵ რეგულაციის საგანმა ამ ფორმით მხოლოდ ხელმისაწვდომი საქონელი მოიცვა. მათ შორის იყო ელექტრონული ინფორმაცია, რომელიც ინახებოდა როგორც ფიზიკურ გადამცემში, ისე ქლაუდზე⁹⁶.

UFADAA-ს რეგულირება არ მოიცავს დამსაქმებლის ციფრულ აქტივებს, რომლებსაც დასაქმებული იყენებდა დამსაქმებელთან ჩვეულებრივი საქმიანობის დროს⁹⁷, აგრეთვე ძირითად

ინსტრუმენტებს, თუ ისინი ელექტრონული ჩანანერის სახით არ არსებობდა⁹⁸.

ციფრულ რესურსებზე წვდომა დაეფუძნა რწმუნებულების ოთხ სახეს⁹⁹: (1) სამკვიდროს მმართველს¹⁰⁰, (2) მეურვეს¹⁰¹, (3) აგენტსა¹⁰² და რწმუნებულს¹⁰³. UFADAA-მ შეინარჩუნა აქტის სპეციფიკიდან გამომდინარე განსხვავებები¹⁰⁴. თუმცა ამან არ იმოქმედა მათი უფლებამოსილების ფარგლებზე¹⁰⁵.

UFADAA მათ ციფრულ აქტივებზე ფართო წვდომა მისცა, იმის გათვალისწინებით, რომ მომხმარებელი თანახმა იქნებოდა გაეზიარებინა თავისი ანგარიში და მასზე მართვა¹⁰⁶. შესაბამისად, უფლებები მოიცავდა წვდომას: (1) ელექტრონული გზავნილის შინაარსზე¹⁰⁷, (2) გაგზავნილი და მიღებული ელექტრონული შეტყობინებების ჩამონათვალზე¹⁰⁸, აგრეთვე (3) სხვა ციფრულ აქტივებზე, რომლებზედაც გარდაცვლილ ან ქმედუუნარო მომხმარებელს გააჩნდა უფლება¹⁰⁹.

მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით ამ ციფრულ აქტივებზე წვდომის ფარგლები ფართოა, შეზღუდვები, რა თქმა უნდა, მოცემულია კანონის ნორმებში¹¹⁰ და ასევე შეიძლება გამომდინარეობდეს რწმუნებულებიდან¹¹¹, ანდერ-

⁹² Art. 2 UFADAA; art. 2 RUFADAA.

⁹³ A.B. Lopez, *Posthumous Privacy...*, s. 204–205.

⁹⁴ Art. 2 nr 9 zd. 1 UFADAA.

⁹⁵ Art. 2 nr 10 UFADAA; por. art. 2 nr 11 RUFADAA.

⁹⁶ შეეხება არამხოლოდ იმ ინფორმაციას, რომელიც ინახება კომპიუტერში, ლეპტოპში, ტელეფონსა თუ სხვა ციფრულ მოწყობილობაში, არამედ ინტერნეტ საიტების შინაარსსა და ციფრულ საკუთრებას (დომენური სახელები თუ ონლაინ თამაშებთან დაკავშირებული უფლებები), NCCUSL, *Uniform Fiduciary Access...*, art. 2, s. 7; ასევე იხ. J.D. Lamm, Ch.L. Kunz, D.A. Riehl, P.J. Rademacher, *The Digital Death Conundrum: How Federal and State Laws Prevent Fiduciaries from Managing Digital Property*, „University of Miami Law Review” 2014, vol. 68, s. 388–389.

⁹⁷ Art. 3 (b) UFADAA; por. art. 3 (c) RUFADAA; NCCUSL, *Uniform Fiduciary Access...*, art. 3, s. 9.

⁹⁸ Art. 2 nr 9 zd. 2 UFADAA.

⁹⁹ Art. 3 (a) UFADAA; por. art. 3 (a) RUFADAA.

¹⁰⁰ Art. 4 UFADAA.

¹⁰¹ Art. 5 UFADAA.

¹⁰² Art. 6 UFADAA.

¹⁰³ Art. 7 UFADAA.

¹⁰⁴ ანალოგიურად სამუშაო პროექტში (FADA), იხ. J.D. Lamm, Ch.L. Kunz, D.A. Riehl, P.J. Rademacher, *The Digital Death...*, s. 414–415.

¹⁰⁵ Tamže, s. 391–406.

¹⁰⁶ J. Ronderos, *Is Access Enough?: Addressing Inheritability of Digital Assets Using the Three-Tier System Under the Revised Uniform Fiduciary Access to Digital Assets Act*, „Transactions. The Tennessee Journal of Business Law” 2017, vol. 18, s. 1037.

¹⁰⁷ დეფინიცია ცნების: Content of an electronic communication art. 2 nr 6 UFADAA, por. art. 2 nr 6 RUFADAA.

¹⁰⁸ დეფინიცია ცნების: Catalogue of electronic communications zob. art. 2 nr 4 UFADAA, por. art. 2 nr 4 RUFADAA.

¹⁰⁹ Art. 4 – art. 7 UFADAA.

¹¹⁰ § 2702 (b) U.S.C.; zob. też art. 8 (b) UFADAA.

¹¹¹ Art. 7 (a) UFADAA.

ძიდან¹¹² ან სასამართლო გადაწყვეტილებიდან¹¹³.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქ ფედერალურ სამართალს ჰქონდა¹¹⁴, მათ შორის კანონს კერძო ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ¹¹⁵, რომელიც შეტყობინებების ჩამონათვალსა და ელექტრონული გზავნილების შინაარსზე წვდომის სხვადასხვა წესს ადგენს¹¹⁶.

მნიშვნელოვანია ასევე იმის დადგენა, შეტყობინება მომხმარებელმა გააგზავნა თუ იგი უბრალოდ ადრესატია გარკვეული შეტყობინებებისა¹¹⁷.

ფედერალური კანონი მომხმარებლის ანგარიშზე მიღებული შეტყობინებების შინაარსის გამჟღავნების საშუალებას იძლევა¹¹⁸. ხოლო, გაგზავნილი შეტყობინებების შინაარსზე წვდო-

მა დამოკიდებული გახდა შეტყობინების მიმღებლის თანხმობაზე¹¹⁹.

აღნიშნულთან დაკავშირებით სადავო საკითხს წარმოადგენდა მომხმარებლის თანხმობის ვარაუდი. ეს კონტექსტი UFADAA კომისიის მუშაობისას ყველაზე მეტ წინააღმდეგობას წარმოშობდა. ოპონენტები ყურადღებას ამახვილებდნენ მიღებული გადაწყვეტილებების შეუთავსებლობაზე ფედერალურ სამართალთან¹²⁰, განსაკუთრებით კი შიშობდნენ იმ პირთა კონფიდენციალურობის დაცვაზე, რომლებსაც მომხმარებელთან მიმონერა ჰქონდათ¹²¹.

ამ დროს კომისიის მიზანი ციფრული რესურსების წვდომაზე ბარიერების მოხსნა იყო. ამიტომ UFADAA-მ ხელი შეუშალა ადმინისტრატორს, რომ ციფრულ რესურსებზე ცალმხრივი გამონაკლისები და შეზღუდვები დაენესებინა. თუ მომსახურების ხელშეკრულების ზოგადი პირობები ასეთი შეზღუდვების შემცველი იქნებოდა, ისინი შეენინააღმდეგებოდა საზოგადოებრივ ინტერესს (**strong public policy**) და ამით ბათილი გახდებოდა¹²². საზოგადოებრივი ინტერესის ცნების კოლიზიის ან ეჭვის შემთხვევაში ინტერპრეტაცია ისე უნდა მომხდარიყო, რომ დაცული ყოფილიყო რწმუნებულის წვდომა ციფრულ რესურსებზე¹²³. რა თქმა უნდა, მომხმარებელს თავად შეეძლო ხელმისაწვდომობის შეზღუდვა. თუმცა, ამ მიზნით, მას ცალკე უნდა წარედგინა ცალსახა და ნათლად ფორმულირებული განცხადება¹²⁴. ასეთ განცხადებას უპირატესობა ჰქონდა ანდერძთან, მინდობილობასთან და სასამართლო ჩანაწერებთან მიმართებით¹²⁵.

¹¹² Art. 4 UFADAA.

¹¹³ Art. 4 – art. 7 UFADAA.

¹¹⁴ ფედერალური სამართლის შესახებ (SCA, ECPA), რომელიც ციფრულ რესურსებს აწესრიგებს იხ. M.W. Costello, *The „PEAC“...*, s. 432–435; იხ. ასევე დადებითი შეფასება PEAC-ისა და RUFADAA-ს ფედერალურ სამართალთან შესაბამისობასთან დაკავშირებით, იქვე, s. 445 in.; por. L. McCarthy, *Digital Assets...*, s. 391 in.; SCA-ს ვრცელი ანალიზი ჩაატარა M. Borden-მა, *Covering Your Digital Assets: Why the Stored Communications Act Stands in the Way of Digital Inheritance*, „Ohio State Law Journal” 2014, vol. 75, s. 405–446.

¹¹⁵ 1986 წლის 21 ოქტომბრის კანონი – Electronic Communications Privacy Act (ECPA), H.R. 4952 (99th), <https://www.govtrack.us/congress/bills/99/hr4952/text> (უკანასკნელად ნანახია 31.10.2020); ECPA მიღებულ იქნა 18 U.S.C. rodz. 121– Stored Wire and Electronic Communications and Transactional Records Access, § 2701 – § 2710.

¹¹⁶ M.J. Tokson, *The Content/Envelope Distinction in Internet Law*, „William and Mary Law Review” 2009, vol. 50, s. 2105–2176.

¹¹⁷ A.B. Lopez, *Posthumous Privacy...*, s. 205; NCCUSL, *Uniform Fiduciary Access...*, art. 4, s. 10–11; por. National Conference of Commissioners on Uniform State Laws, *Revised Uniform Fiduciary Access to Digital Assets Act with Prefatory Note and Comments*, Williamsburg 2015, komentarz do art. 7 UFADAA, s. 14–15.

¹¹⁸ § 2702 (b) nr 1 U.S.C.; შეტყობინების შინაარსის გაცნობაზე უფლებამოსილი პირი არის ადრესატი, მიმღები და აგენტი.

¹¹⁹ § 2702 (b) nr 3 U.S.C.

¹²⁰ ელექტრონული ფოსტის გაზიარებასთან დაკავშირებული შეზღუდვები და სირთულეები, რომელიც გამომდინარეობდა *Stored Communications Act*-დან (SCA), განსაკუთრებით § 2702 U.S.C., შემდეგი საქმის კონტექსტში *Ajemian vs. Yahoo! Inc.* opisuje A.B. Lopez, *Death and the Digital Age: The Disposition of Digital Assets*, „Savannah Law Review” 2016, vol. 3, nr 1, s. 82–84.

¹²¹ A.B. Lopez, *Posthumous Privacy...*, s. 205–206.

¹²² Art. 8 (b) nr 1 UFADAA.

¹²³ NCCUSL, *Uniform Fiduciary Access...*, art. 8, s. 18.

¹²⁴ Art. 8 (b) nr 1 UFADAA.

¹²⁵ NCCUSL, *Uniform Fiduciary Access...*, art. 8, s. 17–18.

გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ წარმომადგენლის უფლებები მომხმარებლისგან გამომდინარეობდა. შესაბამისად, რწმუნებულს ელექტრონული ფორმით მოქმედების განხორციელება შეეძლო მხოლოდ იმ მოცულობით, რა მოცულობითაც მომხმარებელი იყო უფლებამოსილი. ხოლო, თუკი მომსახურების ხელშეკრულება გამორიცხავდა უფლებამოსილებას, მაშინ არც წარმომადგენელს შეეძლო უფლებით სარგებლობა¹²⁶. ის მხოლოდ მომხმარებლის ადგილს იკავებდა¹²⁷. მის უფლებამოსილებებს არ უნდა დაერღვია ციფრული აქტივების რეგულირებასთან დაკავშირებული მოწესრიგება. ასევე, წარმომადგენელს საავტორო სამართლიდან გამომდინარე¹²⁸ ჰქონდა ციფრული რესურსების მხოლოდ წვდომის, კონტროლისა და ასლის გაკეთების უფლება. მას მხოლოდ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში უნდა ემოქმედა და არ შეეძლო მათი შესრულების დროს მიღებული ინფორმაციის გამჟღავნება. ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა არ იყო იგივე, რაც საკუთრების გადასვლა¹²⁹. ასეთ უფლებამოსილებებს წარმომადგენელი ციფრული აქტივების კონტროლის ფარგლებშიც არ ფლობდა. კონტროლის უფლება მას აძლევდა მხოლოდ გარკვეული ჩანაწერის გადაადგილების ან წაშლის შესაძლებლობას, თუკი ეს საავტორო სამართალს არ ეწინააღმდეგებოდა¹³⁰.

ციფრული აქტივების განკარგვას ცალკე წესები არეგულირებს. თუკი მომხმარებელმა, მაგალითად, შექმნა ვირტუალური პერსონაჟი **online** თამაშში და მასზე გააჩნდა საკუთრების უფლება, მაშინ წარმომადგენლის მიერ ამ პერსონაჟის გასხვისება და მასთან დაკავშირებული საკუთრების უფლებები მოექცეოდა მემკვიდრეობითი სამართლის ფარგლებში¹³¹.

წარმომადგენლის მიერ გარდაცვლილი მომხმარებლის ანგარიშზე წვდომა არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ამ ანგარიშის გადატა-

ნა ხდება სხვა პირზე. აღნიშნული უმეტეს შემთხვევაში წინააღმდეგობაში მოვა მომსახურების ხელშეკრულებასთან¹³². წარმომადგენლის შეტანილი განცხადება¹³³ ავალდებულებდა ადმინისტრატორს 60 დღის განმავლობაში გაეზიარებინა ციფრული აქტივი.

უარის შემთხვევაში წარმომადგენელს შეეძლო სასამართლოსთვის მიემართა შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით¹³⁴.

აღსანიშნავია ისიც, რომ **UFADAA** ითვალისწინებდა ადმინისტრატორის, მისი თანამშრომლებისა და აგენტების პასუხისმგებლობის გამორიცხვას, ქმედების ან უმოქმედობისთვის კეთილსინდისიერების ფარგლებში¹³⁵. განსაკუთრებით პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა ადმინისტრატორს, რომელიც რწმუნებულების ფარგლებიდან გამომდინარე მოქმედებდა და არ იცოდა, რომ მასში გათვალისწინებული უფლებამოსილებები ნაკლიანია, უფრო მეტიც, მას შეეძლო ევარაუდა მათი სისწორე ყოველგვარი გადამონმების გარეშე¹³⁶. ხოლო პირს, რომელმაც კეთილსინდისიერად შეასრულა რწმუნებულების ფარგლებით განსაზღვრული ქმედება, შეეძლო მოეთხოვა შემხვედრი ვალდებულების შესრულება¹³⁷.

პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისთვის ეკისრებოდა იმ პირს, რომელიც დამატებით დოკუმენტების მოთხოვნისას არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა¹³⁸.

UFADAA ასევე შეიცავდა მკაცრ პირობას, რომელის მიზანიც იყო აქტის გამოყენების უზრუნველყოფა მისი ზოგიერთი დებულების ბათილად ცნობის მიუხედავად¹³⁹.

¹²⁶ NCCUSL, Uniform Fiduciary Access..., art. 9, s. 23–24.

¹²⁷ J.D. Lamm, Ch.L. Kunz, D.A. Riehl, P.J. Rademacher, *The Digital Death...*, s. 415.

¹²⁸ Art. 9 (a) UFADAA.

¹²⁹ NCCUSL, Uniform Fiduciary Access..., art. 2, s. 7.

¹³⁰ NCCUSL, Uniform Fiduciary Access..., art. 9, s. 23.

¹³¹ NCCUSL, Uniform Fiduciary Access..., art. 9, s. 23.

¹³² Art. 8 (b) nr 2 UFADAA; NCCUSL, Uniform Fiduciary Access..., art. 8, s. 18.

¹³³ მოთხოვნები შემდეგ მუხლებში იქნა აღწერილი 9 (b) (1)–(4), (d), (e) UFADAA.

¹³⁴ 4 Art. 9 (c) UFADAA.

¹³⁵ Art. 10 UFADAA; art. 16 (f) RUFADAA.

¹³⁶ Art. 9 (f) UFADAA.

¹³⁷ Art. 9 (g) UFADAA.

¹³⁸ Art. 9 (h) UFADAA.

¹³⁹ Art. 13 UFADAA; Art. 19 RUFADAA.

3. იმპლემენტაცია

UFADAA სწრაფად დაექვემდებარა საკანონმდებლო პროცესს. 2014–2015 წლებში მისი იმპლემენტაცია ოცდაშვიდ შტატში დაიწყო¹⁴⁰. თუმცა აღნიშნული პროცესი მალევე შეხვდა ძლიერ წინააღმდეგობებს და გაჩერდა. შექმნილ სიტუაციას კარგად გადმოსცემს საკანონმდებლო პროცესი ილინოისში¹⁴¹, სადაც სენატის კანონპროექტმა (SB 1376) სწრაფად და უპრობლემოდ გაიარა საკანონმდებლო ეტაპები. გადანყვეტილება მიღებულ იყო ერთხმად¹⁴², როგორც სენატის კომისიაზე მისი პირველი წარდგენისას (9:0)¹⁴³, შესწორებების დადასტურებისას (11:0)¹⁴⁴, შემდეგ სენატში მესამედ წარდგენისას (57:0)¹⁴⁵, ისე წარმომადგენელთა პალატის კერძო სამართლის კომისიაზე (11:0).¹⁴⁶ ყველაფერი მოასწავებდა აქტის მიღებას.

იმავედროულად, 2015 წლის 31 მაისს პროექტი ხელახლა გადაეცა კომისიას (House Rules Committee), რაც პრაქტიკაში მის "გაყინვას" და „კანონმდებლობაში არარსებობას“ გულისხმობდა¹⁴⁷. სიტუაციის ასეთი მოულოდნელი განვითარების მიზეზებია საპროტესტო აქციები და UFADAA–ს მიუღებლობა სხვა შტატების მი-

ერ¹⁴⁸. რეალურად, დელავერის გარდა, არც ერთმა შტატმა, რომელმაც საკანონმდებლო პროცესი დაიწყო, არ მიიღო UFADAA თავიანთ მართლწესრიგში.

იმპლემენტაციის შეუსრულებლობის მიზეზებს შორისაა ჩამოთვლილი: IT ინდუსტრიის კომპანიების ლობიზმი და სამოქალაქო უფლებების დაცვის ორგანიზაციების აქტივობა. ასევე, საკანონმდებლო პროცესის დროს გამოთქმული ეჭვები რეგულაციის მოქმედების ძალისა და ფარგლების შესახებ¹⁴⁹. თუმცა მთავარი წინააღმდეგობა UFADAA-სთან გამომდინარეობდა იმ კითხვის ნიშნებიდან, რომლებიც დაკავშირებული იყო პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვასთან¹⁵⁰.

ძლიერი წინააღმდეგობა შეხვდა ციფრულ აქტივებზე რწმუნებულის ფართო წვდომასთან დაკავშირებით გარდაცვლილი ან ქმედუუნარო პირის სავარაუდო თანხმობის აღიარებას. ინტერნეტ სერვისის მიმწოდებლები ირწმუნებოდნენ, რომ მიღებული უნდა ყოფილიყო თანხმობის მიუცემლობის პრეზუმფცია. ამისთვის მხარი უნდა დაეჭირა გამოკვლევის შედეგებს, რომელმაც აჩვენა რომ ამერიკელების 70%-ს სურს თავისი კონფიდენციალურობის დაცვა გარდაცვალების შემდეგ¹⁵¹ და კანონის ადვოკატირებას განახორციელებს მხოლოდ გარკვევით გამოთქმული თანხმობის შემთხვევაში.¹⁵² მათ შორის, მიეთითა ფუნდამენტურ განსხვავ-

¹⁴⁰ O M.D. Walker, The New Uniform Digital Assets Law: Estate Planning and Administration in the Information Age, „Real Property, Trust and Estate Law Journal”, s. 58; A.B. Lopez, Posthumous Privacy..., s. 189, 206.

¹⁴¹ საკანონმდებლო პროცესის სრული დოკუმენტაცია, <http://www.ilga.gov/legislation/BillStatus.asp?GAID=13&GA=99&DocNum=1376&DocTypeID=SB&SessionID=88&LegID=87872&SpecSess=&Session=> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

¹⁴² იხ. ხმის მიცემის შედეგები SB nr 1376, <http://www.ilga.gov/legislation/votehistory.asp?DocNum=1376&DocTypeID=SB&LegID=87872&GAID=13&SessionID=88&GA=99&SpecSess=> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

¹⁴³ 2015 წლის 17 მარტის ხმის მიცემის შედეგები.

¹⁴⁴ 2015 წლის 21 აპრილის ხმის მიცემის შედეგები.

¹⁴⁵ 2015 წლის 22 აპრილის ხმის მიცემის შედეგები.

¹⁴⁶ 2015 წლის 13 მაისის ხმის მიცემის შედეგები.

¹⁴⁷ რაც 2017 წლის 10 იანვარს სენატის ვადის გასვლით დაიწყო.

¹⁴⁸ J.R. Gottlieb, ULC Rewrites 'Uniform Fiduciary Access to Digital Assets Act (20.07.2015), <https://www.illinoisestateplan.com/ulc-rewrites-uniform-fiduciary-access-to-digital-assets-act/#sthash.6ZJs28wb.dpuf> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

¹⁴⁹ J. Walker, Return of the UFADAA: How Texas and Other States' Adoption of the RUFADAA can Change the Internet, „Estate Planning and Community Property Law Journal” 2016, vol. 8, s. 585.

¹⁵⁰ A.B. Lopez, Posthumous Privacy..., s. 190, 207; J. Lee, Death and Live..., s. 679–693.

¹⁵¹ N.M. Banta, Death and Privacy in the Digital Age, „North Carolina Law Review” 2016, vol. 94, s. 927–990.

¹⁵² იხ. NetChoice-ის კვლევის შედეგები, Privacy Afterlife. Empowering users to control who can see their online accounts, <https://perma.cc/W9NA-QR6F> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

ვებებზე ფიზიკურ ობიექტებსა და ციფრულ აქტივებს შორის¹⁵³. გარდა ამისა, ამტკიცებდნენ, რომ UFADAA არღვევს მომსახურების ხელშეკრულების პირობებს და აიძულებს მომსახურების მიმწოდებლებს ჩაერთონ საქმიანობაში, რომელიც ფედერალურ კანონებს ეწინააღმდეგება¹⁵⁴. დაფიქსირებულ იქნა ასევე მესამე პირთა დაცვის, განმკარგველის უფლებების ზუსტი განსაზღვრის, ტერმინ „წვდომის“ განმარტებისა და სხვა ორაზროვანი ცნებების ამოღების აუცილებლობა¹⁵⁵.

კანონის კრიტიკოსები ასევე აცხადებდნენ, რომ UFADAA-ს არ უნდა მიენიჭოს უპირატესობა სახელშეკრულებო დათქმებთან მიმართებაში. ამასთან, ღელავდნენ ინტერნეტ სერვისის მიმწოდებლების პასუხისმგებლობაზე, რომელიც ახალ რეგულაციაში იყო ნახსენები¹⁵⁶.

UFADAA-ში მოცემული მონესრიგება მიღებულ იქნა დელავერში¹⁵⁷. ეს იყო ერთადერთი შტატი, რომელმაც მოასწრო კანონის მიღება, სანამ მას ძლიერი სოციალური წინააღმდეგობები მოჰყვებოდა¹⁵⁸. საკანონმდებლო პროცესის დროს გადაწყდა გარკვეული ცვლილებების შემოღება, მაგალითად, ციფრული აქტივის კო-

ნცეფციის შესახებ¹⁵⁹. ამრიგად, აქტის შინაარსი არ იყო იგივე, რაც UFADAA, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც მრავალ ეჭვს იწვევდა¹⁶⁰. შუამდგომლობებს ვეტოს დადებაზე, რომელიც წარდგენილ იქნა ინტერნეტ სერვისის მიმწოდებელთა მიერ (მაგალითად, Google, AOL და NetChoice)¹⁶¹ შედეგი არ მოჰყვა. აქტის (HB 345) ხელმოწერა გუბერნატორის მიერ მოხდა 2014 წლის 12 აგვისტოს. იგი ძალაში შევიდა 2015 წლის 1 იანვარს¹⁶².

4. PEAC

UFADAA-ს კრიტიკის ტალღაზე NetChoice-ს მიერ, რომელიც აერთიანებს ინტერნეტ სერვისების მიმწოდებლებს და მათ ინტერესებს წარმოადგენს¹⁶³, მომზადებულ იქნა საპასუხო კანონპროექტი - Privacy Expectation Afterlife and Choices Act (PEAC)¹⁶⁴. ამ პროექტის მიზანი გარდაცვლილის ციფრული მონაცემების კონფიდენციალურობის სრულ დაცვასთან ერთად მისი ქონების განკარგვის ეფექტიანობის გაუმჯობესება იყო. პროექტი, რომელიც მხოლოდ შვიდი მუხლისგან შედგებოდა, UFADAA-ს საპირისპირო მიდგომიდან გამოდიოდა და მნიშვნელოვნად ზღუდავდა ელექტრონულ შეტყობინებებზე წვდომას¹⁶⁵. ფედერალურ სამართალთან მიმართებით, PEAC-მა გამოარჩია ორი კატეგორია: „მონაცემთა რეესტრი, მათ შორის, მომ-

¹⁵³ ამ განსხვავებაზე ყურადღებას ამახვილებს J. Lee, *Death and Live...*, s. 689–693.

¹⁵⁴ განსაკუთრებით შეეხებოდა Stored Communications Act (SCA), 18 U.S.C. § 2701 – § 2713 (U.S.C. = United States Code): B. Orzeske, *UFADAA and the Federal Stored Communications Act* (15.06.2015), s. 2, <http://judiciary.pasenategop.com/wp-content/uploads/sites/42/2015/06/Uniform-Law-Commission-Written-Testimony.pdf> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020); zob. M.D. Walker, *The New Uniform...*, s. 55–57.

¹⁵⁵ J. Lee, *Death and Live...*, s. 697–701.

¹⁵⁶ M.D. Walker, *The New Uniform...*, s. 58.

¹⁵⁷ იხ. საკანონმდებლო პროცესის ისტორია, <https://legiscan.com/DE/bill/HB345/2013> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

¹⁵⁸ B. Orzeske, *SB 518 to enact the Uniform Fiduciary Access to Digital Assets Act* (15.06.2015), <http://judiciary.pasenategop.com/wp-content/uploads/sites/42/2015/06/Uniform-Law-Commission-Written-Testimony.pdf> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020); por. A.B. Lopez, *Posthumous Privacy...*, s. 207.

¹⁵⁹ მიღებული გადაწყვეტილებების მიმოხილვა. J. Lee, *Death and Live...*, s. 671–673.

¹⁶⁰ Tamže, s. 701–703.

¹⁶¹ A.B. Lopez, *Posthumous Privacy...*, s. 207.

¹⁶² იხ. კანონის ტექსტი, <https://legiscan.com/DE/text/HB345/id/1023563> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

მათ ეკუთვნის: Airbnb, Aol, PayPal, Ebay, Facebook, Google, Yahoo!, HomeAway, Hotels.com, Wing, <https://netchoice.org/about/> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

¹⁶⁴ <https://netchoice.org/library/privacy-expectation-afterlife-choices-act-peac/> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020 წ.).

¹⁶⁵ PEAC w zarysie zob. J. Lee, *Death and Live...*, s. 673–674; szerzej M.W. Costello, *The “PEAC”*, s. 441 i n.

ხმარებლის შესახებ სხვა ინფორმაცია¹⁶⁶ და ელექტრონული შეტყობინებების შინაარსი.¹⁶⁷ პირველი კატეგორია მსგავსი იყო „ელექტრონული შეტყობინებების კატალოგისა და კონცეფციისა“¹⁶⁸ და მხოლოდ იმ პიროვნების იდენტიფიცირებით, შეტყობინების დროით, თარიღით და ელექტრონული მისამართის ინფორმაციით შემოიფარგლებოდა, რომელთანაც მომხმარებელს ელექტრონული მიმონერა ჰქონდა¹⁶⁹.

მეორე კატეგორია გაცილებით ფართო იყო და წვდომის ისეთ მასშტაბს იძლეოდა, როგორც მომხმარებელს ანგარიშზე სახელისა და პაროლის გამოყენებით დარეგისტრირების შემდეგ შეეძლო¹⁷⁰. ცნებები „შინაარსი“¹⁷¹ და „ელექტრონული შეტყობინება“¹⁷² PEAC-ის განმარტებით შესაბამისობაში იყო UFADAA-ში არსებულ დეფინიციასთან¹⁷³.

ორივე შემთხვევაში, მაშინაც კი, თუ წვდომა არ შეიცავდა ელექტრონული შეტყობინებების შინაარსის გამჟღავნებას, ინტერნეტ სერვისის მიმწოდებელს ანდერძის აღმასრულებლის ან ქონების მმართველისთვის ინფორმაციის გაზიარება მხოლოდ განსჯადი სასამართლოს განჩინების საფუძველზე შეეძლო¹⁷⁴. ამისათვის სასამართლოს დეტალურად უნდა გაერკვია კანონპროექტში აღწერილი ფაქტობრივი და იურიდიული გარემოებები¹⁷⁵. მათ შორის, აუცილებელი იყო დაედგინა, ირღვეოდა თუ არა ინფორმაციის გამჟღავნებით სამართლის ნორმე-

ბი¹⁷⁶ და თუ არსებობდა გარდაცვლილის ანგარიშზე სხვა უფლებამოსილი პირი (მომხმარებელი ან მესაკუთრე)¹⁷⁷. წვდომა თავად ელექტრონული შეტყობინებების კატალოგზე შემოიფარგლებოდა მხოლოდ მომხმარებლის მიერ, მის გარდაცვალებამდე, მაქსიმუმ, ერთი წლით ადრე მიღებული ინფორმაციით¹⁷⁸ და ის ანდერძის შინაარსს არ უნდა შეწინააღმდეგებოდა¹⁷⁹.

არ შეიძლება ანგარიშზე იმაზე მეტი უფლებამოსილების გადაცემა, რაც გარდაცვლილს გააჩნდა. სასამართლოს უნდა დაედგინა, რომ მომხმარებელი აშკარად დასთანხმდა შეტყობინებების შინაარსის გამჟღავნებას. ასეთი თანხმობა შეიძლება ანდერძიდან ან ანგარიშის პარამეტრებიდან ყოფილიყო გამომდინარე, სადაც მითითებული იქნებოდა, თუ რა უნდა დამართვონდა შეტყობინებების შინაარსს განსაზღვრული დროით უმოქმედობის შემდეგ ან სხვა შემთხვევაში¹⁸⁰. სასამართლოს ასევე უნდა გადაეწყვიტა, რომ სამკვიდრო უფლება-მოვალეობები, პირველ რიგში, ამ განჩინების აღსრულების პასუხისმგებლობისგან იცავდა ინტერნეტ სერვისის მიმწოდებელს¹⁸¹.

PEAC-ის დამფუძნებლები შეზღუდვებზე არ გაჩერებულან. მათ ინტერნეტ სერვისების მიმწოდებელი დამატებით უფლებებით აღჭურვეს. ასეთი იყო, მაგალითად, განცხადების წარდგენა გადანაცვლებებზე უარის თქმის ან შეცვლის შესახებ, თუ მისი შესრულება არაგონივრულად მძიმე იყო მისთვის ან თუ ჩაითვლებოდა, რომ ანგარიშზე წვდომის მოსაპოვებლად რომელიმე პირობა არ იქნა შესრულებული¹⁸². ამ უფლებამოსილებით სარგებლობა დროით შეუზღუდავი იყო. ინტერნეტ სერვისების მიმწოდებელს შეეძლო უარი ეთქვა შეტყობინებების ჩანაწერებისა და შინაარსის გამჟღავნებაზე, რომელიც ნაშლილი იქნა მომხმარებლის მი-

¹⁶⁶ Art. 6 (F) PEAC (record or other information pertaining to a user).

¹⁶⁷ იხ. 6 (A) PEAC (contents) oraz art. 6 (B) PEAC (electronic communication).

¹⁶⁸ Art. 2 nr 4 UFADAA; art. 2 nr 4 RUFADAA.

¹⁶⁹ უფრო მეტიც Art. 6 (F) PEAC პირდაპირ ეხება § 2702 (c) U.S.C-ში ნახსენებ პირობებს.

¹⁷⁰ A.B. Lopez, Posthumous Privacy..., s. 208.

¹⁷¹ Contents – art. 6 (A) PEAC, § 2510 nr 8 U.S.C.

¹⁷² Electronic communication art. 6 (B) PEAC, § 2510 nr 12 U.S.C.

¹⁷³ Content of an electronic communication – art. 2 nr 6 UFADAA, art. 2 nr 6 RUFADAA; Electronic communication – art. 2 nr 11 UFADAA, art. 2 nr 12 RUFADAA.

¹⁷⁴ Art. 1 (A) PEAC; art. 1 (B) (c) PEAC.

¹⁷⁵ Art. 1 (A) (a)–(i) PEAC; art. 1 (B) (c) (i)–(vii) PEAC.

¹⁷⁶ განსაკუთრებით § 2701 i n. U.S.C. oraz § 222 U.S.C.; art. 1 (A) (e) PEAC; art. 1 (B) (c) (vii) PEAC.

¹⁷⁷ Art. 1 (A) (d) PEAC; Art. 1 (B) (c) (vi) PEAC.

¹⁷⁸ Art. 1 (A) (h) PEAC.

¹⁷⁹ Art. 1 (A) (i) PEAC.

¹⁸⁰ Art. 1 (B) (c) (i) PEAC.

¹⁸¹ Art. 1 (B) (c) (ii) PEAC.

¹⁸² Art. 2 PEAC.

ერ ან რომელიც არააქტიურ ანგარიშზე იყო¹⁸³. ეს იყო იმ წესის მიღების შედეგი, რომლის მიხედვითაც, შეუძლებელი იქნებოდა ანგარიშზე იმაზე მეტი პრივილეგიების გადაცემა, რომელიც გარდაცვლილს ჰქონდა. არ შეიძლებოდა ინტერნეტ სერვისების მიმწოდებლის იძულება, გაემჟღავნებინა შეტყობინებების შინაარსი და რეესტრი, თუკი ანგარიშით კანონიერად სხვა პიროვნება სარგებლობდა¹⁸⁴. ამ შემთხვევაში მას შეეძლო ამ ანგარიშზე ინფორმაციის გაგზავნა, რომ მოთხოვნილია ინფორმაციის გამჟღავნება და აქტუალური მომხმარებლისთვის უარის თქმაზე ვადის დანიშვნა. უარი იყო სავალდებულო ძალის მქონე და რწმუნებულს ართმევდა ანგარიშზე წვდომის უფლებას¹⁸⁵.

უფრო მეტიც, ინტერნეტ სერვისების მიმწოდებელი არ იყო ვალდებული გადაეცა კონტროლი გარდაცვლილის ანგარიშზე¹⁸⁶. მას ასევე არ ეკისრებოდა სამოქალაქო თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისგებლობა იმ ქმედებებისთვის, რომლებსაც კეთილსინდისიერად ასრულებდა სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით¹⁸⁷.

ერთიანი სამართლის კომისიას შემოაქვს ანგარიშზე წვდომის სამ საფეხურიანი ავტორიზაციის სისტემა. PEAC-ის პროექტი ასევე საკამათო იყო. გარდაცვლილის ანგარიშის წვდომის სასამართლო გადაწყვეტილებაზე დამოკიდებულება მძიმე ტვირთს წარმოადგენდა როგორც დაინტერესებული პირებისთვის, ისე სასამართლოებისათვის. ამიტომაც, ასეთი გამოსავლის ეფექტიანობა სამართლიანად ექცეოდა ეჭვის ქვეშ¹⁸⁸.

სადავო იყო ასევე ინტერნეტ სერვისების მიმწოდებლის სასამართლო გადაწყვეტილებისგან დამოუკიდებელი უფლებები, რომელთა გამოყენებაც მას ნებისმიერ დროს შეეძლო, თუნ-

დაც სასამართლოს განჩინების შემდეგ. გაჩნდა შესაბამისად შიში, რომ ეს ეფექტურად დააყოვნებდა ან თუნდაც დაბლოკავდა ანგარიშზე წვდომას. შედეგად, ამას შეეძლო სერიოზულად გაერთულებინა სამართლებრივი მდგომარეობა¹⁸⁹. დამატებით, ანგარიშზე წვდომის ეს დეტალური პირობები ზღუდავდა PEAC-ის გამოყენების ფარგლებს. შემოთავაზებული გადაწყვეტა შეიძლება ეფექტიანი ყოფილიყო იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი შეადგენდა ანდერძს და მასში მიუთითებდა ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილ პირს. თუმცა პრაქტიკაში ასეთი შემთხვევა ძალიან ცოტა იყო¹⁹⁰. ამ შემთხვევებისათვის საერთოდ საეჭვო იყო დამატებითი რეგულაციების შექმნის საჭიროება.

PEAC-ის კანონპროექტი არ წყვეტდა არსებულ პრობლემებს, ის მხოლოდ გარდაცვლილი მომხმარებლის ანგარიშზე წვდომის დაბლოკვით შემოიფარგლებოდა. თვალსაჩინო იყო უფრო ფართო, სრულყოფილი მიდგომის არარსებობა, რომლისკენაც UFADAA მიისწრაფოდა. ვარაუდების საწინააღმდეგოდ, პროექტმა არ გააადვილა სამკვიდროს განკარგვა. შედეგად, PEAC-მა ფართო მხარდაჭერა არ მოიპოვა. მხოლოდ ოთხმა შტატმა (კალიფორნია¹⁹¹, ორეგონი¹⁹², ვირჯინია¹⁹³, ვაიომინგი¹⁹⁴) განიხილა

¹⁸³ გადამწყვეტი იყო მომხმარებლის მიერ ანგარიშზე დაყენებული პარამეტრები, რომლებიც აჩვენებდა, თუ რა ემართება არააქტიურ ანგარიშს ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ.

¹⁸⁴ Art. 3 b PEAC.

¹⁸⁵ Art. 4 PEAC.

¹⁸⁶ Art. 5 PEAC.

¹⁸⁷ Art. 7 PEAC.

¹⁸⁸ Y. Mandel, Facilitating the Intent of Deceased Social Media Users, „Cardozo Law Review” 2018, vol. 39, s. 1938; A.B. Lopez, Posthumous Privacy..., s. 211.

¹⁸⁹ A.B. Lopez, Posthumous Privacy..., s. 210; Y. Mandel, Facilitating the Intent..., s. 1938.

¹⁹⁰ ამერიკელების ნახევარზე ნაკლები ადგენს ანდერძს და აქედან სულ რამდენიმეს ახსოვს თავისი ციფრული რესურსების ბედი იხ. . A.W. Coventry, Update on Fiduciary Access to Digital Assets, Pasternak & Fidus (12.02.2016), <https://www.pasternakfidus.com/update-on-fiduciary-access-to-digital-assets-2/> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020); por. Y. Mandel, Facilitating the Intent..., s. 1938, przypis 217.

¹⁹¹ პროექტი AB nr 691, 20.04.2015 წ.; საკანონმდებლო პროცესის დოკუმენტაცია, http://leginfo.legislature.ca.gov/faces/billHistoryClient.xhtml?bill_id=201520160AB691 (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

¹⁹² წარმომადგენელთა საბჭოს პროექტი HB nr 2647 (2015), წარდგენილი საბჭოს წევრების J. Williamson, J. Barker და სენატორ A. Roblan-ის მიერ: , <https://olis.leg.state.or.us/liz/2015R1/Measures/Overview/HB2647> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020), <https://olis.leg.state.or.us/liz/2015R1/Downloads/MeasureDocument/HB2647/Introduced> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

მისი გამოყენება. თუმცა მხოლოდ ვირჯინიამ¹⁹⁵ დააყრდნო 2015 წელს თავისი კანონმდებლობა PEAC-ის კანონპროექტს და ცვლილებები¹⁹⁶ შეიტანა თავის მართლწესრიგში. ამ კანონის ძალაში ყოფნის მოკლე ხანგრძლივობამ¹⁹⁷ შეუძლებელი გახადა მისი პრაქტიკაში გადამონმება¹⁹⁸. ვირჯინიამ უკვე 2017 წელს RUFADAA-ზე¹⁹⁹ დააყრდნობით ციფრულ აქტივებზე წვდომის ახალი წესები მიიღო.

5. RUFADAA (2015)

კომპრომისის ძიებისას ULC-ს კომიტეტმა UFADAA-ს მიერ მიღებული გადაწყვეტების კონსოლიდაცია მოახდინა და 2015 წელს წარადგინა აქტის შესწორებული ვერსია - RUFADAA²⁰⁰. ის ადგენს კატალოგსა და ელექ-

ტრონულ შეტყობინებებზე წვდომის განსხვავებულ წესებს. მასზე დაყრდნობით, ადმინისტრატორს შეუძლია კატალოგის გაზიარება, თუ მომხმარებელი ამას პირდაპირ არ გამოორიცხავს ან სასამართლო სხვაგვარად არ გადაწყვეტს²⁰¹. ხოლო ელექტრონული შეტყობინების შინაარსის გასამჟღავნებლად საჭიროა მომხმარებლის მკაფიოდ გამოთქმული თანხმობა ან სასამართლო გადაწყვეტილება²⁰².

შესწორებულ უნიფიცირებულ კანონს წვდომის ავტორიზაციაზე სამეთაპიანი სისტემა შემოაქვს²⁰³. პირველ რიგში, მომხმარებელს შეუძლია online საშუალების გამოყენებით მისცეს ადმინისტრატორს ციფრული აქტივების, მათ შორის, შეტყობინების შინაარსის, გამჟღავნების ან გაუმჟღავნებლობის ნება (online tool agreement)²⁰⁴. თუ ადმინისტრატორმა მსგავსი საშუალება არ გააზიარა ან თუ მომხმარებელმა იგი არ გამოიყენა, მაშინ ხელმისაწვდომობა წყდება ანდერძის ან რწმუნებულების ხელშეკრულების შინაარსით²⁰⁵. ხოლო უკვე ამ პირობათა არარსებობის შემთხვევაშიც კი გამოსავალი მომსახურების ხელშეკრულების ზოგად პირობებში მოიძებნება²⁰⁶.

RUFADAA, UFADAA-სა და PEAC-სგან²⁰⁷ განსხვავებით, კარგად იქნა მიღებული და ამერიკის შეერთებულ შტატებში საკითხის ერთიანი მონესრიგების საფუძველი გახდა²⁰⁸.

¹⁹³ სენატის პროექტი SB nr 1450 (2015) საკანონმდებლო პროცესის სრულ დოკუმენტაციასთან ერთად, <http://lis.virginia.gov/151/sum/SB1450.HTM> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

¹⁹⁴ პროექტი nr 16LSO-0041, Working Draft 0.5 (2016 წ.), <https://wyoleg.gov/InterimCommittee/2015/SDI-0728APPENDIX12.pdf> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

¹⁹⁵ § 64.2-109 – § 64.2-115 VA Code (2016).

¹⁹⁶ ვირჯინიაში PEAC-ის იმპლემენტაციის შესახებ იხ. M. Obenshain, J. Leftwich, Protecting the Digital Afterlife: Virginia’s Privacy Expectation Afterlife and Choices Act, „Richmond Journal of Law and the Public Interest” 2015, vol. 19, nr 1, s. 44–49.

¹⁹⁷ წესებმა ძალა დაკარგა ახალი კანონის იმპლემენტაციით 17 თებერვალი 2017 წ., rozdz. 33 i 80.

¹⁹⁸ 8 Y. Mandel, Facilitating the Intent..., s. 1938.

¹⁹⁹ § 64.2-116 – § 64.2-132 VA Code (2018); კანონის შეცვლა (17.02.2017), <http://lis.virginia.gov/cgi-bin/legp604.exe?171+ful+CHAP0033> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020); წარმომადგენელთა საბჭოს პროექტი HB nr 1608 (2017) საკანონმდებლო პროცესის სრულ დოკუმენტაციასთან ერთად, <http://lis.virginia.gov/cgi-bin/legp604.exe?171+sum+HB1608> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

²⁰⁰ RUFADAA კომენტარებით, <https://www.uniformlaws.org/HigherLogic/System/DownloadDocumentFile.ashx?DocumentFileKey=112ab648-b257-97f2-48c2-61fe109a0b33&forceDialog=0> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

²⁰¹ Art. 8 RUFADAA.

²⁰² Art. 7 RUFADAA.

²⁰³ § 4(a)–(c) RUFADAA; J. Ronderos, Is Access Enough?..., s. 1038 i n.

²⁰⁴ მომხმარებელს ნებისმიერ დროს უნდა შეეძლოს დისპოზიციის შეცვლა art. 4 (a) RUFADAA.

²⁰⁵ მომხმარებელს ციფრულ რესურსებთან დაკავშირებული მოთხოვნები შეუძლია ამ დოკუმენტშიც ჩაწეროს art. 4(b) RUFADAA.

²⁰⁶ Art. 4 (c) RUFADAA.

²⁰⁷ UFADAA-ს, PEAC-ისა და RUFADAA-ს წესების შედარება, <https://www.uniformlaws.org/HigherLogic/System/DownloadDocumentFile.ashx?DocumentFileKey=a45a0fc6-4cb4-0b25-a4cf-1792f1852355&forceDialog=0> (უკანასკნელად ნანახია 31.01.2020).

²⁰⁸ RUFADAA-ს საკანონმდებლო პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს კოლუმბიაში (230141), მასაჩუსეტსა (HB 3368) და პენსილვანიაში (SB 320), <https://www.uniformlaws.org/committees/community-home?CommunityKey=f7237fc4-74c2-4728-81c6-b39a91ecdff22> (უკანასკნელად ნანახია 31.12.2019).

მტკიცებულების ცნება და სახეები

ბექა ხუფენია

შესავალი

2010 წლის 1 ოქტომბერს საქართველოში ამოქმედდა „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ (შემდგომში სსსკ). ახალმა კოდექსმა მანამდე არსებული სისტემის ნაცვლად, შემოიღო ახალი შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული პროცესი, რაც მისასალმებელი ფაქტია. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიზანია, დაადგინოს დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების წესები.¹

სახელმწიფოში დანაშაულის დასჯის მიზნით სახელმწიფოს მიერ გასატარებელი ღონისძიებები გარკვეულ ჩარჩოებშია მოქცეული. ცალკეული ინდივიდებისა და საყოველთაო სამართლებრივი სიკეთის დასაცავად სახელმწიფო დანაშაულის დასჯის უფლებამოსილების რეალიზაციას ახდენს სამართლებრივად წინასწარ განსაზღვრული წესების დაცვით. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ სურათს, რა დროსაც დანაშაულის გამოძიების დროს პროცესის მწარმოებელი პირები მომხდარი დანაშაულის გამოძიების მიზნით თავად ჩაიდენენ საზოგადოების მხრიდან დასაძრახ ქმედებებს, რაც, ბუნებრივია, საჯარო წესრიგისთვის სერიოზული ზიანის მომტანია.

მომხდარი დანაშაულის ცალკეული დეტალების აღდგენა, ფაქტების დადასტურება/უარყოფა, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი/შემამსუბუქებელი გარემოებების გამორკვევა

ხდება მხარეთა მიერ მოპოვებულ მტკიცებულებათა საფუძველზე. მტკიცებულებათა მოპოვება ხდება გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ეტაპზე (ცალკეული გამონაკლისების გარდა). მართლმსაჯულების დროს, როგორც წესი, ხდება მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევა და შეფასება. შესაბამისად, ცალსახად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მტკიცებულება არის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიზნების შესრულების აუცილებელი წინაპირობა, ურომლისოდაც კოდექსის მიზნის არსებობას რაიმე შინაარსობრივი დატვირთვა არ ექნება.

ახალი პროცესის მიხედვით, მოსამართლე არის ნეიტრალური არბიტრი და იგი მონაწილეობას არ იღებს მტკიცებულებათა მოპოვებაში, „სასამართლო გამოდის მედიატორის როლში, არ მონაწილეობს მტკიცებულებათა მოძიებაში, არ გააჩნია საკუთარი ინიციატივით მტკიცებულებათა გამოკვლევის უფლება“,² თუმცა მონაწილეობას იღებს მტკიცებულების მოპოვების ფორმალურ მხარეში, რათა არ იქნეს დარღვეული საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა საერთაშორისო აქტებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. მტკიცებულებათა მოპოვება მთლიანად დაცვისა და ბრალდების მხარეების პრეროგატივაა. მხოლოდ მხარე არის უფლებამოსილი, კანონით დადგენილი წესით მოიპოვოს, გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება. თუმცა სანამ მოხდება მტ-

¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1-ელი მუხლი.

² საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარდგინება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში 17/09/2014, N608;

კიცებულების მოპოვება, გამოკვლევა და შეფასება, რა თქმა უნდა, აუცილებელია, რომ გავარკვიოთ თავად მტკიცებულების ცნება, ანუ დავადგინოთ მტკიცებულების. როგორც სამართლებრივი შინაარსის მატარებელი საგნის (მოვლენის), არსი.

I. მტკიცებულების ცნება

სსსკ-ის მე-3 მუხლი გვთავაზობს ძირითად ტერმინთა განმარტებას ამ კოდექსის მიზნებისთვის. მოკლედ შევხვით, თუ რა მნიშვნელობა აქვს ტერმინთა განმარტებას კანონმდებლისათვის. ვინაიდან ადამიანებს აქვთ განსხვავებული აზროვნება, მენტალობა, პროფესიული განათლების დონე და შეხედულებები, ბუნებრივია, მათ მიერ ცალკეული და მნიშვნელოვანი (ძირითადი) ტერმინების აღქმა და გააზრება შესაძლებელია განსხვავებულად მოხდეს. კანონის ძირითადი მახასიათებელი კი სწორედ მის არაორაზროვნობაშია. იგი მაქსიმალურად უნდა იქნეს დაცული ინდივიდუალური და განუსაზღვრელი შეფასებებისგან. ამიტომ როდესაც კანონმდებელი მის მიერ მიღებულ აქტში ახსენებს ტერმინს, ის წინასწარ გვთავაზობს ნორმის ადრესატებს ამ ტერმინის დანიშნულებას, არსს და განმარტავს, რომ როდესაც მის მიერ მიღებულ კანონში შეგვხვდება ესა თუ ის ტერმინი, ჩვენ ამ ტერმინის აღქმა და გააზრება მოვახდინოთ სწორედ იმ ფარგლებში და იმ დონეზე, რაც თავად აქვს დადგენილი. ეს გარემოება უზრუნველყოფს კანონის იდენტური და განჭვრეტადი აღქმის შესაძლებლობას.

სსსკ-ის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილის თანახმად, მტკიცებულება არის:

„კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზედაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელ-

დება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას. დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო-, კინო-, ვიდეო-, ბერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით“³.

როგორც ვხედავთ, სსსკ გვთავაზობს მტკიცებულების საკმაოდ ვრცელ და შინაარსობრივ განმარტებას. ცალკეული საკითხები დამატებით განხილვას საჭიროებს.

ნებისმიერი სახის ინფორმაცია არ წარმოადგენს მტკიცებულებას და მასზე დაყრდნობით მხარეები ვერ განახორციელებენ თავიანთ უფლება-მოვალეობებს. აუცილებელი გარემოება არის ის, რომ მტკიცებულების მოპოვების (აღმოჩენა, ფიქსაცია, გამოკვლევა და ა.შ) დროს მხარეებმა დაიცვან კანონით დადგენილი წესი, წინააღმდეგ შემთხვევაში მიუხედავად მოპოვებული მტკიცებულების მნიშვნელობისა, ის არ იქნება დასაშვები და მასზე დაყრდნობით რაიმე გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელი იქნება.

საქართველოში სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი წყარო არის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ არის ერთადერთი სამართლებრივი აქტების სისტემატიზირებული ერთიანობა, რომელიც უნდა დავიცვათ სისხლის სამართლის პროცესის დრო. სისხლის სამართლის მთელი პროცესის განმავლობაში სავალდებულოა, რომ დაცულ იქნეს არამხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, არამედ სხვა საკანონმდებლო აქტების მოთხოვნე-

³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილი.

ბიც, რომელთა გამოყენება ხდება პროცესის დროს.

ამ მსჯელობის განვითარების შესაძლებლობას გვაძლევს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება №2/2/579 (საქმის დასახელება: საქართველოს მოქალაქე მათა რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ). 2015 წლის 18 აგვისტომდე მოქმედი სსსკ-ის კოდექსის 72-ე მუხლის (დაუშვებელი მტკიცებულება) პირველი ნაწილის თანახმად, „ამ კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია“. როგორც ვხედავთ დაუშვებელი მტკიცებულების ცნობის საფუძველი იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც მტკიცებულება მოპოვებული იყო „ამ კოდექსის“ არსებითი დარღვევით, რის გამოც ჩნდებოდა კითხვები და სამართლიანი იყო უარყოფითი დამოკიდებულება შემდეგი საკითხისადმი. იმ დროს მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, „კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს“ (დღეს მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტი „კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს“). არაფერი არსებობდა იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველოს კონსტიტუცია ტერმინ „კანონში“ მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს თვლიდა. შესაძლებელი იყო, რომ მტკიცებულების მოპოვების დროს დარღვეულიყო სხვა კანონის მოთხოვნა (მაგ., „ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის შესახებ“), მაგრამ მიღებული მტკიცებულების სისხლის სამართლის საქმეზე ფორმალურად დამაგრება თუ მოხდებოდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებათა დაცვით, მაშინ ასეთი მტკიცებულება დასაშვები იქნებოდა. ამკარად ჩანდა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შეზღუდულად განმარტავდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტს, რაც ცა-

ლსახად არასამართლებრივი იყო. სწორედ ეს გარემოება იყო მოსარჩელის პრეტენზია. მოსარჩელე მათა რობაქიძე ბრალდებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთვის. მოსარჩელის განმარტებით, წინასასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ წარადგინა კერძო პირის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისა და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევით მოპოვებული ინფორმაცია, რის გამოც, დაცვის მხარემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს წარმოდგენილი მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის თაობაზე. სასამართლომ არ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.⁴ მოსარჩელის მტკიცებით, სადავო ნორმები არაკონსტიტუციური იყო, ვინაიდან დაუშვებლად აცხადებდა მხოლოდ „ამ კოდექსის“, ე.ი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებითი დარღვევით და არა სხვა ნორმატიული აქტებით, მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსით, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ და „პოლიციის შესახებ“ კანონებით დადგენილი წესის არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს.⁵ მოსარჩელეს განმარტებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის შესაბამისად, გამომძიებელსა და პროკურორს გამოძიების დაწყების უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების მომენტიდან. მოსარჩელის განმარტებით, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ და „პოლიციის შესახებ“ კანონებით განსაზღვრულია გარკვეული ღონისძიებები, რომელთა მიზანი შეიძლება იყოს დანაშაულის პრევენცია ან დანაშაულის ნიშნების დამადასტურებელი მონაცემების შეგროვება გამოძიების დასაწყებად. შესაბამისად, აღნიშნული ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები შესაძლოა წინ უსწრებდეს გამოძიების დაწყებას. მიუხე-

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება № 2/2/579 აღწერილობითი ნაწილი, მე-6 პუნქტი.
⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება № 2/2/579 აღწერილობითი ნაწილი, მე-7 პუნქტი.

დავად ამისა, სათანადო ორგანოების მიერ კანონით დადგენილი პროცედურების დარღვევა ვერ გახდება მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველი, ვინაიდან მათი მოპოვება მოხდა გამოძიების დაწყებამდე და მასზე ვერ გავრცელდებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.⁶ მოსარჩელის განმარტებით, სადავო ნორმა ცალსახად დასაშვებად მიიჩნევა ნებისმიერ მტკიცებულებას, რომელიც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გარდა, სხვა ნორმატიული აქტის დარღვევით იყო მოპოვებული.

მოცემულ საქმეზე მოპასუხე მხარე (საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელი) ამტკიცებდა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტის მიზანია არა პროცესის ნებისმიერი მონაწილის, არამედ მხოლოდ პროცესის მხარის მიერ რელევანტური კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა.⁷ ამასთან, აღნიშნული მუხლის მიზნებისთვის, მხოლოდ იმ კანონის არსებით დარღვევას აქვს მნიშვნელობა, რომლის საფუძველზეც მხარეს შეუძლია მტკიცებულების მოპოვება. მოპასუხე მხარემ ასევე ყურადღებას ამახვილებდა 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ რეგულირებაზე, რომლის თანახმად, დაუშვებელ მტკიცებულებად მიიჩნეოდა არა მხოლოდ კოდექსის, არამედ ნებისმიერი კანონის დარღვევით მიღებული მტკიცებულება. მოპასუხის განმარტებით, აღნიშნული დანაწესი კანონმდებელმა ზედმეტად ფართოდ მიიჩნია, ვინაიდან სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა ლეგიტიმური მიზნების მიღწევას. შესაბამისად, მტკიცებულების შეგროვებასთან დაკავშირებული საპროცესო მოქმედებები გადაიხედა და მოექცა ორ ძირითად ნორმატიულ აქტში, რომელთა დარღვევა

მტკიცებულების დაუშვებლობას განაპირობებს.⁸

სასამართლოს განმარტებით, დებულება („კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს“) სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის გამოხატულებაა, რომლის თანახმად, კანონისა და ადამიანის უფლებათა დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, დაუშვებელია პირის სისხლის სამართლებრივი დევნა და მსჯავრდება. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, შეიმუშაოს მტკიცების წესი, რომელიც უზრუნველყოფს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების უტყუარად დადგენას, კონკრეტული პირის სამართლიან მსჯავრდებას საქართველოს კანონმდებლობის და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლის სტანდარტების შესაბამისად მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე. მტკიცებულების უტყუარობა უკავშირდება, პირველ რიგში, მისი მოპოვების ხერხის კანონიერებას. კონსტიტუციით დადგენილი ღირებულებათა სისტემა მოითხოვს, მართლმსაჯულების განხორციელებას პიროვნული თავისუფლებისა და ადამიანის ღირსების პატივისცემით, კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისი ხერხითა და საშუალებებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სისხლის სამართალწარმოებისა და მტკიცებულებათა მოპოვების წესის მკაცრი საკანონმდებლო რეგულირების გარეშე იქმნება სახელმწიფოს მხრიდან თვითნებობის საფრთხე. კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების აკრძალვით საქართველოს კონსტიტუცია მიზნად ისახავს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას, პროცესის მონაწილეთა კონსტიტუციური უფლება-თავისუფლებების დაცვას, მართლმსაჯულებისადმი მოსახლეობის და პროცესის მონაწილეების ნდობის და სისხლისსამართლებრივი დევნის მწარმოებელი ორგანოების პასუხისმგებლობის ამაღლებას, რაც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს

⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება № 2/2/579 აღწერილობითი ნაწილი, მე-9 პუნქტი.

⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება № 2/2/579 აღწერილობითი ნაწილი, მე-20 პუნქტი.

⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება № 2/2/579 აღწერილობითი ნაწილი, 23-ე პუნქტი.

მთლიანად პროცესის სამართლიანობას და სამართლიან სასამართლოზე ბრალდებულის უფლების რეალიზაციას. მტკიცებულებათა უკანონოდ მოპოვება არ შეიძლება იქნეს გამართლებული ყველაზე მძიმე კატეგორიის დანაშაულში პირის მხილების ან/და ორგანიზებული დანაშაულის გამოძიების სირთულეებითაც კი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მართლმსაჯულების განხორციელება გასცდება კანონის ჩარჩოებს და გადაიქცევა შეუზღუდავი ძალაუფლების იარაღად, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის პიროვნული თავისუფლების აღიარების კონსტიტუციურ სტანდარტს.⁹

სასამართლოს შეფასებით, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტში გამოყენებულ ტერმინ „მოპოვებას“ ავტონომიური კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს და უნდა განიმარტოს საქართველოს კონსტიტუციის ამ დებულების მიზნებიდან გამომდინარე. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი გარანტია ემსახურება მტკიცებულებების მოპოვებისას საკანონმდებლო პროცედურებისა და ადამიანის უფლებების განუხრელი დაცვის უზრუნველყოფას. აღნიშნული გარანტია მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ეფექტიანი, თუ იგი მოიცავს ყველა იმ ურთიერთობას, რომლებიც უკავშირდება მტკიცებულების მოპოვების მიზნით უფლებამოსილი ორგანოების მიერ ინფორმაციის შემცველი ობიექტების მიღების პროცესს. იმ შემთხვევაში, თუ კონსტიტუციური დაცვა გავრცელდება მხოლოდ კონკრეტულ ეტაპზე ან მხოლოდ კონკრეტულ სუბიექტებზე და არა ყველა იმ სახელმწიფო ორგანოზე, რომელიც მოიპოვებს მტკიცებულებას, წარმოიშობა თვითნებობისა და კონსტიტუციური გარანტიის არაეფექტიანობის საფრთხე. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტის სულისკვეთებიდან გამომდინარე, კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას არ გააჩნია იურიდიული ძალა, იმის მიუხედავად, თუ რომელი სუბიექტის მიერ არის იგი მოპოვებული და მტკიცებულების მოპოვების რა ეტაპზე დაარღვია შესა-

ბამისმა ორგანომ კანონმდებლობის მოთხოვნები. წინააღმდეგ შემთხვევაში პროცესის მწარმოებელ ორგანოს ექნებოდა შესაძლებლობა, თვითნებურად აერიდებინა თავი კანონმდებლობის მოთხოვნებისათვის მტკიცებულებების მოპოვების ამა თუ იმ ეტაპზე ან/და ამა თუ იმ ღონისძიების ჩატარება მიენდოთ სხვა პირებისთვის და ამ გზით იურიდიული ძალა მიენიჭებინათ კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებებისთვის, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტით განმტკიცებული გარანტიის ქმედითობას.¹⁰ მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს ცალკეული მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მოპოვების წესს არა მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, არამედ სხვა საკანონმდებლო აქტებშიც.¹¹ სასამართლოს განმარტებით, განაჩენის ან/და ნებისმიერი სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილების ლეგიტიმურობა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების დასაბუთებისათვის გამოყენებული მტკიცებულებების კანონიერებაზე. ამიტომ, თუ კერძო პირების მიერ არაკანონიერი გზით მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად დაშვება ბრალდებულის ფუნდამენტურ უფლებებს არსებით ზიანს მიაყენებს, ასეთი ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენება დაუშვებელია. სასამართლოს განმარტებით კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებებისთვის იურიდიული ძალის მინიჭება ყველა შემთხვევაში, ნებისმიერი გამოწვევისა და დავინროების გარეშე, ახალისებს მტკიცებულებების მოპოვებელი სახელმწიფო ორგანოების თვითნებობას და შეიცავს პირის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის შეუქცევად საფრთხევებს. ასეთი მიდგომა შეიცავს მტკიცებულებების მოპოვების პროცესში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის საფრთხეს და ეწინააღმდეგე-

⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება № 2/2/579 სამოტივაციო ნაწილი, 1-7 პუნქტი.

¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება № 2/2/579 სამოტივაციო ნაწილი, მე-19 პუნქტი.

¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება № 2/2/579 სამოტივაციო ნაწილი, 24-ე პუნქტი.

ბა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტის სულისკვეთებას.¹²

ამ ლოგიკური და სამართლიანი მსჯელობის გამო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის ჩანაწერი „ამ კოდექსის“ არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტთან მიმართებით. ნორმის დღეს არსებული შინაარსი კი შემდეგია: „არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია“. როგორც ვხედავთ, აღარ არის ჩანაწერი „ამ კოდექსის“ და იგულისხმება ნებისმიერი საკანონმდებლო აქტი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ სისხლის სამართლის პროცესის დროს დაცული უნდა იქნეს არამხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები, არამედ იმ ნებისმიერი საკანონმდებლო აქტის მოთხოვნები, რომელსაც რაიმე ფორმით აქვს შემხებლობა სისხლის სამართლის პროცესთან.

II. მტკიცებულებათა სახეები (ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი)

როგორც ვხედავთ, სსსკ მტკიცებულების ცნების განმარტების დროს ასახელებს ცალკეული მტკიცებულების სახეებს.

1. გამოკითხვის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია და მონმის ჩვენება

მონმის ჩვენება არის მონმის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის

რთლის საქმის გარემოებათა შესახებ. როგორც ვხედავთ, მონმის ჩვენებად სსსკ აღიარებს მხოლოდ სასამართლოსთვის მონმის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. წინასწარ მონმეთა წრის განსაზღვრება და კანონმდებლობით მისი დარღვევები შეუძლებელია, ვინაიდან ფართოა მონმის ჩვენების საგანი. მონმედ სისხლის სამართალწარმოებაში შესაძლებელია გამოვიდეს ნებისმიერი პირი გარემოებების მიუხედავად (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც მონმეს/გამოსაკითხ პირს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მიანოდოს ინფორმაცია ან მისცეს ჩვენება). მონმის ჩვენება მტკიცებულება ვერ იქნება, თუ მონმე ვერ მიუთითებს წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროს ან თუ დადგინდება, რომ ფსიქიკური ავადმყოფობის ან ფიზიკური ნაკლის გამო მას არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები.¹³ დაკითხვის პროცესში მონმემ უნდა განმარტოს ის გარემოებები, თუ რა ვითარებაში მიიღო მან ეს ინფორმაცია, ანუ მონმე ვალდებულია განმარტოს ინფორმაციის წყარო. მაგალითად მონმე ბ. გ. ჩვენებაში განმარტავს: „მე დავინახე, თუ როგორ მოუქნია ვალერიმ დანა და დაარტყა დათოს მუცელში, დარტყმის მომენტში კი დაუყვირა „მოკვდი“. მოცემულ შემთხვევაში მონმე ბ. გ.-ს განმარტავს, რომ მან დაინახა მის მიერ განცხადებული ფაქტი, ანუ მონმემ დაასახელა ის წყარო, საიდანაც აქვს ინფორმაცია. ეს არის მონმის პირდაპირი ჩვენება.

არსებობს მონმის ირიბი ჩვენება. ირიბია მონმის ის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. მაგალითად, მონმე დ. თ. ჩვენებაში განმარტავს: „სუფრაზე ქეიფის დროს გავიგონე ჩემს პირდაპირ მჯდომი დემეტრეს საუბარი. ის ამბობდა, რომ მისმა მეგობარმა გიორგიმ რამდენიმე დღის წინ ურთიერთშელაპარაკების დროს მოკლა კაცი“. მოცემულ შემთხვევაში მონმე დ. თ. არ ყოფილა ფაქტის შემსწრე და განცხადებულ

¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება № 2/2/579 სამოტივაციო ნაწილი, 34-ე პუნქტი.

¹³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.

ინფორმაციის წყაროდ უთითებს სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. ირიბი ჩვენება ეყრდნობა სხვა წყაროდან მოპოვებულ, როგორც წესი, მოდიფიცირებულ ფაქტობრივ ინფორმაციას, ვინაიდან ირიბ ჩვენებას იძლევა პირი, რომლისთვისაც აღნიშნული ინფორმაცია სხვა პირის მეშვეობით გახდა ცნობილი.¹⁴ ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია. მოცემულ შემთხვევაში მოწმე დ. თ.-ს მიერ განცხადებული ირიბი ჩვენება დასაშვებია, ვინაიდან მან დაასახელა ინფორმაციის წყარო, რომლის ვინაობის დადგენა და შემოწმება შესაძლებელია. თუმცა დ. თ. თუ ჩვენებაში განმარტავდა, რომ მან მხოლოდ ვილაცის ხმა გაიგო (ამ შინაარსის საუბარი) და არც მოსაუბრე არ უნახავს და არც იცის, ვინ არის ის, ბუნებრივია, ასეთ ჩვენებას მტკიცებულებად ვერ გამოვიყენებთ. ირიბი ჩვენება სანდოობის და მტკიცებულებითი ხარისხის უფრო მცირე ძალის მატარებელია, ვინაიდან ირიბი ჩვენება, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას და, შესაბამისად, დიდია ალბათობა სუბიექტური შეფასებებისა. ამასთანავე, იმისათვის, რომ ირიბი ჩვენება იქნეს გაზიარებული, არსებობს დამატებითი მოთხოვნები, როგორებიცაა წყაროს იდენტიფიცირება და გადამოწმება და დამატებითი სხვა ისეთი მტკიცებულების არსებობა, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება. საინტერესოა, რომ ირიბი ჩვენების, როგორც მტკიცებულების, გაზიარებისა და მის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების საკითხი გახდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი, რომელიც აისახა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილებაში (საქმის დასახელება: „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

ერთ-ერთი დავის საგანი იყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის (მტკიცებულება) მე-2 ნაწილის და ამავე კოდექსის 169-ე მუხლის (პირის ბრალდებულად ცნობა) პირველი ნაწილის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის იმ დროს მოქმედი რედაქციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ბრალდებულის აღიარება, თუ ის არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით, საკმარისი არ არის მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურებს პირის ბრალეულობას“. ამავე კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა“. აღნიშნული სადავო ნორმებით დადგენილია პირის ბრალდებულად ცნობისა და გამამტყუნებელი განაჩენის მტკიცებულებითი სტანდარტები, ასევე, ირიბი ჩვენების დასაშვებობის კრიტერიუმები. იმ დროს მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“ (დღეს მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტი). მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის და ამავე კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირის ბრალდებულად ცნობა და მსჯავრდება შესაძლებელია განისაზღვროს არა უტყუარი მტკიცებულებების, არამედ ირიბი ჩვენების, როგორც ურთიერთშეთანხმე-

¹⁴ ჩომბახაშვილი / თომაშვილი / ძეგნიაური / ოსეფაშვილი / პატარიძე, მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი 2016, 21.

ბული მტკიცებულებების ერთობლიობით. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ ორი ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობა და მსჯავრდება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს.¹⁵ მოპასუხის განმარტებით, სადავო ნორმები სრულად შეესაბამებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ „უტყუარობის“ სტანდარტს. საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლის განცხადებით, სისხლის სამართლის პროცესი არის ერთი დიდი ერთობლიობა და სადავო ნორმები არ უნდა შეფასდეს როგორც ცალკე აღებული მოცემულობა. ისინი განხილულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სხვა ნორმებთან ერთად. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ „მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით“. ამავე მუხლის მე-2 ნაწილში კი საუბარია, რომ „მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა“. მოპასუხე მხარის განმარტებით, ნებისმიერ ირიბ თუ არაირიბ მტკიცებულებას, რომელიც წარედგინება სასამართლოს, არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სწორედ მოსამართლემ უნდა შეაფასოს იგი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით და მხოლოდ ასეთი ტესტის გავლის შემდეგ დაუდოს საფუძველად საბოლოო განაჩენს. მოპასუხის აზრით, კანონი მოსამართლეს ანიჭებს გადამწყვეტ როლს მტკიცებულებების შეფასების პროცესში, რაც, თავის მხრივ, სრულად შეესაბამება კონსტიტუციის მე-40 მუხლით დადგენილ სტანდარტებს.¹⁶

სასამართლოს განმატებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი

უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. აღნიშნული კონსტიტუციური დებულება წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ საფუძველს, განამტკიცებს უდანაშაულო პირის მსჯავრდების თავიდან აცილების მნიშვნელოვან, საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს - „*in dubio pro reo*“, რომლის თანახმად, დაუშვებელია პირის მსჯავრდება საეჭვო ხასიათის ბრალდებების საფუძველზე და, ამდენად, სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას ქმნის. მხოლოდ უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე პასუხისმგებლობის დაკისრების პრინციპი წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ სახელმწიფო მოხელეთა თვითნებობისა თუ შეცდომების შედეგად არ მოხდეს უდანაშაულო პირის მსჯავრდება. სამართლებრივი სახელმწიფო გულისხმობს ისეთი სამართლებრივი სისტემის არსებობას, რომლის პირობებშიც პირის წინააღმდეგ განხორციელებული მართლმსაჯულების ღონისძიებები - ბრალდება და პასუხისმგებლობის დაკისრება, უნდა განხორციელდეს ადეკვატური სტანდარტების შესაბამისად.¹⁷

სასამართლოს განცხადებით, საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტისა თუ გარემოების დადასტურება მხოლოდ სანდო წყაროდან მიღებული და ჯეროვნად შემოწმებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა მოხდეს. მტკიცებულების საფუძველზე მიღებულმა ინფორმაციამ უტყუარად, ერთმნიშვნელოვნად უნდა მიუთითოს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის დასადასტურებლადაც არის წარმოდგენილი. მტკიცებულების წარდგენის მიზანს საქმისთვის რელევანტური ფაქტებისა თუ გარემოებების დადასტურება წარმოადგენს, რაც, საბოლოო ჯამში, პირის ბრალეულობაზე მიუთითებს. კონსტიტუციური მოთხოვნაა, რომ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირმა ბრალის დასაბუთებისას გამოიყენოს მხოლოდ ის მტკიცებუ-

¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება №1/1/548, აღწერილობითი ნაწილი, მე-9 პუნქტი.

¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება №1/1/548, აღწერილობითი ნაწილი, მე-16 პუნქტი.

¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება №1/1/548, სამოტივაციო ნაწილი, I-II პუნქტი.

ლებები, რომლებსაც ის უტყუარად მიიჩნევს, რომელთა სანდოობასა და ნამდვილობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.¹⁸

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ბრალის წაყენების მიზნებისთვის ირიბ ჩვენებას (იდენტიფიცირებადი წყაროს მითითების შემთხვევაში) დასაშვებ მტკიცებულებად მიიჩნევს, ხოლო საქმის არსებითი განხილვისთვის ერთ დამატებით პირობას ადგენს – ირიბი ჩვენება სხვა ისეთი მტკიცებულებით უნდა დასტურდებოდეს, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება. ამავე დროს, მტკიცებულებათა დასაშვებობის მარეგულირებელი ნორმები არ შეიცავს დამატებით რაიმე მითითებას, ნესს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ირიბი ჩვენება პირისთვის ბრალის წაყენების ან განაჩენის გამოტანის დროს. შესაბამისად, ბრალის წაყენება და გამამტყუნებელი განაჩენის მიღება შესაძლებელია მოხდეს მტკიცებულებათა იმგვარი ერთობლიობით, რომელიც არა მხოლოდ მოიცავს ირიბ ჩვენებას, არამედ არსებითად ემყარება მას. სასამართლოს მიერ ისეთი ჩვენების დასაშვებად ცნობა, რომელიც ემყარება სხვა პირის მიერ გაკეთებულ განცხადებას ან გავრცელებულ ინფორმაციას, შეიცავს მრავალ რისკს. მათ შორის, რთულია იმის შეფასება, თუ რამდენად სანდოა ან სარწმუნოა ასეთი ინფორმაცია, ვინაიდან სასამართლო შეზღუდულია შესაძლებლობაში, შეამოწმოს ინფორმაციის გამავრცელებელი პირის განწყობა, მისი დამოკიდებულება იმ მოვლენების მიმართ, რომლებიც სისხლისსამართლებრივ საქმეს უკავშირდება.¹⁹

სასამართლოს განმარტებით, მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემისთვის გათვალისწინებულია შესაბამისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რაც მოწმის ჩვენების სანდოობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვან სამართლებრივ მექანიზმს წარმოადგენს. ირიბი ჩვენების შემთხვევაში კი ეს მექანიზმი სანდოობის უზრუნველსაყოფად ნაკლებად ეფექტიან სა-

შუალებას წარმოადგენს, რამდენადაც ირიბი ჩვენების მიმცემ პირს არ შეუძლია დაადასტუროს, თუ რამდენად უტყუარია სხვა პირის მიერ გავრცელებული ინფორმაცია. სასამართლო კატეგორიულად აცხადებს, რომ ირიბ ჩვენებათა სიმრავლე თავისთავად არ უნდა განაპირობებდეს ამ ჩვენებების საფუძველზე მიღებული ინფორმაციის სანდოობას.²⁰ იგი აკეთებს დასკვნას, რომ ირიბი ჩვენება, ზოგადად, ნაკლებად სანდო მტკიცებულებაა, მისი გამოყენება შეიცავს პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით მცდარი აღქმის შექმნის საფრთხეს და, ამდენად, შეიძლება დასაშვები იყოს მხოლოდ გამოწვევის შემთხვევებში, კანონით გათვალისწინებული მკაფიო წესისა და სათანადო კონსტიტუციური გარანტიების უზრუნველყოფის პირობებში და არა მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ზოგადი წესით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო თვლის, რომ სადავო ნორმები შეიცავს მტკიცებულებათა შეფასების პროცესში შეცდომების დაშვების შესაძლებლობას და საფრთხის შემცველია ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის.²¹

ამ დასაბუთებული და სამართლიანი მსჯელობის განვითარების გამო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი და 169-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც შესაძლებელს ხდიდა, ირიბი ჩვენების საფუძველზე მიღებული ყოფილიყო პირის ბრალეულობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება, ჩათვალა არაკონსტიტუციურად იმ დროს მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის რედაქციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებაში.

დღეს არსებული ნორმატიული ბაზა განაგრძობს ამ დანაწესის შესრულებას და დაუშვებლად აცხადებს ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდების და დამნაშავედ ცნობის გა-

¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება №1/1/548, სამოტივაციო ნაწილი, მე-7 პუნქტი.
¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება №1/1/548, სამოტივაციო ნაწილი, 28-ე და 29-ე პუნქტები.

²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება №1/1/548, სამოტივაციო ნაწილი, 31-ე და 33-ე პუნქტები.
²¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება №1/1/548, სამოტივაციო ნაწილი, 50-ე და 52-ე პუნქტები.

დანყვეტილების მიღების შესაძლებლობას. გამოძიების დროს, როდესაც საქმე ეხება პირის მიმართ საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენებას კერძოდ დაკავებას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ეს გარემოება და ირიბი ჩვენების საფუძველზე არ უნდა მოხდეს პირის დაკავება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 167-ე მუხლის თანახმად, პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე (თუ ის არ დაუკავებიათ). მიუხედავად იმისა, რომ დაკავებულ პირს შესაძლოა არც კი წაეყენოს ბრალი, კანონი დაკავებულ პირის სტატუსს და მის უფლება-მოვალეობებს უთანაბრებს ბრალდებულს. შესაბამისად, თუკი ბრალდებულს აქვს უფლება, რომ ირიბი ჩვენების საფუძველზე არ მოხდეს მის მიმართ დევნის დანყება ან/და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა, მაშინ არამართო ბრალდებულს, არამედ ნებისმიერ პირს (პოტენციურ ბრალდებულს) აქვს უფლება, რომ ირიბი ჩვენების საფუძველზე არ მოახდინონ მისი დაკავება. შესაბამისად, ეს საკითხი აუცილებლად გასათვალისწინებელია დაკავების გადაწყვეტილების მიღების დროს.

2. ნივთიერი მტკიცებულება

სსსკ ნივთიერ მტკიცებულებად მიიჩნევს საგანს, დოკუმენტს, ნივთიერებას ან სხვა ობიექტს, რომელიც წარმოშობით, აღმოჩენის ადგილითა და დროით, ნიშან-თვისებებითა და მასზე დარჩენილი კვალით დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებასთან და შეიძლება დანაშაულის აღმოჩენის, დამნაშავეს დადგენის ან ბრალდების უარყოფის თუ დადასტურების საშუალება იყოს.²² ნივთიერი მტკიცებულება, როგორც წესი, მატერიალური სამყაროს ნებისმიერი ობიექტია, რომლისთვისაც დამახასიათებელია მტკიცებულებითი ინფორმაციის ნიშან-თვისებები და რომელიც მოპოვებული და დართულია სისხლის სამართლის საქმეზე საპროცესო კანონმდებლო-

ბით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.²³ ნივთიერი მტკიცებულება, ზოგადად, შეიძლება განიმარტოს, როგორც საგნები, რომლებიც ობიექტურად, საკუთარი თვისებების ან/და ასევე სხვა გარემოებებთან მათი კავშირის გამო შეიძლება ემსახუროდეს მტკიცების საგანში შემავალი და საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენას.²⁴ როგორც ვხედავთ, ძირითადად აქცენტი გაკეთებულია ნივთიერი მტკიცებულების წარმოშობის და აღმოჩენის გარემოებებზე.

წარმოშობის ადგილი: ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვის, მოყვანის ან კულტივირების საქმეზე გამოძიების დროს ა. ბ.-ს საცხოვრებელ სახლში ნაწილი იქნა პოლიმერული მასალის ქოთნები, მასში არსებული გაფხვიერებული მინის მასით, რომელშიც ხდებოდა ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის კულტივირება. მოცემულ შემთხვევაში ნარკოტიკული ნივთიერება წარმოიშვა (დათესვა და კულტივირება მოხდა) ა. ბ.-ს სახლში, დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებასთან და გვაძლევს ბრალდების დადასტურების საშუალებას.

აღმოჩენის ადგილი და დრო: განზრახ მკვლელობის ჩადენიდან 1 საათში დანაშაულის ადგილზე ჩატარებული დათვალიერების შედეგად აღმოჩენილ იქნა ბრალდებულ ჯ. ნ.-ს ქურთუკი. მოცემულ შემთხვევაში, თუ სად იქნა ქურთუკი დამზადებული, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს (ანუ მისი წარმოშობა ჩვენთვის არ არის საინტერესო), თუმცა არსებითად განმსაზღვრელი ფაქტია ის, რომ ბრალდებულის ქურთუკი აღმოჩნდა დანაშაულის ჩადენის ადგილზე, სადაც საგამოძიებო მოქმედების ჩატარება დაწყებულ იქნა დროის მოკლე პერიოდში. შესაბამისად, ქურთუკი დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებასთან მისი აღმოჩენის ადგილითა და დროით,

²² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 25-ე ნაწილი.

²³ ჩომახაშვილი / თომაშვილი / ძეგნიაური / ოსეფაშვილი / პატარიძე, მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი 2016, 23.

²⁴ ფაფიაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გიორგაძე [რედ.], 2015, 38.

ამასთანვე იძლევა დამნაშავის დადგენისა და ბრალდების დადასტურების საშუალებას.

ნიშან-თვისებებითა და მასზე დარჩენილი კვალი: ბინაში უკანონოდ შეღწევით ქურდობის ჩადენის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების დროს ჩატარდა მოქალაქე დ. რ.-ს პირადი ჩხრეკა რა დროსაც ამოღებულ იქნა მორგებული გასაღები, რომლის ფორმები შეესაბამებოდა გაქურდული ბინის საკეტის დაზიანების გამომწვევი საგნის ფორმებს (ნიშან-თვისება) და ამასთანავე მორგებულ გასაღებზე აღმოჩენილი იქნა იმ საღებავის კვალი, რომლითაც დაფარულია გაქურდული ბინის შესასვლელი კარებისა და საკეტის ზედაპირი (მასზე დარჩენილი კვალი). მოცემულ შემთხვევაში მორგებული გასაღები დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებასთან და ნიშან-თვისებებითა და მასზე დარჩენილი კვალთა იძლევა ბრალდების დადასტურების საშუალებას.

ნივთიერ მტკიცებულებას აქვს სხვადასხვა სახე, კერძოდ ის შეიძლება იყოს:

საგანი - საგანი არის ისეთი ობიექტი, რომელსაც აქვს ფიზიკური სახე, შესაძლებელია მისი დანახვა, შეხება, შეგრძნება და ა. შ., მაგალითად, მკვლელობის ჩადენის იარაღი, დანა და ა. შ.

დოკუმენტი - დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო-, კინო-, ვიდეო-, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.²⁵ როგორც ვხედავთ, დოკუმენტის დანიშნულებაა ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოების დადგენა. მაგ.: მოქალაქის პასპორტში საზღვრის კვეთის ამსახველი შტამში ადგენს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ პირი კონკრეტულ პერიოდში იმყოფებოდა სხვა სახელმწიფოში; დანიშნის ბრძანება ადასტურებს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ პირი მუშაობდა სახელმწიფო თუ კერძო სამსა-

ხურში; ნასამართლობის ცნობა ან/და განაჩენი ადგენს როგორც ფაქტობრივ გარემოებას, რომ პირი ნასამართლევა, ასევე შეუძლია დაადგინოს სამართლებრივი გარემოება, კერძოდ უნდა შეერაცხოს თუ არა პირს კონკრეტული კვალი-ფიკაცია. ეს საკითხები გათვალისწინებულ უნდა იქნეს სასჯელის დანიშვნის დროს; საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება მსჯავრდებულის შეწყალების შესახებ ადგენს იმ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებას, რომ პირი შეწყალებულია, რასაც მოჰყვება კონკრეტული სამართლებრივი შედეგ(ებ)ი. დოკუმენტად ითვლება წყარო რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით, დასახელებულ მაგალითებში დოკუმენტში სიტყვიერ/ნიშნობრივი ფორმით ასახული იყო ინფორმაცია. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ დოკუმენტად მხოლოდ ფიზიკურად ქალაქდება არსებული ინფორმაცია არ ითვლება. დოკუმენტია, მათ შორის, გადაღებული ფოტო, ვიდეო, საუბრის ჩანაწერი ან/და სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით განხორციელებული ჩანაწერი. ბუნებრივია, დოკუმენტის მოპოვების წესები განსხვავებულია მისი ფორმისა და შენახვის ადგილის მიხედვით.

ნივთიერება - ნივთიერება არის ქიმიური მატერიის ფორმა, პირველსაწყისი, რომელიც ყველგან გვხვდება. ნივთიერება შეიძლება იყოს ბუნებრივი - მაგალითად, წყალი, ჟანგბადი; ასევე ხელოვნური - მაგალითად, კაპრონი, პოლიეთილენი და სხვა. დღეისათვის ცნობილია ათ მილიონზე მეტი ნივთიერება, და მათი რაოდენობა დღითიდღე მატულობს, ერთ ნაწილს ბუნებაში პოულობენ, მეორეს კი ადამიანი იღებს სინთეზით. ნივთიერებას, რომელიც გამოიყენება საგნების, ფიზიკური სხეულების და სამზადებლად, მასალას უწოდებენ. მაგალითად, სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი ნივთიერებები ჩამოთვლილია „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში. ამ კანონის მიხედვით, ნივთიერება მესკალინი (ჰალუცინოგენური ნივთიერება, რომელიც მოიპოვება კაკტუს პეიოტში, აშშ-ის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებსა და მექსიკის ჩრ-

²⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილი.

დილოეთში) შეტანილია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა სიაში და მისი უკანონო ფლობა ავტომატურად წარმოადგენს დანაშაულს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლი). მოცემულ შემთხვევაში ნივთიერება მესკალინი წარმოადგენს მტკიცებულებას სისხლის სამართლის საქმეზე, ვინაიდან მასზე დაყრდნობით შესაძლებელია დანაშაულის ფაქტის დადასტურება.

სხვა ობიექტი - კანონმდებელმა მტკიცებულებათა განმარტებისა და სახეების განსაზღვრის დროს გამოიყენა ე. წ. „კაუჩუკის“ პრინციპი და ამომწურავად არ ჩამოთვალა მტკიცებულებათა სახეები. ეს ერთგვარი მოქნილი და ეფექტიანი შესაძლებლობაა პროცესის მწარმოებელი პირებისთვის (ორგანოებისთვის), რომ თუკი ისინი აღმოაჩინენ ისეთ მტკიცებულებას, რომელიც ვერ თავსდება სხვა მტკიცებულებათა განმარტებაში, ამის გამო არ მოხდეს ამ მტკიცებულების გამორიცხვა. მაგალითად: ნანონანილაკები/მიკრონანილაკები, დაქტილოსკოპური კვლები, რომელთა დათვალიერება შესაძლებელია მხოლოდ მიკროსკოპის მეშვეობით და საჭიროებს სპეციალურ ცოდნას. აღნიშნული ტიპის მტკიცებულებები შეგვიძლია მივაკუთვნოთ ნივთიერ მტკიცებულებებს. არსებობს მოსაზრება, რომ ისეთი ობიექტები, რომელთა აღქმა არ შეუძლია ადამიანის გრძნობის ორგანოებს, არ წარმოადგენს ნივთიერ მტკიცებულებებს.²⁶ თუმცა ამ მოსაზრების გაზიარების შემთხვევაში ძნელია ახსნა, თუ რატომ დასჭირდა კანონმდებელს ე. წ. „კაუჩუკის“ პრინციპის გამოყენება ნორმის კონსტრუქციაში და რატომ არ გამოიყენა ამომწურავი განმარტება. ეს მოსაზრება, სავარაუდოდ, ნაკარნახევია ტერმინ „ნივთიერის“ ვიწრო, გრძნობის ორგანოების პარადიგმაში განმარტებით. შეხებას, დანახვასა და აღქმას დაუქვემდებარებელი ობიექტის არსებობა რომ იქნა მიჩნეული ნივთიერი მტკიცებულების სახედ, სწორედ ამას ადასტურებს ზემოთ ხსენებული პრინციპის გამოყენება და ნორმის კონსტრუქცია.

მტკიცებულებების მოპოვების მიზანი და დანიშნულება განმარტებულია სსსკ-ის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილში, კერძოდ მტკიცებულების საფუძველზე მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე, გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას.²⁷

III. მტკიცებულებების გაცვლა და გაცვლის ოქმი

სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი ფუნდამენტური მოთხოვნაა, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის დროს მხარეები ალჭურვილ იქნენ თანაბარი უფლება-მოვალეობებით, განსხვავებული უფლების შემთხვევაში კი მოხდეს დაბალანსება. მაგალითად, თუ ბრალდების მხარე უფრო დომინანტია საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში და აქვს ცალკეული საგამოძიებო მოქმედების ექსკლუზიურად ჩატარების უფლება, სამაგიეროდ, დაცვის მხარე ალჭურვილია უდანაშაულობის პრეზუმციის უფლებით და ამასთანავე მას არ აქვს ვალდებულება ამტკიცოს ბრალდებულის უდანაშაულობა. შესაბამისად, ბრალდების მხარის ეს დომინანტური მდგომარეობა დაბალანსებულია დაცვის მხარის პრივილეგიებით, ეს ყველაფერი კი განაპირობებს მთლიანი პროცესის სამართლიანობას.

სამართლიანი პროცესის აუცილებელი და განსაკუთრებული მხარეა ის გარემოება, თუ რა მტკიცებულების საფუძველზე დავობენ მხარეები ერთმანეთის წინააღმდეგ, ანუ რას ეყრდნობა დასკვნები პირის დამნაშავეობა/უდანაშაულობასთან დაკავშირებით. მხარისთვის გა-

²⁶ ფაფიაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გიორგაძე [რედ.], 2015, 39, 41-ე პუნქტი.

²⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილი.

რდაუვლად, უკიდურესად მნიშვნელოვანია მონინაალმდეგე მხარის არგუმენტების დამაფუძნებელი მტკიცებულებების გაცნობა, მათთან პირდაპირი და უშუალო წვდომა. ამ შესაძლებლობის გარეშე წარმოდგენელია, მხარემ ეფექტიანად განახორციელოს მისი უფლებები, გააბათილოს მის წინააღმდეგ არსებული არგუმენტები და სასამართლო დაარწმუნოს მისი პოზიციის მართებულობაში. მტკიცებულებების გადაუცემლობა შესაბამისი გარემოებების არსებობის გათვალისწინებით შესაძლებელია შეფასდეს სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევად.²⁸

სწორედ ამ მიზნის გამოსატყულებაა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებობს 83-ე მუხლი „შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლა მხარეების მიერ“. დღეს მოქმედი ნორმის თანახმად, არსებობს მტკიცებულებათა გაცვლის ორი სახე: 1. ინფორმაციის გაცვლა მოთხოვნის საფუძველზე და 2. სავალდებულო ინფორმაციის გაცვლა.

ინფორმაციის გაცვლა მოთხოვნის საფუძველზე - სსსკ-ის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარის მოთხოვნა ბრალდების მხარის იმ ინფორმაციის გაცნობის თაობაზე, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ბრალდების მხარე აპირებს, დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. ბრალდების მხარე ასევე ვალდებულია ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაცვის მხარეს გადასცეს მის ხელთ არსებული გამამართლებელი მტკიცებულებები“.²⁹ მოთხოვნისა-მებრ პროცედურის ფარგლებში ინფორმაციის მოთხოვნა და გაცვლა დაიშვება სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე. დაცვის მხარის მოთხოვნა საქმეში არსებულ მტკიცებულებათა გაცნობაზე, დევნის დაწყებიდან ნებისმიერ სტადიაზე უნდა დაკმაყოფილდეს. ნორმაში ნახსენებია ტერმინი „დაუყოვნებლივ“, რაც იმით

არის განპირობებული, რომ მაქსიმალურად იქნეს დაცული მხარეთა ინტერესები და არ მოხდეს მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია. მხარეებმა საკუთარი ხარჯით უნდა გადასცენ ერთმანეთს ინფორმაცია დოკუმენტის ასლის სახით. მხარეებმა ასევე უნდა მიაწოდონ ერთმანეთს ინფორმაცია ნივთიერი მტკიცებულებების შესახებ, კერძოდ, მათი ადგილსამყოფელი, შეფუთვის საშუალებები, ლუქის ნომერი და ა. შ. ეს ინფორმაცია მხარეებმა ერთმანეთს უნდა მიაწოდონ ცნობის სახით (მაგ: მხარეს დამატებით ეცნობა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე ამოღებული ავტომობილი (შესაბამისი მონაცემები) დალუქულ მდგომარეობაში, დალუქული N2 ლუქით, გაჩერებულია და ინახება საგამოძიებო ორგანოს სარგებლობაში არსებულ ავტოსადგომზე მის.: სოხუმი, ბოტანიკური ბაღის ქუჩა N2). თუ არის შესაძლებელი, რომ დათვალიერდეს ნივთიერი მტკიცებულება და ეს არ გამოიწვევს მის ან მასზე არსებული კვალის დაზიანებას ან განადგურებას, მაშინ მხარეებმა ასეთის მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში ვიზუალურად უნდა დაათვალიერებინონ ერთმანეთს ასეთი მტკიცებულება. მას შემდეგ, რაც ბრალდების მხარე ინფორმაციის გადაცემის მოთხოვნას დააკმაყოფილებს და დაცვის მხარეს გადასცემს ინფორმაციასა და ცნობას, ის უფლებამოსილია, დაცვის მხარისაგან მიიღოს ის ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებს. ასეთ შემთხვევაში დაცვის მხარეც ვალდებულია, ბრალდების მხარეს გადასცეს მის ხელთ არსებული მტკიცებულებები, რომელთა გამოყენებასაც აპირებს სასამართლოში. ბრალდების მხარის მიერ ამ მოთხოვნის დაყენება ხდება ცალკე წერილობითი ფორმით ან მტკიცებულებათა გაცვლის ოქმში შესაბამისი მოთხოვნის შეტანით (მაგ.: გთხოვთ, გადმოგვცეთ ამ მომენტისთვის თქვენს ხელთ არსებული იმ ინფორმაციათა ჩამონათვალი და ასლები, რომელთა წარდგენასაც აპირებს სასამართლოში, ასევე, გთხოვთ, ცნობის სახით გვაცნობოთ ნივთიერი მტკიცებულებების შესახებ ან/და შესაძლებლობის შემთხვევაში მოვახდინოთ მისი ვიზუალური დათვალიერება) ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნის შემდეგ იმ მომენტისათვის არსებუ-

²⁸ mutatis mutandis ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „სალდუზი თურქეთის წინააღმდეგ“ საჩივარი N 36391/02.

²⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

ლი მასალის მხარისათვის სრული მოცულობით გადაუცემლობა ინვესს ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას.

ამ საერთო წესიდან არსებობს გამონაკლისი. კერძოდ, დაცვის მხარის უფლება ინფორმაციის მიღებაზე შეიძლება ბრალდების მხარის შუამდგომლობით შეზღუდოს სასამართლომ მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ნაწილში და მხოლოდ წინასასამართლო სხდომამდე. ბუნებრივია, თუ მიმდინარეობს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება ან ფარული საგამოძიებო მოქმედება, მის შესახებ ინფორმაციის და მისი ამსახველი მასალების გადაცემა შემდგომში ამ მოქმედებების გაგრძელებას აზრს უკარგავს და გამორიცხავს მტკიცებულებათა მოპოვებას. ამიტომ ბრალდების მხარეს აქვს ეს პრივილეგია, რომ მხოლოდ წინასასამართლო სხდომამდე შეზღუდოს ხსენებულ მტკიცებულებათა გადაცემა.

ასევე არსებობს ერთი გამონაკლისი როდესაც სახეზე არ არის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გარემოება, კერძოდ დაცვის მხარეს არ მოუთხოვია იმ მომენტისთვის არსებული მტკიცებულებათა გადაცემა და, შესაბამისად, ბრალდების მხარეს არ გადაუცია მტკიცებულებები, მაგრამ მიუხედავად ამისა ბრალდების მხარეს აქვს უფლება, რომ მოსთხოვოს დაცვის მხარეს კონკრეტული მტკიცებულების გადმოცემა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 146-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „ექსპერტის დასკვნის მიღებისთანავე ექსპერტიზის ინიციატორმა მხარემ ის დაუყოვნებლივ უნდა გადასცეს მეორე მხარეს ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში“. აღნიშნული წესი ავალდებულებს ორივე მხარეს, რომ ექსპერტიზის დასკვნა დაუყოვნებლივ გადასცეს მეორე მხარეს, თუკი არსებობს ასეთი მოთხოვნა. ეს არის სპეციალური ნორმა და მას, ბუნებრივია, უპირატესობა აქვს ზოგად ნორმასთან მიმართებით. აღნიშნული ნორმა განხილულ იქნა ბრალდების მხარის კონტექსტში, ვინაიდან სწორედ ბრალდების მხარეს აქვს ბარიერი გა-

დასალახი (ჯერ დაცვის მხარემ უნდა დააყენოს მოთხოვნა და მოხდეს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება) ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით. დაცვის მხარეს ნორმატიული ბარიერების გარეშე აქვს ინფორმაციის (მათ შორის ექსპერტიზის დასკვნის) მოთხოვნის უფლება. მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში ექსპერტის დასკვნის გადაუცემლობა გამოიწვევს ამ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას.

სავალდებულო ინფორმაციის გაცემა - სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 და მე-8 ნაწილების თანახმად, დადგენილია სავალდებულო ინფორმაციის გაცემა მხარეებს შორის, მიუხედავად მათი სურვილის ან/და განცხადებული მოთხოვნისა. სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 თანახმად წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიანოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ. შესაბამისად, მხარეებს აქვთ ინფორმაციის გაცვლის კანონისმიერი ვალდებულება და ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში გადაუცემელი მტკიცებულებები დაუშვებლად იქნება გამოცხადებული. დადგენილი პრაქტიკის თანახმად, თუ წინასასამართლო სხდომა ჩანიშნულია პირობითად 2021 წლის 20 დეკემბერს 12:00 საათზე მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა გადასცენ მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია არაუგვიანეს 2021 წლის 14 დეკემბერის 12:00 საათისა. ვინაიდან ვადის გამოთვლისას მხედველობაში არ მიიღება ის დღე-ღამე რომლებითაც იწყება ვადის დინება³⁰, ათვლა იწყება მომდევნო დღეს. სასამართლოს წინასასამართლო სხდომამდე უნდა ჰქონდეს სრული 5 დღე სისხლის სამართლის საქმის გასაცნობად.

სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ბრალდებულის სასამართლოში პირველ წარდგენამდე მხარეები ვალდებული არიან მისცენ ერთმანეთს იმ ინფორმაციისა და მტკიცებულების გაცნობის შესაძლებლობა, რომელთა სასამართლოში წარდგენასაც ისინი აპირებენ, ასევე გადასცენ წერილობითი მტკიცებულებე-

³⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.

ბის ასლები. აქაც სახეზეა კანონისმიერი ვალდებულება. დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათში პროკურორი ვალდებულია პირს წაუყენოს ბრალი და ამასთანავე მიმართოს სასამართლოს აღკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ. მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა სასამართლო ვალდებულია განიხილოს შუამდგომლობა. სასამართლოში დაკავებული პირის პირველი წარდგენის სხდომამდე, რა თქმა უნდა, მხარეებს უნდა ჰქონდეთ ის მტკიცებულებები, რომლებიც საქმეშია, რათა შეაფასონ ბრალის მიზანშეწონილობა, გამოსაყენებელი აღკვეთის ღონისძიება და საქმესთან დაკავშირებული სხვა გარემოებები.

მხარეების მიერ ინფორმაციის გაცვლის თაობაზე დგება ოქმი, რომლის ასლიც ეგზავნება სასამართლოს სისხლის სამართლის საქმესთან ერთად. ოქმში აისახება შემდეგი ინფორმაცია: მოქმედების ჩატარების ადგილი და თარიღი; იმ პირის თანამდებობა, სახელი და გვარი, რომელმაც შეადგინა ოქმი; იმ პირის სახელი და გვარი რომელმაც ჩაიბარა მტკიცებულებები; გადაცემული/ჩაბარებული მტკიცებულებების ზუსტი ჩამონათვალი (ინდივიდუალური ინ-

ფორმაციის მიხედვით); ნივთიერ მტკიცებულებებთან დაკავშირებით მიწოდებული ცნობის შინაარსი; აგრეთვე მოქმედების მონაწილეთა განცხადებები და შენიშვნები. ოქმი უნდა დადასტურეს მონაწილეთა ხელმოწერით. ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში ხელმოწერაზე უარის მთქმელ პირს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, განმარტოს ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზი, რომელიც ასევე აღინიშნება ოქმში.

პრაქტიკაში მტკიცებულებათა გაცვლის ოქმის შედგენის დროს გაცვლილი მტკიცებულებების ჩამონერის რამდენიმე პრინციპია გავრცელებული: მტკიცებულების ჩამონერა და დალაგება ქრონოლოგიის მიხედვით, კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების ერთად დაჯგუფება (მაგალითად, მონმეთა ჩვენებები, საგამოძიებო მოქმედებები და ა. შ.), ჯგუფური დანაშაულის შემთხვევაში კონკრეტული პირების მიმართ ჩატარებული მოქმედებების დაჯგუფება. სარეკომენდაციო ხასიათი აქვს მტკიცებულებათა დალაგებას და ჩამონერას ქრონოლოგიის მიხედვით, რაც დამატებითი გარანტიია იმისა, რომ არ მოხდეს რომელიმე მტკიცებულების გამორჩენა.

სასამართლო პრაქტიკა

► 1 – 1/2022

იჯარის ქირის უსაფუძვლოდ გადახდილად მიჩნევა იჯარის საგნის ნაკლის გამო

გადახდილი იჯარის ქირა წარმოადგენს უსაფუძვლო გამდიდრების საგანს, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მოიჯარეს მიეცა იჯარის საგნით სარგებლობის შესაძლებლობა და მისი ნაკლის გამო იჯარის ხელშეკრულება მხოლოდ მოგვიანებით შეწყდა.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 25 იანვრის განჩინება საქმეზე N ას-1033-994-2016

სკ-ის 976 I მუხლი

ფაქტობრივი გარემოებები: თბილისის მერიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის გამარჯვებულად გამოცხადდა მოპასუხე, რომელსაც იჯარით გადაეცა მიწის ნაკვეთი 5 წლით. მოსარჩელის განცხადებით, მოპასუხე ჯეროვნად არ ასრულებდა დაკისრებულ ვალდებულებას და არ იხდიდა საიჯარო ქირას დადგენილ ვადებში. მოპასუხემ შეგებებული სარჩელი აღძრა და მიუთითა, რომ იჯარის საგნის გამოუსადეგარობის გამო იჯარის ხელშეკრულება შეწყდა მისივე განცხადების შედეგად.

სასამართლოს მსჯელობის შეჯამება: პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა შეგებებული სარჩელი და უარი თქვა ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რაც სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა. სასამართლომ იხელმძღვანელა სკ-ის 976 I მუხლით და დაადგინა, რომ თბილისის თვითმმართველი

ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემის გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის გაცემული იჯარა გაუქმდა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს გადაწყვეტილებით. მოპასუხეს არ უსარგებლია იჯარის უფლებით, არც საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულება წარმოშობია და, შესაბამისად, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს სახაზინო ანგარიშზე ჩარიცხული 6000 ლარი მხარეს უნდა დაუბრუნდეს. შედეგობრივი თვალსაზრისით, სამართლისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა საშუალებით გამდიდრდა პირი – მიიღო, თუ დაზოგა ქონება. ფაქტი ერთია – ვითომ კრედიტორის ქონებრივ სფეროში აღმოჩნდა ქონება, რომელსაც იქ არსებობის სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია და, აქედან გამომდინარე, ექვემდებარება უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას. ამდენად, სკ-ის 976-ე მუხლი არეგულირებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც შემსრულებელი ახორციელებს ფაქტობრივად არარსებულ ვალდებულებას, რაც იწვევს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე.

ნინი ბერულავა

► 2 – 1/2022

ვინდუკაციური სარჩელი არასრულწლოვნის წინააღმდეგ

საცხოვრებელთან დაკავშირებული ვინდუკაციური სარჩელი არ კმაყოფილდება, თუკი ის აღძრულია მცირეწლოვან შვილთან მცხოვრები მშობლის წინააღმდეგ და ამ უკანასკ-

ნელის ინტერესები დასაცავია მესაკუთრის ინტერესებზე უპირატესად. (ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 5 მაისის განჩინება საქმეზე N ას-454-426-2017

სსკ-ის 1225-ე მუხლი

ნინო ბერულავა

ფაქტობრივი გარემოებები: პირმა ვინდიკაციური სარჩელი აღძრა რძლის წინააღმდეგ, რომელიც მოსარჩელის ბინაში ცხოვრობდა საკუთარ მცირეწლოვან შვილთან - მოსარჩელის შვილიშვილთან - ერთად. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მათ არ გააჩნიათ სხვა საცხოვრებელი ან რაიმე შემოსავალი.

სასამართლოს მსჯელობის შეჯამება: პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა სარჩელი. აღნიშნული შედეგი შეცვალა სააპელაციო სასამართლომ და მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც არ იკვეთებოდა მესაკუთრის ინტერესის უპირატესობა მოპასუხისა და მასთან ერთად მცხოვრები მცირეწლოვნის ინტერესთან, მოსარჩელე არამართლზომიერად იყენებდა მესაკუთრის პოზიციიდან გამომდინარე უფლებებს. აღნიშნული არ არის მხოლოდ მესაკუთრესა და უკანონო მფლობელს შორის ურთიერთობა, არამედ იგი მოიცავს ბებისა და შვილიშვილის ურთიერთობასაც და სწორედ ამიტომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები „ნინ უსწრებს“ საკუთრების უფლებას. საკასაციო სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად ცნო და მიუთითა, რომ მოპასუხეს არ გააჩნია სხვა საცხოვრებელი ბინა და ის თავის არასრულწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობს სადავო ბინაში, რომლითაც მესაკუთრე არ სარგებლობს. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, აღზრდისა და რჩენის ფუნქციებში იგულისხმება არა მხოლოდ ბების საალიმენტო ვალდებულებები, არამედ შვილიშვილისთვის ცხოვრებისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ვალდებულება. საკასაციო პალატა სკ-ის 1225-ე მუხლის სწორი, თანმიმდევრული, დასაბუთებული და ლოგიკური განმარტების შედეგად, ასკვნის, რომ მისი რეგულირების მიზანი მხოლოდ არასრულწლოვნისათვის მატერიალური

საზრდოს დანიშვნა არაა, არამედ, მისი მოქმედების მასშტაბი უფრო ფართოა და მოიცავს არასრულწლოვნის უზრუნველყოფას საცხოვრებელით, მაშინ როდესაც, არასრულწლოვანს ამ სიკეთის მიღება თავის მშობლებისაგან არ შეუძლია.

▶ 3 – 1/2022

ნარკოტიკული საშუალების ფლობა, როგორც თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი

ნარკოტიკული საშუალების ფლობა შეიძლება გახდეს დამსაქმებლისათვის დასაქმებულის მიმართ პატიოსნებისა და კეთილსინდისიერების რწმენის გამოცლისა და, საბოლოო ჯამში, მისი სამსახურიდან დათხოვნის საფუძველი.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 13 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-169-2020

შკ-ის 2020 წლის 15 ივლისის რედაქციის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ზ) ქვეპუნქტი

I. ფაქტობრივი გარემოებები

მოსარჩელემ, რომელიც მუშაობდა მოპასუხე ორგანიზაციაში კომენდანტის თანამდებობაზე, აღძრა სარჩელი დასაქმებულის წინააღმდეგ თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების გაუქმების, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით. დამსაქმებელმა სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოსარჩელეს მსჯავრი დაედო დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისათვის, რაც ქმნიდა შრომის კოდექსის 2020 წლის 15 ივლისის რედაქციის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ზ) ქვეპუნქტის მიხედვით დასაქმებულის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველს.

II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი, თუმცა სააპელაციო სასამართლომ შეცვალა დამდგარი შედეგი და განმარტა, რომ დასაქმებულის მიერ, მივლინებისას მძიმე დანაშაულის ჩადენა იმ პირობებში, როდესაც ნარკოტიკული საშუალება სამსახურებრივი ავტომანქანიდანაც ამოიღეს, ეწინააღმდეგებოდა არა მხოლოდ კომპანიაში, არამედ საზოგადოებაში დამკვიდრებული პიროვნული ქცევის უმაღლეს სტანდარტებს.

უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა დასაქმებულის საკასაციო საჩივარი და განმარტა, რომ დასაქმებულმა უხეშად დაარღვია შრომის შინაგანანესი, რომელიც მას აკისრებდა კომპანიის აღიარებული ვალდებულებებისა და ტრადიციების დაცვას. მესამე ინსტანციის სასამართლოს პოზიციით, მოსარჩელემ დაარღვია „პიროვნული ქცევის უმაღლესი სტანდარტები - პატიოსნება, კეთილსინდისიერება და პატივისცემა, საკუთარი კოლეგების, ორგანიზაციის, ფართო საზოგადოებისა თუ მისი ცალკეული წევრის წინაშე“, რაც ამართლებდა მისი თანამდებობიდან გათავისუფლებას.

III. კომენტარი

განსახილველი განჩინებით სასამართლომ ერთმანეთთან დაუსაბუთებლად დააკავშირა სოციუმის წარმოდგენები იმ პიროვნულ მახასიათებლებთან, რომელსაც სასამართლო „პიროვნული ქცევის უმაღლეს სტანდარტებად“ მოიხსენიებს, დასაქმებულისა და დამსაქმებლის შრომით ურთიერთობასთან. იმის სავსებით თვითკმარი და ამომწურავი მითითების ნაცვლად, რომ დასაქმებულმა ნარკოტიკული დანაშაული ჩაიდინა (რასაც, ცალკე აღებულს, საქმისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს) **სამსახურებრივი დანიშნულების ნივთის** (მანქანის) **გამოყენებით**, სამოტივაციო ნაწილი ყოვნდება აღნიშნული დანაშაულის ჩამდენის

დაძრახვაში. თუმცა, როგორც უკვე ითქვა, მკითხველისთვის უცნობი რჩება, ამ გადამწყვეტი დეტალის - როგორცაა სამსახურებრივი დანიშნულების ნივთის დანაშაულის ხერხად გამოყენება - გარდა საერთოდ რა ფორმით შეიძლება „კომპანიის აღიარებული ვალდებულებებისა და ტრადიციების“, ისევე, როგორც „პიროვნული ქცევის უმაღლესი სტანდარტის“ დარღვევამ შეადგინოს კომენდანტის თანამდებობიდან გათავისუფლების თვითკმარი საფუძველი.

თავისთავად ის ფაქტი, რომ შრომის შინაგანანესი დასაქმებულებისგან ითხოვდა „კომპანიის აღიარებული ვალდებულებებისა და ტრადიციების“ დაცვას, ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენას ავტომატურად არ ხდის შინაგანანესის უხეშ დარღვევად და თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების მართლზომიერებასა და პროპორციულობაზე ყოველგვარი მითითება ფუჭ განცხადებებად რჩება, თუკი სასამართლო მსჯელობის არც ერთ ფრაგმენტში არ სვამს კითხვას, მიმართულია თუ არა დანაშაული იმ სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ, რომელთანაც უშუალო შეხება აქვს პირის მიერ დაკავებულ თანამდებობას, როგორცაა, ქრესტომათიული მაგალითისთვის, სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული და პედაგოგიური საქმიანობა, რასაც მოქმედი შრომის კოდექსი პირდაპირ ასახელებს ურთიერთშეუთავსებელ მოვლენებად 10 VI, VII მუხლებში.

განჩინებაში გატარებული მიდგომა ნიშნავს, რომ პირი შეიძლება ნებისმიერი თანამდებობიდან გათავისუფლდეს ყოველგვარი, მათ შორის, სამსახურებრივ მოვალეობებისგან სრულიად მოწყვეტილი, დანაშაულის ჩადენისას. ამ პირობებში მხოლოდ გასაკვირია, რატომ არ უნდა გავრცელდეს იგივე სტანდარტი სხვა კერძოსამართლებრივ ურთიერთობებზე და რატომ არ შეიძლება, მაგალითად, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების დაფუძნება ნარდობის ურთიერთობაში, თუკი მენარდე ცნობილი იქნა დამნაშავედ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე.

ნინო ქავუბაია